

## **გარიგებანი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2017, №5**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2017, №5**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2017, №5**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2017, №5**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ზაზა ჯაფარიძე**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. ზოგადი ნორმები

## ხელშეკრულების განვითარება

### განვითარება

№ას-1006-950-2015

6 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

I. სასარჩევლო მოთხოვნა:

1. შპს „ტ-მა“ (შემდეგში: თავდაპირველი მოსარჩევე ან აპელაციტი) სარჩევლი აღძრა შპს „ბ-ის“ (შემდეგში: შეგებებული სარჩელის ავტორი ან მონინააღმდეგე მხარე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 2014 წლის 3 იანვარს დადებული ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარება და ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის – 1 427 650 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

II. მოპასუხის პოზიცია:

2. მოპასუხემ სარჩევლი არ ცნო და პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად წარადგინა შეგებებული სარჩევლი, რომლითაც მოითხოვა: განეული მომსახურების ღირებულების დავალიანების – 113 464.66 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება; მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილებისათვის 352 515.11 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება; მომსახურების ღირებულებასა და საპაზისო ღირებულებას შორის ფასდაკლების სხვაობის 206 912 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება; ტვირთის გარანტირებული მინიმალური ოდენობის მიუწოდებლობის გამო ნავსადგურზე მიყენებული ზიანის – 1 611 606.70 აშშ დოლარისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილებისათვის პირგასამტებლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 245.65 აშშ დოლარი შეგებებული სარჩევლის შეტანიდან გადაწყვეტილების მიღებამდე.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მოთითება:

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და თავდაპირველ მოსარჩელეს დაეკისრა დავალიანების – 113 464.66 აშშ დოლარის ანაზღაურება; მომსახურების ღირებულებასა და საბაზისო ღირებულებას შორის ფასდაკლების სხვაობის – 206 912 აშშ დოლარის ანაზღაურება; პირგასამტებლოს – 50 000 აშშ დოლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:**

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განჩინებით შეგებებული სარჩელის ავტორის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

#### **V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:**

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

8. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წლის 3 იანვარს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომ-ლითაც მოსარჩელებ/ექსპედიტორმა აიღო ვალდებულება 2014 წლის განმავლობაში ნავმისადგომების გავლით გადაეტვირთა მინიმუმ 1 250 000 ტონა 3.2. მუხლით შეთანხმებული დასახელების ტვირთა.

9. ხელშეკრულების 3.4. მუხლით ნავსადგურმა ექსპედიტორს საერთოდ, 20%-ით, ხოლო ამონიუმის ნიტრატზე – 18%-ით საბაზისო ტარიფთან შედარებით დაუკლო გადასახდელი თანხა გადასაზიდ ტვირთებზე; ეს პირობა იმოქმედებდა ექსპედიტორის მიერ, მხოლოდ, ხელშეკრულების 3.12 მუხლით გათვალისწინებული პირობის დაცვის შემთხვევაში.

10. ხელშეკრულების 3.12. მუხლით ექსპედიტორი ვალდებული იყო, არაუგვასანეს, 15 თებერვლისა, ნავსადგურისათვის ნარედგინა საბანკო გარანტია 550 000 აშშ დოლარის ოდენობით და ნავსადგურის მიერ განეული მომსახურებისა და ნავსადგურის მიერ დაეკისრებული პირგასამტებლოს დროული ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ჩაერიცხა ნავსადგურის ანგარიშზე ფულადი დეპოზიტი, 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვ-

## **ნულ ვალუტაში.**

11. ხელშეკრულება მოქმედებდა 2014 წლის 1 აპრილამდე. ამ პერიოდის განმავლობაში მოსარჩელე/ექსპედიტორი ახორციელებდა გადატვირთვას და სარგებლობდა შეღავათიანი ტარიფით, თუმცა მას არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტია წარუდგენია და არც დეპოზიტზე განუთავსებია თანხა.

12. ხელშეკრულების 3.6. მუხლით ნავსადგურმა დაადასტურა, რომ გარდა ექსპედიტორისა არცერთი სხვა პირი არ ისარგებლებდა ხელშეკრულების 3.2. მუხლში მითითებული სახეობის ტვირთებზე (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის ნავსადგურსა და მესამე პირებს შორის დადებული ტვირთის გადატვირთვის ხელშეკრულებაში მითითებული ტვირთისა) რაიმე შეღავათით ან/და ფასდაკლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საექსპედიტორო კომპანია, კლიენტი, ტვირთმფლობელი ან/და ნებისმიერი მესამე პირი ნავსადგურის წინაშე დაადასტურებდა ყოველი კალენდარული წლის პერიოდზე ბათუმის ნავსადგურის ნავმისადგომის გავლით 1 000 000 ტონაზე მეტი ტვირთის გარანტირებულ რაოდენობას, რომელიც გარანტირებული იქნებოდა შესაბამისი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით, როგორც ამას ითვალისწინებდა ხელშეკრულების 3.12. მუხლი.

13. 2014 წლის 3 იანვარს, ე.ო. მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადების დღეს ნავსადგურმა გადატვირთვის ხელშეკრულება დადო. ასევე, შპს „ჯ-თან“ (შემდგომში: კომპანია). ამ ხელშეკრულების 3.2. მუხლით ნავსადგურმა ამ საწარმოს ასევე 20%-ით დაუკლო გადასახდელი თანხა გადასაზიდ ტვირთებზე. ამ შემთხვევაში, ნავსადგურს კონტრაშენტისათვის გარანტია არ მოუთხოვია.

მოგვიანებით, 2014 წლის 5 იანვარს, ნავსადგურსა და კომპანიას შორის შედგა დამატებითი შეთანხმება, რომლითაც კომპანიამ შეღავათიანი ტარიფით სარგებლობის სანაცვლოდ, აილო ვალდებულება 2014 წლის განმავლობაში, ნავმისადგომების გავლით, გადაეტვირთა 1 000 000 ტ. ტვირთი, წარედგინა გარანტია 600 000 აშშ დოლარზე და განეთავსებინა ნავსადგურის ანგარიშზე 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

დადგენილ იქნა, რომ ეს ვალდებულება არც ამ საწარმომ შეასრულა და 2014 წლის 1 აპრილს მას ნავსადგურმა ხელშეკრულება მოუშეალა.

14. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხის მიერ ხელ-

შეკრულების დარღვევის ფაქტი მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა. კერძოდ, აპელანტს მიაჩნდა, რომ კომპანიასთან ხელშეკრულების დადებით მოწინააღმდეგე მხარემ დაარღვია ხელშეკრულების 3.6. მუხლი, რაც მას საპასუხო შესრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ხელშეკრულების 3.7. მუხლის თანახმად, ნავსადგურს უფლება ჰქონდა თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაედო შესაბამისი ხელშეკრულება, განესაზღვრა ფასდაკლების ოდენობა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხელშეკრულების 3.2. მუხლში მითითებულ ტვირთებზე /ტვირთმიმართულებებზე განსხვავებული ტვირთების/ /ტვირთმიმართულებების გადატვირთვის შესახებ. შესაბამისად, ხელშეკრულების 3.6. მუხლი ეხებოდა, ამავე ხელშეკრულების 3.2. მუხლში ჩამოთვლილ ტვირთებს, ე.ი. იმ ტვირთებს, რომელთა გადატვირთვის უფლება მოსარჩელეს ჰქონდა.

სხვა ტვირთებთან დაკავშირებით შეგებებული სარჩელის ავტორს შეეძლო დაედო ნებისმიერი შინაარსის გარიგება. აშკარა იყო, რომ ხელშეკრულების 3.2. მუხლში ჩამოთვლილი ტვირთების თაობაზე ახალი ხელშეკრულებების დადების უფლება შეგებებული სარჩელის ავტორს შეეზღუდა; თუმცა, ეს შეზღუდვა აპსოლუტური არ იყო: ნავსადგურს შეეძლო გაეფორმებინა იდენტური ხელშეკრულება სხვა პირებთანაც, თუ ისინი იდენტური სახის გარანტიასა და უზრუნველყოფის საშუალებებს შესთავაზებდნენ; და, რაც მთავარია, ეს შეზღუდვა არ ვრცელდებოდა იმ გარიგებებზე, რომელიც დადებული იყო „ხელშეკრულების დადების დღისათვის“. დათქმის ფორმიდან გამომდინარე, იგი განსაკუთრებული, სპეციალურად შეთანხმებული პირობა იყო და მხარებს ამ პირობის შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომაც სურდათ.

15. აპელანტის განმარტება, რომ „ხელშეკრულების დადების დღისათვის“ ნიშნავს, მხოლოდ, იმას, რომ ძალაში უნდა დარჩენილიყო ნავსადგურის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტამდე არსებული გარიგებები და იგი სამომავლო, თუნდაც იმავე დღეს დასადებ გარიგებებს არ ეხებოდა, პალატამ არ გაიზიარა და დაუშვებლად მიიჩნია ნავსადგურსა და აპელანტს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულიყო ნავსადგურის მიერ სხვა პირებთან უკვე დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბედი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეც რომ არ ყოფილიყო აპელანტის მოსაზრების გაზიარებისათვის აუცილებელი იყო, სულ მცირე, იმის დადგე-

ნა მაინც, რომ მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადებამდე ნავსადგურს იდენტურ ტვირთზე ხელშეკრულებები სხვებთანაც გაფორმებული ჰქონდა. ამ ფაქტზე მოსარჩელეს არ მიუთითებია. მეტიც, სააპელაციო საჩივროს მე-7 გვერდზე მან ისიც კი აღნიშნა, რომ „სხვა პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არეგულირებდა მოდავე მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების 3.2 მუხლში მითითებული ტვირთებისაგან განსხვავებული ტვირთების გადატვირთვას“-ი. ამ ვითარებაში, ყოვლად გაუგებარი იყო, რა საჭირო იყო ზემოხსენებული საგამონაკლისო პირობის განსაკუთრებით შეთანხმება – თუ მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, 3.2. მუხლში მითითებულ ტვირთებზე, ნავსადგურს სხვა კონტრაპენტებთან ხელშეკრულება გაფორმებული არ ჰქონია, იმის განსაკუთრებით აღნიშვნა, რომ 3.6. მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არარსებულ გარიგებებზე არ უნდა გავრცელებულყო, ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა – აპელანტისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დასადგომად მუხლის შინაარსი, ფრჩხილებში არსებული ჩანართის გარეშეც, სავსებით საკმარისი იყო.

16. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ იგი იმავე დღეს, იმავე ტვირთებზე სხვა კონტრაპენტთანაც აპირებდა ხელშეკრულების გაფორმებას და 3.6. მუხლით დადგენილი შეზღუდვის გამონაკლისი იმიტომაც გაითვალისწინა. ამ ფაქტს მოწმის ჩვენებაც ადასტურებდა.

17. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობითაც, „ხელშეკრულების დადების დღე“ იმ დღეს ნიშნავს, როდესაც ხელშეკრულება დაიდო და არა ამ დღის ცალკეულ მონაკვეთს. გარიგების დადებამდე არსებული პერიოდის აღსანიშნავად კი, ჩვეულებრივ, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი სხვა სიტყვებსა და ტერმინებს – მაგ: „დადების დროისათვის“; „დადების მომენტისათვის“, „ხელშეკრულებამდე“ და ა.შ. – ხმარობენ.

პალატის აზრით, ხელშეკრულების სადავო პირობის, მარტო-ოდენ, აპელანტის კომერციული ინტერესების საფუძველზე განმარტება არასწორი იყო.

18. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ აპელანტის პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც იგი 3.2. მუხლში მითითებული ტვირთების შეღავათიანი ტარიფით ერთადერთი გადამზიდავი მაინც ვერ იქნებოდა – ნავსადგურს იმავე ტვირთებზე ხელშეკრულება შეეძლო დაედო სხვა პირებთანაც, თუ ისინი იდენტურ პირო-

ბასა და უზრუნველყოფას შესთავაზებდნენ.

გარდა ამისა, როგორც არ უნდა განმარტებულიყო სადაც საგამონაკლისო დათქმა, ამ გამონაკლისით სარგებლობის უფლების მქონე ვიღაც მაინც უნდა ყოფილიყო.

ე.ი. წებისმიერ შემთხვევაში, აპელანტი იმთავითვე უშვებდა, რომ მოსარჩელის გარდა, 3.2. მუხლში მითითებულ ტკირთებზე შედაგათანი ტარიფითა და თან უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების გარეშე, შეეძლოთ, ესარგებლათ ნავსადგურის სხვა კონტრაპენტებსაც.

ეს კი გამორიცხავდა აპელანტის პრეტენზიასაც იმის თაობაზეც, რომ მოწინააღმდეგებ მხარემ სამენარმეო ურთიერთობებში გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულება დაარღვია. ამგვარად, აშკარა იყო, რომ მარტოოფენ ხელშეკრულების სადაც ტექსტის ანალიზით აპელანტის პოზიცია არ დასტურდება. პირიქით, ეს ანალიზი უფრო მეტად აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის განმარტებებს ადასტურებდა.

ხოლო იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ 3.6. მუხლში მითითებული გამონაკლისი, სწორედ ხელშეკრულების დადების მომენტამდე გაფორმებულ გარიგებებს ეხებოდა, როგორც აღინიშნა, აპელანტმა სასამართლოს ვერ წარმოუდგინა.

19. ხელშეკრულების 3.6. მუხლის პირობით, შეგებებული სარჩელის ავტორსა და კომპანიას შორის 2014 წლის 5 იანვარს დადებული ე.წ. „დამატებითი შეთანხმებიდან“ ირკვეოდა, რომ ამ საწარმომ იყიდია იგივე ვალდებულებები, რაც აპელანტსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში კი ნავსადგურს გარიგების დადების უფლება, უთუოდ, ჰქონდა.

იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ 2014 წლის 5 იანვრის შეთანხმება მოსაჩენებლად იყო დადებული აპელანტს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია და არც მიუთითებია მასზე; ხოლო მოწინააღმდეგე მხარემ ამ ფაქტის დასადგენად სასამართლოს სააპელაციო საჩივრითაც კი მომართა. ამგვარად, პალატის აზრით, აპელანტმა თავისი სასარჩელო მოთხოვნა ვერ დაამტკიცა. და, ასეც რომ არ იყოს, სსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა. ამ ნორმის შესაბამისად, აპელანტს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა საბანკო გარანტიის წარდგენასა და დეპოზიტზე თანხის განთავსებაზე,

თუ, უშუალოდ, ამ მოქმედების შესრულება დაკავშირებული იქნებოდა კონტრაპენტის საპასუხო მოქმედების განხორციელებაზე.

ხელშეკრულების 3.12. მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფის საშუალებები აუცილებელი იყო შეღავათიანი ტარიფით სარგებლობისათვის. ამის შესაბამისად, აპელანტს შეეძლო უარი განეცხადებინა უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენაზე, თუ მონინაალმდეგ მხარე არ მისცემდა შეღავათიანი ტარიფებით ტვირთის მიღების საშუალებას.

20. უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მიუხედავად უზრუნველყოფის საშუალებების წარუდგენლობისა, მოსარჩელე შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობდა. ამის შესაბამისად, კომპანიასთან ხელშეკრულების დადებით ნავსადგურს აპელანტთან გაფორმებული ხელშეკრულება რომც დაერღვია, ეს უზრუნველყოფის საშუალებების წარუდგენლობის საფუძველი მაინც ვერ გახდებოდა.

21. პალატამ აღნიშნა, რომ შეგებებულ სარჩელთან მიმართებით აპელანტი, მხოლოდ, ზოგადი განმარტებით შემოიფარგლა და ამ ნანილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტორიც და სამართლებრივ უსწორობებზე არ მიუთითება.

22. ამის შესაბამისად, პალატის აზრით, საქალაქო სასამართლომ სავსებით სწორად დაადგინა, რომ მოსარჩელემ 2014 წლის განმავლობაში ნავსადგურს, 20%-იანი ფასდაკლებით მიაწოდა 175 595,70 ტონა ტვირთი. ამ მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 113 464.66 აშშ დოლარი და შპს ტ-ს ეს ღირებულება არ გადაუხდია.

ხელშეკრულების თანახმად, შეღავათიანი პირობებით სარგებლობისათვის, მოსარჩელეს უნდა გადაეტვირთა 1 250 000 ტ. ტვირთი, მან კი გადატვირთა, მხოლოდ, 175 595,53 ტ. ამრიგად, შეღავათიანი ტარიფით სარგებლობისათვის საჭირო პირობა აპელანტმა ვერ შეასრულა. ამიტომ, ხელშეკრულების 5.5 მუხლის საფუძველზე, აპელანტმა მონინაალმდეგ მხარეს უნდა გადაუხდოს გადატვირთვის ღირებულება საბაზისო ფასებში.

გადატვირთვის ღირებულება, ფასდაკლებით, შეადგენდა 827 647 აშშ დოლარს, ხოლო ფასდაკლების გარეშე – 827 647/4+827 647=1 034 559 აშშ დოლარს.

ამის შესაბამისად, სხვაობა საბაზისო ღირებულებასა და საშეღავათო ფასს შორის არის – 1 034 559-827 647=206 912 აშშ დოლარი.

ხელშეკრულების 5.7 მუხლით მხარეთა შორის შეთანხმებული იყო პირგასამტეხლო ანგარიშსწორების ვადების დარღვე-

ვისათვის. ამავე მუხლის თანახმად, ანგარიშსწორება უნდა მომზდარიყო შედარების აქტის ხელმოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში. პელანტმა ეს ვალდებულება არ შეასრულა და სულ, მის მიერ გადასახდელმა პირგასამტებლომ შეადგინა 352 515,11 აშშ დოლარი.

პალატამ მიიჩნია, რომ, ამ ნაწილში, საქალაქო სასამართლომ სავსებით სწორად ისარგებლა სსკ-ის 361-ე, 417-ე-418-ე მუხლებით და მართებულად დააკისრა აპელანტს მონინააღმდეგი მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა.

#### **VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები:**

23. თავდაპირველი სარჩელის დაქმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა თავდაპირველმა მოსარჩელებ.

24. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში კასატორი მიუთითებს, რომ საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ არასწორად განმარტა ხელშეკრულების სადაც პუნქტში გამოხატული ხელშემკვრელ მხარეთა ნება, რაც ენინააღმდეგება სსკ-ის 52-ე მუხლში გამოხატულ კანონმდებლის ნებას. სასამართლომ სადაც 3.6 პუნქტი სწორედ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან დაადგინა (არასწორად შეაფასა აგრეთვე სიტყვასიტყვითი აზრი) და არა გონივრული განსჯის შედეგად, როგორც ეს კანონითაა წაკარნახევი.

კასატორს უდავო გარემოებად მიაჩნია, რომ ნავსადგურმა ხელშეკრულების 3.6 პუნქტით იკისრა ვალდებულება, რომ გარდა მოსარჩელისა სხვა არცერთ პირს არ ჰქონოდა ხელშეკრულების 3.2 პუნქტში მითითებული ტვირთების გადაზიდვის უფლება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირი იმავე უზრუნველყოფას წარმოადგენდა, რასაც თავდაპირველი მოსარჩელე. სააპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნულის თაობაზე იმ კონტექსტში მიუთითა თითქოს აპელანტი არ ეთანხმებოდა ამ პირობას და დასაბუთა იმგვარი გარემოებები, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

კასატორი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების 3.6 პუნქტი მითითებას აკეთებს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის დადებულ ანუ, უკვე არსებულ ხელშეკრულებებზე და არა ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს დასადებ სხვა ხელშეკრულებებზე.

25. კასატორის მოსაზრებით, არასწორად განმარტა სსკ-ის 369-ე მუხლი, რომელიც კასატორის მოსაზრებით გულისხმობს ნებისმიერ საპასუხო მოქმედებას, მათ შორის, გარკვეული მოქ-

მედებისაგან თავის შეკავებას. მოპასუხის ვალდებულება არ განეხორციელებინა სხვა კონტრაჰენტთან უფრო შეღავათიანი პირობებით ხელშეკრულების დადება, ასევე უნდა იქნეს მიჩნეული ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ საპასუხო მოქმედებად. მოპასუხემ დაარღვია ხელშეკრულების 3.6 და 3.7 პუნქტები, რამაც ზიანი მიაყენა მოსარჩელეს. მოპასუხე სთხოვდა მოსარჩელეს სახელშეკრულებო პირობების დაცვას იმ პირობებში, როდესაც თავად არღვევდა მას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **VII. საკასაციო პალატის დასკვნები:**

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

20. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

21. ნარმოდებული საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი 2014 წლის 3 იანვარს მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში, რომლითაც მოსარჩელემ/ექსპედიტორმა აიღო ვალდებულება 2014 წლის განმავლობაში ნავმისადგომების გავლით გადაეტვირთა მინიმუმ 1 250 000 ტონა 3.2. მუხლით შეთანხმებული დასახელების ტვირთი, გამოვლენილი ნების განმარტების საკითხი.

22. სადავო საკითხთან მიმართებაში დადგენილია, რომ ხელშეკრულების 3.4. მუხლით ნავსადგურმა ექსპედიტორს საერთოდ, 20%-ით, ხოლო ამონიუმის ნიტრატზე – 18%-ით საბაზისო ტარიფთან შედარებით დაუკლო გადასახდელი თანხა გადასაზიდ ტვირთებზე; ეს პირობა იმოქმედებდა ექსპედიტორის მიერ, მხოლოდ, ხელშეკრულების 3.12 მუხლით გათვალისწინებული პირობის დაცვის შემთხვევაში.

23. ხელშეკრულების 3.12. მუხლით ექსპედიტორი ვალდებული იყო, არაუგვანეს, 15 თებერვლისა, ნავსადგურისათვის ნარედგინა საბანკო გარანტია 550 000 აშშ დოლარის ოდენობით და ნავსადგურის მიერ განეული მომსახურებისა და ნავსადგურის მიერ დაკისრებული პირგასამტკებლოს დროული ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ჩაერიცხა ნავსადგურის ანგარიშზე

ფულადი დეპოზიტი, 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

24. ხელშეკრულება მოქმედებდა 2014 წლის 1 აპრილამდე. ამ პერიოდის განმავლობაში მოსარჩელე/ექსპედიტორი ახორციელებდა გადატვირთვას და სარგებლობდა შეღავათიანი ტარიფით, თუმცა მას არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტია წარუდგენია და არც დეპოზიტზე განუთავსებია თანხა.

25. ხელშეკრულების 3.6. მუხლით ნავსადგურმა დაადასტურა, რომ გარდა ექსპედიტორისა არც-ერთი სხვა პირი არ ისარგებლებდა ხელშეკრულების 3.2. მუხლში მითითებული სახეობის ტვირთებზე (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის ნავსადგურსა და მესამე პირებს შორის დადებული ტვირთის გადატვირთვის ხელშეკრულებაში მითითებული ტვირთისა) რაიმე შეღავათით ან/და ფასდაკლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საექსპედიტორო კომპანია, კლიენტი, ტვირთმფლობელი ან/და ნებისმიერი მესამე პირი ნავსადგურის წინაშე დაადასტურებდა ყოველი კალენდარული წლის პერიოდზე ბათუმის ნავსადგურის ნავმისადგომის გავლით 1 000 000 ტონაზე მეტი ტვირთის გარანტირებულ რაოდენობას, რომელიც გარანტირებული იქნებოდა შესაბამისი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით, როგორც ამას ითვალისწინებდა ხელშეკრულების 3.12. მუხლი.

26. მოსარჩელემ სადავო გახადა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ფაქტი.

27. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკითხი იმის შესახებ სხვა კონტრაპენტთან შეღავათიანი პირობებით მომსახურება შეერაცხება თუ არა ხელშეკრულების შეთანხმებული პირობების დარღვევად მოპასუხეს უნდა გადაწყდეს ხელშეკრულების მითითებული პირობის განმარტების შედეგად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსესუასის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმომბას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობის

სათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენამი მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში ნარმონიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის ნინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტომდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე, როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნას განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

დადგენილია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 3.7. მუხლის თანახმად, ნავსადგურს უფლება ჰქონდა თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დაედო შესა-

ბამისი ხელშეკრულება, განესაზღვრა ფასდაკლების ოდენობა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხელშეკრულების 3.2. მუხლში მითითებულ ტვირთებზე /ტვირთმიმართულებებზე განსხვავებული ტვირთების/ /ტვირთმიმართულებების გადატვირთვის შესახებ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ხელშეკრულების 3.6. მუხლი ეხებოდა, ამავე ხელშეკრულების 3.2. მუხლში ჩამოთვლილ ტვირთებს, სხვა ტვირთებთან დაკავშირებით კი, ექსპედიტორს შეეძლო დაედო ნებისმიერი შინაარსის გარიგება. მართალია ხელშეკრულების 3.2. მუხლში ჩამოთვლილი ტვირთებზე გარკვეული შეზღუდვები დაწესდა, თუმცა, ნავსადგურს შეეძლო გაეფორმებინა იდენტური ხელშეკრულება სხვა პირებთანაც, იმ შემთხვევაში, თუ ისინი იდენტური სახის გარანტიასა და უზრუნველყოფის საშუალებებს შესთავაზებდნენ მას; ამგვარი შეზღუდვა არ ვრცელდებოდა იმ გარიგებებზე, რომლებიც დადებული იყო „ხელშეკრულების დადების დღისათვის“. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში სადაცოდაა გამხდარი ხელშეკრულების ამ დათქმის („ხელშეკრულების დადების დღისათვის“) განმარტების საკითხიც, რაზედაც ამომწურავადა ნამსჯელი სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაში.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამიერალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავეგძებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სა-

სამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტანდური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

29. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით ვინაიდან ხელშეკრულების ბუნდოვანი გამონათქვამების განმარტებასთან დაკავშირებით დადგენილია პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანხმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 8000 ლარის 70% – 5600 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ტ-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ შპს „ტ-ს“ უკან დაუბრუნდეს 2015 წლის 26 ოქტომბერს საგადახდო დავალებით №.. გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (4000 ლარი) და 2015 წლის 09 ნოემბერს საგადახდო დავალებით №.. გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (4000 ლარი) 5600 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბაჟის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი 3 0077 3150.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ნების გამოვლენის განმარტება

### განვითარება

№ას-878-845-2016

12 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რესტრში უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 2011 წლის 12 ივნისს (შემდეგში: მინდობილობა), ნ. მ-ამ (შემდეგში: მოსარჩევე) მის რძალს, ე. მ-ას (შემდეგში: პირველი მოპასუხე) მისცა მინდობილობა, რომლითაც მინდობილ პირს მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „იყიდოს ჩემს სახელზე ნებისმიერი ბინა, მდებარე ნებისმიერ მისამართზე ქალაქ ბ-ში საკუთარი შეხედულებისამებრ პირობების და ფასების დადგენით, რისთვისაც უფლებამოსილებას ვანიჭებ იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანიზაციასა და დანესტულებაში, მათ შორის სანოტარო კანტორაში, ორგანოებში, რომლებიც ახორციელებნ უძრავი ქონების და მასთან დაკავშირებული გარიგებების უფლებების რეგისტრაციას, ტექნიკური ინვენტარიზაციის ორგანოებში, დადოს და ხელი მოაწეროს წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებას, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, წილობრივი მონაწილეობის ხელშეკრულებას, მშენებლობის ინვესტირების ხელშეკრულებას, ხელშეკრულებას (შეთანხმებას) ბე-ს შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტს, დაარეგისტრიროს ხელშეკრულება, საკუთრების უფლება რეგისტრაციის კომპეტენტურ ორგანოებში, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით (წილობრივი მონაწილეობის ხელშეკრულებით) აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გადაიხადოს ფული, გააკეთოს ჩემი სახელით განცხადებები, შეკრიბოს, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტები, ხელი მოაწეროს ჩემს ნაცვლად და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან, აწარმოოს ყველა საჭირო ანგარიშწორება“ {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის)}

709-ე, 327.1-ე და 327.2-ე მუხლი).

2. მინდობილობის საფუძველზე, 2011 წლის ივლისში, პირველ მოპასუხესა და შპს „ო-ს“ (შემდეგში: სამშენებლო კომპანია) შორის, გაფორმდა მშენებარე საცხოვრებელი ბინის ე.ნ. „ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება“ (შემდეგში: წინარე ხელშეკრულება), რომლის საფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელეს ასამშენებელ მრავალსართულიან სახლში გადაეცემოდა 43.47 კვ.მ. საერთო ფართის №18 საცხოვრებელი ბინა და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდებოდა მომავალი მესაკუთრის – მოსარჩელის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში {სსკ-ის 327.3 მუხლი}.

3. წინარე ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. ბ-ში, შ. ხ-ის ქ. 15ა-ში მდებარე 43.47 კვ.მ. საერთო ფართის №18 საცხოვრებელი ბინის (შემდეგში: უძრავი ქონება) შეძენისათვის, სამშენებლო კომპანიაში შეტანილი იქნა 82 673.68 ლარი. აღნიშნული თანხები წარმოადგენდა მოსარჩელის კუთვნილს, რომელსაც იგი უგზავნიდა (ურიცხავდა) პირველ მოპასუხეს. ამასთან, ნასყიდობის საგნის საფასური შეჰქონდა ხან გ. ფ-ს (შემდეგში: მეორე მოპასუხე), ხან პირველ მოპასუხეს. მოპასუხები ერთმანეთს კარგად იცნობენ.

4. მინდობილობის საფუძველზე, 2013 წლის 18 სექტემბერს, პირველ მოპასუხეს, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელსა და სამშენებლო კომპანიას შორის, გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა მოსარჩელე (შემდეგში: პირველი ნასყიდობის ხელშეკრულება) {სსკ-ის 477-ე, 183-ე, 312-ე მუხლები}.

5. მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაციის (18.09.2013წ.) მომდევნო დღეს – 2013 წლის 19 სექტემბერს, პირველ მოპასუხესა და მეორე მოპასუხეს შორის დაიდონ ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდეგში: მეორე ნასყიდობის ხელშეკრულება), რომლითაც მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება, მინდობილობის საფუძველზე, იყიდა მეორე მოპასუხემ და აღირიცხა უძრავი ქონების შემძნად საჯარო რეესტრში. ნასყიდობის ლირებულება განისაზღვრა 43 000 აშშ დოლარით.

6. 2014 წლის 21 თებერვალს მეორე მოპასუხემ ა. წ-ეზე (შემდეგში: მესამე მოპასუხე) გაასხვისა უძრავი ქონება (მესამე ნასყიდობის ხელშეკრულება).

7. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა პირველი, მეორე და მესამე მოპასუხის მიმართ და მოითხოვა: მეორე და მესამე ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და უძრავი ქონების მე-

საკუთრედ მოსარჩელის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

8. ბ-ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი მეორე და მესამე ნასყიდობის ხელშეკრულებები და უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობილ იქნა მოსარჩელე.

9. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მეორე მოპასუხებმ.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1-ლი ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების პპ: 4.1-4.6.

12. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი მსჯელობის საგანს წარმოადგენდა პირველი მოპასუხის მიერ, მინდობილობის საფუძველზე, მეორე მოპასუხესთან დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ იმსჯელა მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებზე {სსკ-ის 709-ე და 52-ე მუხლი} და მიიჩნია, რომ მინდობილობის გაცემა განაპირობა მოსარჩელის სურვილმა, ქ. ბ-ში შეეძინა უძრავი ქონება. მარნმუნებელმა რწმუნებულს მიანიჭა სწორედ, უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით აუცილებელი მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილება, მათ შორის, თავდაპირველად „წინარე“, ხოლო შემდეგში, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების უფლება. მინდობილობის ტექსტში ჩანაწერს – „წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება“ მოსდევს სიტყვები – „ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება“, თუმცა ეს ჩანაწერი არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც წარმომადგენლისათვის უკვე შეძენილი ქონების გასხვისებაზე უფლების მინიჭება და იგი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების შემდეგ დადებული ძირითადი გარიგება – „ნასყიდობის ხელშეკრულება“. ტექსტში მითითებული ტერმინი – „ყიდვა-გაყიდვის“ ხელშეკრულება არის პირობითი სახელწოდება იმ გარიგებისა, რომელიც დაკავშირებულია უძრავი წივთის შეძენასთან. ამდენად, უდავოდ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ წინამდებარე მინდობილობით, პირველ მოპასუხეს მოსარჩელემ დააგალა უძრავი ქონების ყიდვა და განკარგვის (გასხვისების) ნება არ გამოუვლენია. შესაბამისად, პირველ მოპასუხეს არ გააჩნდა მესაკუთრის სახელით ნივთის გასხვისების უფლება. შე

საბამისად, მესამე მოპასუხესთან უძრავი ქონების გასხვისების შესახებ გარიგება სააპელაციო სასამართლომ ბათილად მიიჩნია, როგორც ნასყიდობის დადების შესახებ მესაკუთრის ნების გარეშე დადებული გარიგება სკ-ის 59.1-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით.

13. იმავდროულად, მესამე მოპასუხებ მიჩნეული იქნა არაკუთილსინდისიერ შემძენად, ვინაიდან, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მესამე და მეორე მოპასუხეს შორის, მეორე ნასყიდობის ხელშეკრულების დადება მოხდა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, რომლითაც მესაკუთრე (მოსარჩელე) მინდობილ პირს გასხვისების უფლებას არ ანიჭებდა. სამოქალაქო კოდექსი კი, არ იცნობს რა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმაციას, სკ-ის 183-ე, 312-ე მუხლებით შემძენი დაცული ვერ იქნებოდა.

14. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 1-ლი იენისის განჩინების გაუქმებისა და სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა აპელანტმა.

15. კასატორს უმართებულოდ მიაჩნია მინდობილობის შინაარსის შემდეგი განხმარტება: „მინდობილობის ტექსტში ჩანაწერს – „წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება“ მოსდევს სიტყვები – „ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება“, თუმცა ეს ჩანაწერი არ შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც წარმომადგენლისათვის უკვე შეძენილი ქონების გასხვისებაზე უფლების მინიჭება და იგი გაგებულ უნდა იქნეს, როგორც წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების შემდეგ დადებული ძირითადი გარიგება – „ნასყიდობის ხელშეკრულება“. ტექსტში მითითებული ტერმინი – „ყიდვა-გაყიდვის“ ხელშეკრულება არის პირობითი სახელწოდება იმ გარიგებისა, რომელიც დაკავშირებულია უძრავი წივთის შეძნასთან“. კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ პირველ მოპასუხეს მინდობილობით მიანიჭა ქ. ბ-ში ნებისმიერ შისამართზე არსებული უძარვი ქონების ყიდვის, შემდგომში, მისი გაყიდვის უფლებამოსილება სხვა უფლებებთან ერთად. შესაბამისად, ამავე მინდობილობის საფუძველზე გაფორმებული გარიგებით საჯარო რეესტრში მართლზომიერად დარეგისტრირდა მეორე მოპასუხეს საკუთრების უფლება (სსკ-ის 50-ე, 68-ე, 103-ე, 183-ე მუხლები).

16. კასატორი უთითებს, რომ სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია მეორე მოპასუხესი მიერ ნასყიდობის საფასურის 43000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტი. ასევე, კასატორისათვის

გაუგებარია თუ რას გულისხმობს სასამართლო, როდესაც ადგენს, რომ პირველი და მეორე მოპასუხები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

18. საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებით, უძრავ ქონებაზე გაფორმებული სადაც ნასყიდობის ხელშეკრულებები სწორად იქნა მიჩნეული ბათილ გარიგებად. მინდობილობის შინაარსის სწორი განმარტებით დადასტურდა, რომ პირველი მოპასუხე უფლებამოსილი არ იყო მოსარჩელის სახელით გაესხვისებინა მოსარჩელის კუთვნილი უძრავი ქონება. კასატორი სადაც ხდის მინდობილობის შინაარსის სასამართლოს მიერ განმარტებას და აღნიშნავს, რომ მინდობილობა პირველ მოპასუხეს ანიჭებდა უძრავი ქონების როგორც ყიდვის, ისე მისი გაყიდვის უფლებამოსილებას, თუმცა კასატორის აღნიშნული მოსაზრება არ ემყარება რაიმე მტკიცებულებას (პ: 15), ხოლო გარიგებაში გამოვლენილი ნების სწორი განმარტების საკითხი კი სასამართლოს მიერ სწორად არის გადაწყვეტილი და სრულად შეესაბამება გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების შესახებ დადგენილ პრაქტიკას (იხ., სუსგ №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი), რომელშიც აღნიშნულია, რომ „ხელშეკრულება უნდა განიმარტოს შხარეთა საერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირთა შეფასება მოცემულ გარემოებებში. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვაში (პირობა) უნდა განიმარტოს იმ მთლიანი ხელშეკრულების ჭრილში, რომელშიც ისინი არის მოცემული. სსკ-ი გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, მოიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელ-

შეკრულებათა განმარტების საკითხებს აწესრიგებს, მაგალითად, 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსას“. საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მართლზომიერადაა განმარტებული კონკრეტული მინდობილობის ტექსტში ის ჩანაწერი, რომელიც „ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას“ ეხება, და რომელიც იმგვარად იქნა გაგებული, რომ არ გულისხმობს წარმომადგენლისათვის უკვე შეძენილი ქონების გასხვისებაზე უფლების მინიჭებას. წარმოდგენილი მინდობილობის ტექსტში მითითებული ტერმინი — „ყიდვა-გაყიდვის“ ხელშეკრულება არის პირობითი სახელწოდება იმ გარიგებისა, რომელიც დაკავშირებულია უძრავი ნივთის შეძენასთან. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მინდობილობით, პირველ მოპასუხეს მოსარჩელემ დაავალა მხოლოდ უძრავი ქონების ყიდვა (შეძენა) და განკარგვის (გასხვისების) ნება არ გამოუვლენია. შესაბამისად, პირველ მოპასუხეს არ გააჩნდა მესაკუთრის სახელით ნივთის გასხვისების უფლება.

20. რაც შეეხება მესამე მოპასუხის კეთილსინდისიერების ფაქტს, აღნიშნულთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზია და ამ საკითხზე საკასაციო პალატა არ იმსჯელებს. იმავდროულად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას წინამდებარე განჩინების პ: 13, რომელიც შეეხება მინდობილობის სისწორის პრეზუმირების არარსებობას იხ., სუსგ №ას-813-764-2015, 28 ოქტომბერი, 2015 წლი.

21. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მინიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გა-

საჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

22. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან არსებობს სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკა, რომელიც ასახულია წინამდებარე განჩინებაში.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

24. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 5,018.32 ლარის 70% – 3,512.82 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. გ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-

უშვებლობის გამო.

2. კასატორ გ. ფ-ს უკან დაუბრუნდეს 2016 წლის 05 ოქტომბერს საგადახადო დავალებით №0 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (5,018.32 ლარი) – 3,512.82 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მართლსანინააღმდეგო და ამორალური გარიგებები

### განიხილავა

№ას-501-475-2015

31 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. გ. მ-ემ საარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიმართ და მოითხოვა მასსა და თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს შორის 2008 წლის 10 ივნისს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და კუთვნილი ქონების დაპრუნება შემდეგი დასაბუთებით:

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხე ს/ს „კოლხურ აბრეშუმს“ მოსარჩელე გ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 15 051.5 ლარის გადახდა. აღნიშული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

3. იმერეთის რეგიონალური სააღსრულებო ბიუროს 2001 წლის 28 თებერვლის აქტით (იძულებით აუქციონის ჩატარების გზით) ზემოაღნიშნული თანხის (15 051 ლარის) სანაცვლოდ, მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცა ქ. ქუთაისში, ნ-ის ქ. №--ში მდებარე 472 კვ.მ მინის ნაკვეთი №01/387, უძრავი ქონების – ქიმიკატების საწყობის შენობის 4/5 ნაწილი, გზის საერთო სარ-

გებლობის უფლებით, მაგრამ საკუთრებად ვერ დაირეგისტრირა, რადგან მინა არ ჰქონდა შესყიდული. ამის შემდეგ მოსარჩევეს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, ქუთაისის საკურებულოს მიერ გადაეცა მინა საკუთრებაში, რაზეც გაიცა 2008 წლის 28 აპრილის №153 საკუთრების მოწმობა და მთლიანი უძრავი ქონება საჯარო რეესტრში მის საკუთრებად დარეგისტრირდა.

4. მოსარჩელის განცხადებით, ამ ფაქტიდან სამი თვის შემდეგ, იგი დაიბარეს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში და პროკურორი დ. ჩ-ე დაემუქრა, რომ თუ სახელმწიფოს, კერძოდ, ქ. ქუთაისის თვითმმართველობას, საკუთრებაში არ გადასცემდა მის კუთვნილ ქონებას, დააკავებდნენ და პასუხისმგებაში მისცემდნენ. მოსარჩელის განმარტებით, რისთვის იჭერდნენ არ იცოდა, თუმცა მუქარა იყო რეალური, რადგან მისი აზრით, იგი ამ პერიოდისათვის არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, რომელსაც აიძულეს კუთვნილი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

5. 2008 წლის 10 სექტემბერს ქ. ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის ნარმომადგენელ მ-სა და გ. მ-ეს შორის შედგა ჩუქების ხელშეკრულება და ზემოაღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ქუთაისის საკურებულოს საკუთრებაში.

6. მოსარჩელის განცხადებით, ამჟამად აღნიშნული ქონება არის დამლილი და განადგურებული. შესაბამისად, სახეზეა დასაჩუქრებულის მხრიდან მჩუქებლის მიმართ უმაღლურობის გამოვლენა, რაც ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველია.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი დაუსაბუთებელი, უსაფუძლო და ხანდაზმულია.

8. გ. მ-ემ 2008 წლის 10 სექტემბერს №346 განცხადებით მიმართა ქუთაისის საკურებულოს თავმჯდომარეს და სურვილი გამოთქვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე ქ. ქუთაისში, ნ-ის ქ. №...-ში უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით გადაეცა ქუთაისის თვითმმართველობისათვის. აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოხდა ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება და აღნიშნული ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, ქონების მესაკუთრე გახდა თვითმმართველი ქალაქი – ქუთაისი.

9. მოპასუხის განცხადებით, ხელშეკრულების დადება მოხდა ყოველგვარი ძალადობის, მუქარისა და ზემოქმედების გარეშე, მოსარჩელის პირადი სურვილით. უცნობია, თუ რა სახის

მუქარას და იძულებას ჰქონდა ადგილი მოსარჩელის მიმართ მე-სამე პირისაგან, კერძოდ პროეურატურისაგან, ვინაიდან ასეთი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ არის. მოპასუხის განმარტებით, ხელშეკრულების ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი იძულება, არამედ ისეთი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე, იძულების შეფასებისას კი გასათვალისწინებელია ასაკი, სქესი, ცხოვრებისეული გა-მოცდილება და სხვა ფაქტორები. აღნიშნული უნდა დაადასტუ-როს მოსარჩელე მხარემ.

10. მოპასუხებ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხ-ლზე და განმარტა, რომ იძულებით დადებული გარიგება შეიძ-ლება სადაც გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამ-თავრების მომენტიდან. აღნიშნული ვადა კი მოცემულ შემთხვე-ვაში გასულია, ვინაიდან 2008 წლის 11 სექტემბრიდან 2014 წლის 13 თებერვლამდე გასულია თითქმის 7 წელი. შესაბამისად მხა-რემ გაუშვა არა მარტო სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ზო-გადი ხანდაზმულობის ვადა, არამედ ამავე კოდექსის 89-ე მუხ-ლით დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ვადაც. გარდა ზემოაღნიშნულისა, მოპასუხის განცხადებით, თვითმმართვე-ლი ქ. ქუთაისის მხრიდან არ განხორციელებულა რაიმე სახის ქმედება, რაც სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის შესაბამი-სად, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი შეიძლე-ბოდა გამხდარიყო.

11. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნი-სის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. მ-ები.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებით გ. მ-ის სააპე-ლაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ქუთაი-სის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვე-ტილება.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასა-მართლომ სწორად დაადგინა, რომ სადაც ქონება გ. მ-ეს სა-ხელმწიფოსაგან საკუთრებაში გადაეცა სს „კოლხური აბრეშუ-მისათვის“ დაკისრებული 15 051.5 ლარის გადახდევინების სა-ნაცვლოდ, ნატურით.

15. მოდავე მხარეთა შორის 2008 წლის 10 სექტემბერს და-დებული ჩუქების ხელშეკრულებით გ. მ-ებ სადაც ქონება უსა-ყიდლოდ საკუთრებაში გადასცა თვითმმართველ ქალაქ ქუთა-ისს.

16. დასაჩუქრებულის საკუთრების უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში 2008 წლის 11 სექტემბერს (იხ: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

17. 2014 წლის 7 თებერვლისათვის სადავო ქონების საპაზრო ღირებულება იყო 16 000 ლარი.

18. მოსარჩელე, საქმეში წარმოდგენილ ფოტოსურათებზე დაყრდნობით, მიუთითებდა, რომ სადავო ქონება გაპარტახებულია და ფაქტობრივად სანაგვედაა ქცეული, რაც მოპასუხეს, წარდგენილი შესაგვებლით არ უარუყყვია. ამდენად, ეს ფაქტობრივი გარემოება პალატამ დადგენილად მიიჩნია.

19. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასებულიყო – შესაძლებელია თუ არა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ჩუქება გაუქმდეს იმის გამო, რომ დასაჩუქრებულმა სათანადოდ არ იზრუნა ნაჩუქარ ქონებაზე, რითაც მჩუქებლის მიმართ გამოიჩინა დიდი უმაღლერობა.

20. პალატის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ სხორცად დაასკვნა, რომ ეს ქმედება არ მიეუთვენებოდა იმ ქმედებათა კატეგორიას, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც დიდი უმაღლერობა მჩუქებლის მიმართ. სასამართლოს აზრით, ამგვარი ქმედებები, ბართლაც, არის ა) არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ; ბ) განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას; გ) კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე – არჩინოს ან იზრუნოს იმაზე, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს მჩუქებელი – უარის თქმა და სხვა.

21. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც აპელანტი მიუთითებს ნაჩუქარი ქონების საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენების აუცილებლობაზე, ფაქტობრივად სადავო ქონებას ანიჭებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლით გათვალისწინებული შენირულობის სტატუსს, რაც არ იკვეთება მხარეთა შორის ნერილობით გაფორმებული 2008 წლის 10 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულებიდან. ამდენად, სადავო ქონებას ეს სტატუსი, კანონით გათვალისწინებული ფორმით (წერილობით) დადებული გარიგებით არ მინიჭებია და, ამიტომაც, დასაჩუქრებულს ამგვარი ვალდებულება, სადავო გარიგებით, არ დაკისრებია.

22. სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მიერ ახალ გარე-

მოებაზე მითითებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ აპელანტი სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების კიდევ ერთ საფუძვლად მიუთითებდა, რომ ჩუქების შემდეგ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში და მოესპონ სარჩო. პალატის განმარტებით, ამგვარი ფაქტობრივი გარემოება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მართლაც არის ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძველი, თუმცა აპელანტს (მოსარჩელეს), ამ გარემოებაზე სარჩელში არ მიუთითებია და, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არც რაიმე საპატიო მიზეზის არსებობა დაუსაბუთებია, რის გამოც ამ გარემოებაზე მითითება განხორციელდა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის ეს პოზიცია. ამასთან, აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით, აპელანტს არც რაიმე დოკუმენტის წარდგენით დაუმტკიცებია ზემოაღნიშული ფაქტობრივი გარემოების არსებობა. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლი.

23. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. მ-ემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

24. სასამართლომ არასწორად შეაფასა უმაღურობის ფაქტი და მიიჩნია, რომ ეს ქონება სახელმწიფოს გადაეცა შენირულობის ფორმით. ასევე არასწორად შეაფასა ქონების თვითღირებულების შემცირება, გ. მ-ე მიიჩნია გულუხვ პიროვნებად, რომელმაც ჩათვალა, რომ საკრებულოს უჭირდა, აჩუქა ქონება, რომელიც ამჟამად სანაგვედ არის ქცეული და ნადგურდება. ეს ფაქტი პალატამ დადგენილად მიიჩნია, თუმცა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადავო ქონება არის სამეწარშეო დანიშნულების მქონე ფართი, რომლის გამრჩებელზე დაბრუნებით მეტი შემოსავალი შევა ბიუჯეტში და მოხმარდება საზოგადოებას.

25. კასატიონის განმარტებით, სასამართლო არ არის შეზღუდული და მოსარჩელეს არ ავალებს მიუთითოს სამართლებრივი ნორმა ამა თუ იმ მოთხოვნის საფუძვლად, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია. ამავე დროს სარჩელსა და შემდეგ სააპელაციო საჩივარშიც მითითებულია იმ ფაქტებზე, რომ გამჩუქებელმა დიდი ქონებრივი ზიანი მიიღო ქონების გა-

ჩუქების შემდეგ, ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში და ამით მოესპონ სარჩო. ამ ფაქტის დადასტურების მიზნით, საქმეზე დაკითხული არიან მოწმეები, რითაც დადასტურებულია, როგორც უმაღლურობის ფაქტი, ასევე ამჟამინდელი მოსარჩელის ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე იძულების ფაქტი. კერძოდ ის გარემოება, რომ, გ. მ-ე დაიბარეს პროკურატურაში და დააწერინეს განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ქონებას ჩუქნიდა ქუთაისის თვითმმართველ ერთეულს, შემდეგ კი გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება. კასატორის განცხადებით, აღნიშნული ქონება განეკუთვნება იმ ქონებათა რიგს, რომელიც დიდი პოლემიკისა და განხილვის საგანია. საქართველოს გენერალურ პროკურატურაში დეპარტამენტიც კი შეიქმნა სახელმწიფოზე იძულებით გადაცემული ქონების დაბრუნების მიზნით.

26. საკასაციო საჩივრის ავტორი პრეტენზიას გამოთქვამს მასზედ, რომ მის მიერ სახელმწიფოსთვის გაჩუქებული ქონება უნდა მოხმარებოდა საზოგადოების ინტერესებს, ვინაიდან, დასაჩუქრებული სახელმწიფოა და ქონება წარმოადგენს კომერციულ ფართს. როდესაც ქონების გაჩუქება ხდება ფიზიკურ პირზე, იგი, რა თქმა უნდა, ქონებას იყენებს მისი კეთილდღეობისათვის, ხოლო სახელმწიფოს შემთხვევაში, ქონება გამოყენებული უნდა იქნას საზოგადოების ინტერესების სასარგებლობდ. სწორედ უმაღლურობაა ის ფაქტი, რომ ამჟამად სადავო ქონება საანაგვედაა ქცეული და ნადგურდება. საქმეში წარმოდგენილია დოკუმენტები, რითაც დასტურდება აღნიშნული ქონების თვითლირებულების შემცირების ფაქტი, რასაც სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა. კასატორის აზრით, სადავო ქონების გამჩუქებლისადმი დაბრუნებით სახელმწიფო უფრო მეტ სარგებელს მიიღებს ვიდრე დღეის მდგომარეობით არის და გამჩუქებლის ეკონომიკური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ივნისის განჩინებით გ. მ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განჩინებით გ. მ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

29. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

30. განსახილველ დავაში სასამართლომ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

31. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს/ს „კ-ს“ გ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 15 051.5 ლარის გადახდა.

32. იმერეთის რეგიონისაღური სააღსრულებო ბიუროს 2001 წლის 28 თებერვლის აქტით (იძულებითი აუქციონის ჩატარების გზით) აღნიშნული თანხის (15 051 ლარის) სანაცვლოდ გ. მეს საკუთრებაში გადაეცა ქ. ქუთაისში, ნ-ის ქ. №...-ში მდებარე 472 კვ.მ უძრავი ქონების, ქიმიკატების საწყობის შენობის 4/5 ნაწილი, რაზეც გაიცა საკუთრების მოწმობა და აღნიშნული უძრავი ქონება 2008 წლის 11 სექტემბერს საჯარო რეესტრში აღირიცხა მ-ის საკუთრების უფლებით.

33. 2008 წლის 10 სექტემბერს გ. მ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის საკურებულოს თავმჯდომარეს და სურვილი გამოთქვა ქ. ქუთაისში, ა. ნ-ის ქ. №...-ში მდებარე მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება უსასყიდლოდ გადაეცა თვითმმართველი ქალაქი ქუთაისისათვის.

34. 2008 წლის 10 სექტემბერს გ. მ-ესა და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის ნარმომადგენელს, საკურებულოს წევრ მ. მ-ს შორის დაიდო უძრავი ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის – ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოქალაქე გ. მ-ემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, მდებარე ქ. ქუთაისში, ა. ნ-ის ქ. №...-ში, ნაკვეთი №01/387 (საკადასტრო კოდი: №...) გადასცა თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს, ხოლო თვითმმართველმა ქალაქმა ქუთაისმა ნარმომადგენლის მეშვეობით მიიღო იგი საკუთრებაში.

35. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ

არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

36. მოცემულ საქმეში გ. მ-ე ითხოვდა მასსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ქონების უკან დაბრუნებას რამდენიმე საფუძვლით. მათ შორის, იმ საფუძვლით, რომ მან პროკურატურის მხრიდან ზენოლის გამო თავისი ქონება გადასცა სახელმწიფოს. მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ უძრავი ქონების რეგისტრაციის ფაქტიდან სამი თვის შემდეგ, იგი დაიბარეს პროკურატურაში, სადაც პროკურორი დ. ჩ-ე დაემჟერა, რომ თუ ქ. ქუთაისის თვითმმართველობას საკუთრებაში არ გადასცემდა მის კუთვნილ ქონებას, დაკავებდნენ და პასუხისმგებელი მისცემდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაკითხულ იქნენ მოწმეები.

37. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღნერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლო უნდა დაადგინოს ამათუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღნერილობა რამდენად შესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

38. მოცემულ შემთხვევაში სადავოა 2008 წლის 10 სექტემბერს, ერთის მხრივ, გ. მ-ესა (მჩუქებელი) და, მეორეს მხრივ, თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს (დასაჩუქრებული) შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა, რომლითაც გ. მ-ემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, წ-ის ქ. №...-ში საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცა ქ. ქუთაისის საკრებულოს. სხვა მოთხოვნებთან ერთად მოსარჩელის მოთხოვნას ნარმოადგენს მის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნების ბათილობიდან გამომდინარე, სადავო მიწის ნაკ-

ვეთზე საკუთრების უფლების დაბრუნება.

39. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადაცო ჩუქე-ბის ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხის შეფასებისას სა-აპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სამოქალაქო კო-დექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად უმაღუ-რობის გამო ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების, ასევე სამო-ქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამი-სად მჩუქებლის მძიმე მდგომარეობის გამო ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების სამართლებრივ საფუძვლებზე, თუმცა არ შე-უფასებია სადაცო ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მოსარ-ჩელის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობის წინაპირობები: დაცული იყო თუ არა ნების გამოვლენის თავისუფლების უზ-რუნველყოფის შესაბამისა პირობები – ხომ არ ჰქონდა ადგილი მოსარჩელეზე პროკურატურის მხრიდან ფსიქოლოგიურ ზემოქ-მედებას და ხომ არ განაპირობა ქონებაზე უარი შექმნილმა ვი-თარებამ; რა მოტივი ამოძრავებდა მჩუქებელს იმ უძრავი ქო-ნების სახელმწიფოსთვის ჩუქებისას, რომელზე საკუთრებაც ჩუქებამდე რამდენიმე თვით ადრე მოიპოვა და აღნიშნული ჩუ-ქების ხელშეკრულების დადება, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, არღვევს თუ არა საზოგადოებრივ მარ-თლწერიგს იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულების მონაწი-ლე სუსტი მხარე (კერძო პირი) სადაცოდ ხდის მის მიერ სახელ-მწიფოსთან ხელშეკრულების დადებისას გამოვლენილი ნების ნამდვილობას.

40. საკასაციო სასამართლო მოსარჩელის (კასატორის) პრე-ტენზიის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით ყურადღებას მიაქცევს სადაცო ჩუქების ხელშეკრულების შინაარსს და მას განიხილავს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის (მართლსაწი-ნააღმდეგო და ამორალური გარიგებანი) სამართლებრივ კონ-ტექსტში.

41. კერძოდ, სადაცო არაა, რომ გ. მ-ემ 2008 წლის 10 სექტემ-ბრის ჩუქების ხელშეკრულებით ქ. ქუთაისში, წ-ის ქ. №...-ში მდე-ბარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გა-დასცა სახელმწიფოს.

42. არც ისაა სადაცო, რომ საკუთრების გადაცემისას მო-სარჩელეს სახელმწიფოს წინაშე არანაირი შეუსრულებელი ვალ-დებულება არ გააჩნდა.

43. სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსე-ბობას უზრუნველყოფს, როგორც კანონი, ასევე, მორალური ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერ-ძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და

თავისუფალი კონტრაპირების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომელიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და მას ბათილობის სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.

44. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.

45. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვ.

46. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. გარიგების მართლსაწინააღმდეგობისა და ამორალურობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა მხარეთა ნებას ენიჭება, თუმცა, აუცილებელი არ არის მხარეთა ნება თანხვედრი იყოს, ანუ გარიგების დადების ამორალური და მართლსაწინააღმდეგო მოტივი და მიზანი ორივე მხარეს ამოძრავებდეს. გარიგების ამორალურად და მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევის მიზნებისათვის საკმარისია გარიგების ერთ-ერთი მხარის არამართლზომიერი, ამორალური განზრახვა.

47. სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სამართალურთიერთობის არსებობისას, როდესაც ამავე ურთიერთობის მხარეებს შორის ნდობისა და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია. პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა იმ სამართალურთიერთობაში, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს, ნდობისა და

კეთილსინდისიერების ხარისხი განსაკუთრებულად მაღალია. ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში. გამოსავალი ამ შემთხვევაში სტრუქტურული დისბალანსის აღდგენაში უნდა ვეძებოთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კეთისინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას – ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა – დავიცვათ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებები. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნას ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი თავად გარიგების მიმართ და კეთილსინდისიერი შემძენის არსებობის შემთხვევაში, სოციალური თანასწორობის აღდგენისაკენ სწრაფვისას არ უნდა იქნას დავინუყებული სუსტი მხარის ინტერესების დაცვა. უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან კონტრაშენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი მოქმედებს. რადგანაც, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საჯარო წესრიგის დაცვა.

48. „საჯარო წესრიგის“ ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნეობრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე საზოგადო ფასეულობისაა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძვლებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის სანინააღმდეგო გარიგებას. აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შებოჭილია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული. მაშასადამე, ყოფილა ურთიერთობანი, რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ „კერძო ავტონომიის საქმე“.

49. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისუბურება ის არის, რომ ყოველი მხარე იმ ტვირთის მატარებელი შეიძლება იყოს, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა დასტურდება, რომ იგი უძლურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება. სწორედ, სახელმწიფოს ეკისრება იმისი მტკიცების ვალდებულება, რომ მასსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული უსასყიდლო გარი-

გება არ ენინალმდეგება მორალურ იმპერატივებს და სუსტი მხარის ინტერესებს (იხ. სუს 2016 წლის 1 მარტის განჩინება, საქმე №ას-15-15-2016).

50. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთმითოებულ გარემოებათა ერთობლიობაში შეფასების შედეგად მოცემულ დავაში სააპელაციო სასამართლოს მიერ პასუხაუცემებით კითხვები სახელმწიფოსა და კერძო პირს შორის გაფორმებული ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ეწინააღმდეგება თუ არა მორალურ იმპერატივებსა და სუსტი მხარის ინტერესებს იმ პირობებში, როდესაც თავად სუსტი მხარე (ფიზიკური პირი) ხდის სადავოდ ხელშეკრულებას საკუთარი ნების ნამდვილობის გამო; სადავო ხელშეკრულების დადებისას სახელმწიფოს მხრიდან დაცული იყო თუ არა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპები, რომელთა ხარისხი ყველა სამართლურთიერთობაში, სადაც სახელმწიფო მონაწილეობსა, განსაკუთრებით მაღალი უნდა იყოს. სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია ასევე მტკიცების სტანდარტი, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას ამტკიცოს მასსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული უსასყიდლო გარიგების მოტივი და მორალურ პრინციპებთან და საჭარო წესრიგთან მისი შესაბამისობა.

51. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ რამდენადაც სადავო ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი (მართლსანინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი), შესაბამისად, სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება, მასზე შეცილების რაიმე ვადის გავრცელება სამოქალაქო კოდექსით წაკარნახევი არ არის და მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა.

52. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მი-

ღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არას-რულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად დაადგინოს ახალი ფაქტები და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები სადაც სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე, რაც საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველია.

53. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განუულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განახილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

**მართლსანიერადეგო და ამორალური გარიგება  
მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება  
ხეპაზე დამოკიდებული პირობა**

**განხილვა**

№ას-873-823-2015

6 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. შპს „E“ (შემდეგში: მოსარჩელე, გამყიდველი, აპელანტი ან კასარონი) ქ. ქ....., დ. აღმაშენებლის გამზირი №5.....ში მდე-  
ბარე მრავალსართულიანი სახლის მშენებელია და მის საკუთ-  
რებად ირიცხება ამავე მისამართზე მდებარე № 28 ბინა – ფარ-  
თობით 41.14 კვმ.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 ივლისის  
განჩინებით ყადაღა დაედო გამყიდველის საკუთრებაში რიც-  
ხულ №28 ბინას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის, შემდეგში სსსკ, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნ-  
ქტი).

3. 2013 წლის 16 ივლისს დაინტერესებულმა პირმა განცხა-  
დებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემ-  
დეგში საჯარო რეესტრი) და მოითხოვა გამყიდველის საკუთ-  
რებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე – №28 ბინაზე ყადალის ნარ-  
მოშობის რეგისტრაცია, რაც დაკმაყოფილდა იმავე წლის 17 ივ-  
ლისის გადაწყვეტილებით და მითითებულ ბინაზე დარეგის-  
ტრირდა უფლების შეზღუდვა.

4. გამყიდველსა და ნ. დ-ეს (შემდეგში: მოპასუხე, მყიდვე-  
ლი) შორის, 2013 წლის 8 აგვისტოს, №28 ბინაზე, დაიდო წინარე  
ნასყიდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 477-ე, 327-ე მუხლები);

5. ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველი ბინაზე საკუთრე-  
ბის უფლებას მოიპოვებდა მისი ღირებულების – 21 393 აშშ დო-  
ლარის გადახდის შემდეგ. თანხის გადახდა უნდა განხორციე-  
ლებულიყო შემდეგი წესით: 6 418 აშშ დოლარი ხელშეკრულე-

ბის ხელის მოწერიდან ერთი დღის ვადაში, 2013 წლის 14 სექტემბერს მოპასუხე გადაიხდიდა 3 743.75 აშშ დოლარს, იმავე წლის 14 ოქტომბერს – 3 743.75 აშშ დოლარს, იმავე წლის 14 ნოემბერს – 3 743.75 აშშ დოლარს, ბოლოს – 3 743.75 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა იმავე წლის 14 დეკემბერს.

6. მყიდველმა 2013 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინის ნასყიდობის საფასური სრულად გადაიხდა შეთანხმებულ ვადებში.

7. 2013 წლის 13 დეკემბერს გამყიდველსა და მყიდველს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (სს-ის 477-ე მუხლი), რომლის საფუძველზეც, ამ უკანასკნელს შეზღუდული საკუთრების უფლებით გადაეცა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე მდებარე ბინა №309, ფართით 73.16 კვმ.

8. ხელშეკრულება შეიცავს განსაკუთრებულ პირობებს. კერძოდ: მყიდველს არ აქვს უფლება, შეძენილი ქონება გაასხვისას ან დატვირთოს სანივთო ან/და ვალდებულებითი უფლებებით 2014 წლის 15 იანვრამდე. ასეთი შეზღუდვა დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში (იხ. ხელშეკრულების 9.1 მუხლი).

9. გამყიდველი ვალდებულია, 2014 წლის 15 იანვრამდე №28 ბინაზე მოხსნას ყადაღა და საკუთრებაში გადასცეს მყიდველს. №28 ბინის მყიდველის საკუთრებად რეგისტრაციის შემდეგ, მხარეები საჯარო რეესტრში დადებენ ხელშეკრულებას 2013 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულების (იხ. მე-7 პუნქტი) გაუქმების შესახებ, რომლის საფუძველზეც, №309 ბინა კვლავ აღირიცხება გამყიდველის საკუთრებად (იხ. ხელშეკრულების 9.2 მუხლი).

10. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ თუ ვერ შესრულდება ხელშეკრულების 9.2. პუნქტით გათვალისწინებული პირობა, მაშინ 9.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება, №309 ბინა მყიდველს დარჩება შეზღუდვის გარეშე.

11. მყიდველმა საჯარო რეესტრში წარადგინა 2013 წლის 13 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება (იხ. მე-7 პუნქტი) და იმავე წლის 23 დეკემბერს დარეგისტრირდა №309 ბინის მესაკუთრედ, ვალდებულების ჩანაწერის გრაფაში კი დარეგისტრირდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვა (იხ. ამ განჩინების მე-8 პუნქტი).

12. გამყიდველმა №28 ბინა ყადაღისაგან გაათავისუფლა 2014 წლის 2 თებერვალს, ხოლო საკუთრებად დაირეგისტრირა იმავე წლის 5 თებერვალს.

13. 2013 წლის 8 აგვისტოსათვის დაყადალებული იყო ბინა

№309.

14. გამყიდველმა 2014 წლის 25 თებერვალს სარჩელი აღძრა მყიდველის წინააღმდეგ და მოითხოვა 2013 წლის 08 აგვისტოსა და 13 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებების (იხ. ამ განჩინების მე-4 და მე-7 პუნქტები) ბათილად ცნობა და №309 ბინის მოსარჩელის საკუთრებად აღრიცხვა.

15. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

16. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინების გაუქმება და იმავე სასამართლოს 2014 წლის 06 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

17. გამყიდველის სააპელაციო საჩივარი შემდეგ საფუძლებს მოიცავს:

17.1. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 52-ე; 56-ე მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ ში სსსკ) 131-ე მუხლი და არასწორად გამომარტა სსკ-ის 477-ე მუხლი. შესაბამისად, არ დაადგინა ის სადავო ფაქტობრივი გარემოება, რომ 2013 წლის 13 დეკემბერს მხარეთა შორის თავისი შინაარსით კი დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, მაგრამ მხარეთა ნამდვილი ნება არ იყო მიმართული იმ შედეგის მისაღწევად, რასაც ნასყიდობა თავისი სამართლებრივი ბუნებით ითვალისწინებს, ანუ მოსარჩელეს რეალურად არ გამოუვლენია ნება №28 ბინის ნასყიდობის საფასურის სანაცვლოდ გაეყიდა ბინა №309 და, თავის მხრივ, არც მყიდველს გამოუვლენია რეალური ნება, შეეძინა აღნიშნული ბინა და შესაბამისად, გადაეხადა ნასყიდობის საფასური, რაც დაადასტურა კიდეც მოპასუხის წარმომადგენელმა (იხ. 07/11/2014-ის სხდომის ოქმი 17:48:15 – 17:50:12);

17.2. სასამართლომ არ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2013 წლის 13 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფასური რეალურად არ გადაუხდია მოპასუხეს, ვინაიდან მხარეთა შორის სინამდვილეში №309 ბინის ყიდვა-გაყიდვის სამართლებრივი ურთიერთობა არ ყოფილა;

17.3. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა რამდენჯერმე დაადასტურა (აღიარა) ის ფაქტი,

რომ 2013 წლის 13 დეკემბერს მთარეთა შორის დადებულ ნასყი-დობის ხელშეკრულებაში მითითებული საფასური რეალურად არ არის გადახდილი. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 131-ე მუხ-ლის საფუძველზე სასამართლოს უნდა დაედგინა ფაქტი, რომ №309 ბინაზე დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული საფასური მყიდველს არ გადაუხდია, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდებოდა, რომ მხარეთა ნამდვილი ნება არ იყო იმ სამართლებრივი შედეგების წარმოშობის, შეცვლის ან/და შეწყვეტისაკენ მიმართული, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების თვისაა დამახსასიათებელი – თანხის გადახდის სანაცვლოდ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება (იხ. 07/11/2014-ის სხდომის ოქმი 17:48:15-17:50:12);

17.4. სსსკ-ის 177-ე, 393-ე, 232<sup>1</sup>-ე, 241-ე, 102-ე მუხლებზე დაყრდნობით, სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა მოპასუხის წარმომადგენლის მტკიცება რომ მყიდველი, მიუხედავად ჩანრეის ადგილისა (ქ. თბილისი, ზ..... ქ. №12, ბინა №11), სინამდვილეში ცხოვრობს სულ სხვა მისამართზე და ეს იცოდა გამყიდველმა, რომელმაც შეგნებულად არ უზრუნველყო სარჩელისა და თანდართული მასალების მისთვის დროული ჩაბარება; მოპასუხეს არ წარუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება იმის დასტურად, რომ მოსარჩელებ ნამდვილად იცოდა მოპასუხის სხვა მისამართზე ცხოვრების ფაქტი. არც საჩივარში, არც მასზე დართულ დოკუმენტებში, არც საჩივრის განხილვის დროს არ დადგენილა, რომელია ე.წ. „სხვა მისამართი“. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საჩივარზე დართულ მინდობილობებში, რომელიც სანოტარო წესითაა დამოწმებული, მოპასუხის მისამართად მითითებულია ამ უკანასკნელის რეგისტრაციის მისამართი;

17.5. სასამართლომ არ დაასაბუთა განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რითაც დაარღვია, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, ასევე კანონმდებლობა (სსსკ-ის 249-ე, 394-ე მუხლები);

17.6. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 54-ე, 81-ე, 83-ე მუხლები და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში სააღსრულებო წარმოებათა კანონი) 63<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლო ადასტურებს მოსარჩელის პოზიციის მართებულობას იმასთან დაკავშირებით, რომ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ დადებული ნებისმიერი

რი ტიპის გარიგება ბათილად უნდა გამოცხადდეს, მაგრამ სასა-მართლოს განმარტებით, აუცილებელია, დაზუსტდეს 2013 წლის 8 აგვისტოს გარიგება საცილოდ ბათილი გარიგებაა თუ უცილოდ ბათილი. ასევე უნდა გაირკვეს მსგავსი გარიგების შე-ცილების უფლება ვის აქვს;

17.7. სასამართლოს არგუმენტაციით, 2013 წლის 8 აგვისტოს მყიდველმა არ იცოდა, რომ ქონება, რომლის ყიდვასაც აპირებდა, დაყადალებული იყო. მან ამის შესახებ გაიგო მას შემდეგ, რაც გადაიხადა თანხა და მოითხოვა საკუთრებაში ნივთის გადაცემა. გასაყიდ ქონებაზე ყადალის დადების შესახებ იცოდა გამყიდველმა, მაგრამ მას სურდა ნასყიდობის საფასურის მიღება და ყადალადადებული ქონების გაყიდვა მოპასუხეზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი გარიგება არაა უცილოდ ბათილი გარიგება და საცილო გარიგებაა და მას უნდა მიენიჭოს მოტყუებით დადებული გარიგების კვალიფიკაცია. სასამართლოს არგუმენტით, ვინაიდან მოსარჩელემ მოატყუა მოპასუხე, მან დაკარგა შეცილების უფლება, შეაბამისად, შეცილების უფლება ანუ გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მყიდველს;

17.8. 2013 წლის 8 აგვისტოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, კერძოდ, სააღსრულებო წარმოებათა კანონის 63-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „ბათილია ყადალადადებულ უძრავ ქონებაზე ყადალის დადების შემდგომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება“. აღნიშნული ნორმების საფუძველზე იმპერატიულად, ყოველგვარი სხვა დათქმის გარეშე დადგენილია, რომ ყადალის დადების შემდეგ, ნებისმიერი ტიპის გარიგებას კანონმდებელი ბათილად მიიჩნევს;

17.9. მოსარჩელემ აღიარებითი სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მხარეთა შორის რეალურად არსებული სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა. მოსარჩელეს არ მოუთხოვთ გარიგების ბათილობა, მოტყუების საფუძველზე. ყადალადადებულ ქონებაზე ნებისმიერი ტიპის გარიგებას კანონი ბათილად აცხადებს. ამიტომ ასეთი ტიპის გარიგება უცილოდ ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული;

17.10. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 61-ე მუხლი („უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ არარა გარიგებს, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება. თუ გარიგებას

ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას. თუ უცილოდ ბათილ ორმხრივ გარიგებას მხარეები ადასტურებენ, მაშინ ისინი საეჭვოობისას ვალდებული არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება ნამდვილი რომ ყოფილიყო. დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ენინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს");

17.11. მხარეთა მიერ 2013 წლის 8 აგვისტოს №28 ბინაზე დადებული ხელშეკრულება უცილოდ ბათილი (არარა) გარიგებაა, ვინაიდან 2013 წლის 13 დეკემბერს მხარეთა შორის №309 ბინაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შეიცავდა პირობას, რომ თუ გამყიდველი მოხსნიდა ყადალას №28 ბინაზე, მაშინ მხარეთა შორის გაუქმდებოდა №309 ბინაზე დადებული ხელშეკრულება და №28 ბინა კვლავ გადაეცემოდა საკუთრებაში მყიდველს, ხოლო თუ ამ პირობას ვერ შეასრულებდა გამყიდველი, მაშინ ამ უკანასახელს საკუთრებაში დარჩებოდა ბინა №309. აპელანტის მტკიცებით, მხარეთა შორის 2013 წლის 8 აგვისტოს დადებული უცილოდ ბათილი გარიგება სასამართლოს უნდა ჩაეთვალა მყიდველის მხრიდან ხელახლა დადებულად, მაშინ, როდესაც მას სადავოდ არ გაუხდია, ანუ კანონმდებლობით განსაზღვრულ ერთწლიან ვადაში შეცილების უფლება არ გამოუყენებია. აღნიშნული გარიგების ბათილად ცნობას ითხოვდა გამყიდველი აღიარებითი სარჩელის მეშვეობით.

17.12. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 90-ე და 92-ე მუხლები. 2013 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულების შინაარსიდან დგინდება, რომ გარიგების „პირობა“ იყო ის, რომ გამყიდველი ვალდებული იყო, 2014 წლის 15 იანვრამდე მოეხსნა ყადალა და საკუთრებაში გადაეცა №28 ბინა მყიდველისთვის. ხელშეკრულებაში ტერმინი: „იყო ვალდებული“ ნიშნავს, რომ გამყიდველს უნდა ემოქმედა, ანუ მის ნებაზე/მასზე იყო დამოკიდებული პირობის შესრულება და შესაბამისად მთლიანად გარიგების ბედი. ამას ადასტურებს თვით ხელშეკრულების შინაარსი (9.4. მუხლი), ვინაიდან თუკი გამყიდველი არ შეასრულებდა ვალდებულებას, ე.ი. არ გამოხატავდა ნებას, რომ ემოქმედა, ბინა რჩებოდა მყიდველს საკუთრებაში. ვინაიდან „პირობის“ შესრულება ე.ი. მოქმედება (ყადალის მოსახსნელად სასამართლოსთვის მიმართვა) გამყიდველის ნებაზე იყო დამოკიდებული, შესაბამისად, აღნიშნული პირობით დადებული გარიგება ითვლება ნებაზე დამოკიდებულ პირობად, რაც სსკ-ის 92-ე მუხლის მიხედვით ბათილია.

18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინებით გამყიდველის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

19. სასამართლომ დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-13 პუნქტებში მითითებული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათ შესახებ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასკვნები.

20. სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის მტკიცებაზე, რომ №309 ბინა მისი საკუთრებიდან გავიდა ბათილი გარიგების საფუძველზე, ბათილი გარიგება არღვევდა გამყიდველის კანონიერ უფლებებს, მათ შორის, საკუთრების უფლებას, რის გამოც წარადგინა სარჩელი და მიზნად დაისახა ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენა. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი დარღვეული უფლების აღდგენის კანონიერი გზაა. შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს, ამტკიცოს გარიგების ბათილობის საფუძვლების არსებობა და მათი გაბათილების გზით მოითხოვოს საკუთრების უფლების აღდგენა. ამ საკითხის გასარკვევად, გამოსაკვლევია გარიგების დადების სამართლებრივი საფუძვლები და მათი შესაბამისობა კანონით დადგენილ წესთან.

21. სსკ-ის 183-ე, 477-ე მუხლებისა და წინამდებარე განჩინების 4-5 პუნქტების გათვალისწინებით, სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულება ისეთი სამართლებრივი ბორკილია, რომელიც ვალდებულების მონაწილე სუბიექტებს აიძულებს რაიმე მოქმედების შესრულებას, ან ასეთი მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებას. ნასყიდობაში ვალდებულების არსებობა ნასყიდობის ფასის დროულად, დათქმულ დროს გადახდას გულისხმობს. ნასყიდობასთან დაკავშირებული გარიგება ხელშეკრულებაა და მისი ნამდვილობისათვის აუცილებელია მყიდველისა და გამყიდველის მიერ უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით ნების თავისუფალი გამოვლენა. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეები თანხმდებიან ნასყიდობის არსებით პირობებზე და არსებითი პირობების შეთანხმების შემდეგ, გამოხატავენ ნებას ხელშეკრულების დადებაზე, რის შემდეგაც ერთი მხარე მეორეს გადასცემს ნასყიდობის საფასურს. თავის მხრივ, გამყიდველი ღებულობს ვალდებულებას, დათქმულ დროს, საკუთრებაში გადასცეს გასხვისებული ნივთი. ნასყიდობის ხელშეკრულების დროს კრედიტორი შეზღუდულია სანაცვლო ვალდებულებებით – ფასის მიღების შემდეგ, ნივთზე გადასცეს საკუთრების ნამდვილი უფლება.

22. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეები არ

დავობდნენ მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდაზე, შეთანხმებულ ვადებში. ნასყიდობის საფასურის გადახდის შემდეგ, გამყიდველი ვალდებული იყო, ნკისრი ვალდებულება შესრულებაზე ჯეროვნად (სსკ-ის 361-ე მუხლი), ანუ დათქმულ დროში, მყიდველისათვის საკუთრებაში გადაეცა უძრავი ბინა №28. გამყიდველმა, დათქმულ ვადაში, ნასყიდობის საგანი ვერ გადასცა მყიდველს და ვერც გადასცემდა, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე, დაახლოებით 20 დღით ადრე, ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველისათვის გადასაცემი ბინა დაყადალებული იყო. მხარეებს შორის შეიქმნა ურთიერთობის ე.წ. ვაკუუმი. მყიდველმა გადაიხადა უძრავი ქონების საფასური და მოითხოვდა უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას. გამყიდველს სურდა ვალდებულების შესრულება, მაგრამ ვერ ასრულებდა იმის გამო, რომ ქონებაზე რეგისტრირებული იყო ყადაღა. ამ გარემოებამ მხარეები მიიყვანა ახალი გარიგების, ანუ 2013 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულების დადებამდე, რაც ასევე დავის საგანს წარმოადგინს.

23. სააპელაციო სასამართლომ ქვემდგომი სასამართლოს დასკვნაზე მიუთითა, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტისათვის აუცილებელია დაზუსტდეს 2013 წლის 8 აგვისტოს გარიგება საცილოდ ბათილი გარიგებაა თუ უცილოდ ბათილი. საკითხის გადასაწყვეტად, ასევე მნიშვნელოვანია განიმარტოს, ვის აქვს მსგავსი გარიგების შეცილების უფლება. დადგენილია, რომ 2013 წლის 8 აგვისტოს მყიდველმა არ იცოდა, რომ ქონება №28 ბინა, რომლის ყიდვასაც ის აპირებდა, დაყადალებული იყო. მან ამის შესახებ გაიგო ნასყიდობის სრული ფასის გადახდის შემდეგ და მოითხოვა ბინის საკუთრებაში გადაცემა. გასაყიდ ქონებაზე – №28 ბინაზე არსებული უფლებრივი შეზღუდვა იცოდა გამყიდველმა, მაგრამ მას სურდა ნასყიდობის საფასურის მიღება და ასეთი სახით მიჰყიდა ბინა მოპასუხეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი გარიგება არა უცილოდ ბათილი გარიგება. მსგავსი გარიგება საცილო გარიგებაა და მას უნდა მიენიჭოს მოტყუებით დადებული გარიგების, ანუ სსკ-ის 81-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაცია („თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამულავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამულავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მა-

შინ, როცა მზარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად“).

24. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა ქვემდგომი სასა-მართლოს განმარტებას, რომ გამყიდველს მხოლოდ №28 ბინა არ გააჩნდა, გარდა ამისა, მხოლოდ მოსარჩელე არ არის სახლე-ბის მშენებელი. „ლოგიკას მოკლებულია მსჯელობა, რომ მყიდ-ველს სურვილი ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულება დაედო იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც დაყადაღებული იყო და რომელსაც ვერ გაიფორმებდა. ამ ქონებაზე მყიდველი არ დადებდა გარი-გებას, რომ არა მისი შეცდომაში შეყვანა მოსარჩელის მიერ და დუმილა ნაკლთან დაკავშირებით. გამყიდველმა იცოდა, რომ ქო-ნებაზე შეზღუდვა იყო რეგისტრირებული და მისი ვალდებუ-ლება იყო, მყიდველთან ამ ქონებაზე არ დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება“. გამყიდველმა მყიდველი მოატყუა, რომ გასა-ყიდი ნივთი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო იყო, რი-თაც დაკარგა გარიგებაში შეცილების უფლება. ასეთი შეცილე-ბის უფლება აქვს მყიდველს. თუ მყიდველი სადავოდ გახდიდა ამ ხელშეკრულებას, მაშინ იგი გაბათილდებოდა და თითოეული მხარე ვალდებული გახდებოდა, ერთმანეთისათვის დაებრუნე-ბინა ის, რაც გარიგებით მიიღეს. მოცემულ შემთხვევაში, მყიდ-ველი ამ გარიგებას სადავოდ არ ხდის, შესაბამისად, არ არსე-ბობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

25. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა ქვემდგომი სასა-მართლოს განმარტებას, რომ გარიგება, რომელიც დადებულია დადგენილი წესისა და აკრძალვების, საჯარო წესრიგის ან ზნე-ობის ნორმების წინააღმდეგ, ასევე, მოტყუებით, თვალთმაქ-ცობით ან მოჩენებით ბათილია (სსკ-ის 54-56-ე, 81-83-ე მუხ-ლები). დასახელებული ნორმების მიხედვით, გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დადგენილ წესსა და აკრძალვებს.

26. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 54-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „ბათი-ლია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“. მოსარჩელის მტიცებით, არსებობდა სსკ-ის 56-ე და 92-ე მუხლებით გათვალისწინებული გარიგების ბათილად ცნო-ბის საფუძველი.

27. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ 2013 წლის 8 აგვისტოს გა-რიგება ეწინააღმდეგებოდა სააღსრულებო წარმოებათა კანო-ნის 63<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილს: „ბათილია ყადაღადადებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ ამ მუხლის პირვე-ლი პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარიგება“.

28. სსკ-ის 56-ე მუხლით: „1. ბათილია გარიგება, რომელიც

დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). 2. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალობაქცური გარიგება)“.

29. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარიგების ნამდვილობა და-მოციდებულია მხარეთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე. ნას-ყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, პირველ რიგ-ში, აუცილებელია მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლინება. უძრავი ქონების მესაკუთრემ უნდა გამოხატოს ნება, რომ ქო-ნება საკუთრებად გადასცეს მყიდველს. ხელშეკრულების ნამ-დვილობისათვის აუცილებელია, მის შინაარსთან დაკავშირებით ორივე მხარის ნების გამოვლენა, რაც შესაბამის დოკუმენტში აისახება. კანონმა დაადგინა, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. საქმეში ნარდგენილი ხელშეკრულების ფორმა დაცულია და შეიცავს ყვე-ლა აუცილებელ რეკვიზიტს. გამყიდველის განმარტებით, მას სურდა გარანტიის მიცემა და არა ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. მხარეებმა გარანტიის გაცემის გარიგებაზე გამოავლი-ნეს ნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი გარიგება დაითარა ნასყიდობის ხელშეკრულებით.

30. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულება არის ორი ან მეტ პირს შორის დადებული გარიგება და მის დასადებად ცალ-მხრივი ნების გამოვლინება არაა საკმარისი. მისი ნამდვილობი-სათვის სავალდებულოა, რომ მხარეებმა ერთმანეთთან შეათან-ხმონ გარიგების პირობები და, შეთანხმების შემდეგ, ნების გა-მოვლენის თაობაზე შედგენილ დოკუმენტზე მოანერონ ხელი. ასეთი პირობა გამომდინარეობს სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან.

31. დადგენილია, რომ 2013 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრუ-ლების დადების აუცილებლობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გამყიდველმა მყიდველს მიჰყიდა ყადაღადადებული ქონება და, უძრავი ქონების გადაცემის ვადის დადგომისას, ვერ შეძლო, ნასყიდობის საფასურის სანაცვლოდ, ქონების საკუთრებაში გა-დაცემა. შექმნილი სიტუაციის განმუხტვის მიზნით, გამყიდველ-მა მყიდველთან დადო 2013 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულე-ბა და შეუთანხმა ყველა ის პირობა, რაც ასახულია ხელშეკრუ-ლებაში. ამ პირობების ასახვასა და გარიგების დადებას გამყიდ-ველი მიიჩნევდა არა ნასყიდობად, არამედ – გარანტიის მიცე-მად.

32. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 56-ე მუხლით სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია გარიგების მონაწილეებმა ნამდვილი ნება დაფარონ სხვა გარიგებით. მხარეთა ნება, მათი სურვილი მიმართული უნდა იყოს სხვა გარიგებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისაკენ. თვალთმაქცური გარიგების დადების დროს, მხარეები აცნობიერებენ, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება და იგი დადებულია მხოლოდ სხვა გარიგების დასაფარავად, ამასთან, მხარეებს სურთ სხვა გარიგების შესრულება.

33. სასამართლომ განმარტა, რომ თუ მოჩვენებითი გარიგების დროს, მისი ბათილობის საკითხი წყდება მხარეთა ჩაფიქრებული მიზნის მართლზომიერება-არამართლზომიერებით, თვალთმაქცური გარიგებისას, გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, უნდა გაირკვეს დაფარული გარიგების ხასიათი, რომელიც შეიძლება იყოს, როგორც ბათილი, ასევე ნამდვილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ რა სახისაც არ უნდა იყოს დაფარული გარიგება, თვალთმაქცური გარიგება მაინც უნდა ჩაითვალოს ბათილად, ხოლო თუ დაფარული გარიგება ნამდვილია, მაშინ იგი დაიკავებს თვალთმაქცური გარიგების ადგილს.

34. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებისას მხარეების მიზანი ნათელია. გამყიდველი მყიდველს დაპირდა, რომ 2014 წლის 15 იანვრამდე, იმ ქონებაზე – №28 ბინა – გადასცემდა საკუთრების უფლებას, რომელზედაც გარიგდნენ მხარეები 2013 წლის 8 აგვისტოს. ამ პირობის შესრულებას უნდა მოჰყოლოდა მხარეთა „კეთილად“ დაშორება, ანუ გამყიდველი დაიბრუნებდა №309 ბინას, ხოლო მყიდველი გახდებოდა №28 ბინის მესაკუთრე და ამით ორივე მხარე მიიღებდა შესრულებას. 2014 წლის 15 იანვრამდე პირობის შესრულება წარმოადგენდა ერთგვარ გარანტიას იმისა, რომ გამყიდველის უფლები არცერთ შემთხვევაში არ დაირღვეოდა. ამ გარანტიას კი მყიდველს აძლევდა ის გარიგება, რომ 2014 წლის 15 იანვრის შემდეგ, გამყიდველის მიერ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში (№28 ბინის უფლებრივი შეზღუდვისაგან გათავისუფლება და მყიდველისათვის საკუთრებად გადაცემა), ის გახდებოდა №309 ბინის მესაკუთრე. ასეთი გარანტია არ ცვლის ნასყიდობის შინაარსს. ხელშეკრულების დადება თავისუფალია და მხარეებს შეუძლიათ დადონ ნებისმიერი სახის გარიგება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონსა და ზნეობას. ამ შემთხვევაში მხარეებს არც რაიმე დაუფარავთ და არც სხვა გარიგების მოსაჩვენებლად არ დაუდიათ გარიგება. მათ დათქვეს პირობა,

რომ თუ 2014 წლის 15 იანვრამდე მოსარჩელე ვერ გადასცემდა №28 ბინას საკუთრებაში მოპასუხეს, მაშინ №309 ბინაზე შეზღუდვა გაუქმდებოდა და ბინა აღირიცხებოდა მოპასუხის საკუთრებად, შეზღუდვის გარეშე. ამდენად, მოსარჩელის მიერ სსკ-ის 56-ე მუხლზე მითითება დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლომ და არ გაიზიარა აღნიშნულ კონტექსტში მისი მტკიცება.

35. სასამართლომ, სსკ-ის 90-ე, 92-ე მუხლების საფუძველზე, მართებულად მიიჩნია, რომ გარიგების მონაწილეები ხშირად გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას უკავშირებენ განსაზღვრული გარემოების არსებობას. გარიგების შედეგების დადგომა ამ გარემოებების არსებობაზეა დამოკიდებული. პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე ანდა გარიგების შეწყვეტა ხდება ამ მოვლენის დადგომისთანავე. გარიგება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება პირობითად, თუ მისი ნამდვილობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე. ე.ი. ისეთ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ გაურკვეველია დადგება თუ არა ეს მოვლენა სინამდვილეში.

36. იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს ტერმინი „გარიგება გაუქმების პირობით“. ასეთ პირობით გარიგებას მაშინ აქვს ადგილი, როცა შეთანხმებული პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღდგენას გარიგების დადებამდე არსებული მდგომარეობისა. განსახილველ შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდენ სამომავლო პირობაზე, კერძოდ: 2014 წლის 15 იანვრისათვის №28 ბინის ყადაღისაგან გაუქმება და მყიდველისათვის მისი გადაცემის შესაძლებლობას უნდა გამოეწვია №309 ბინაზე 2013 წლის 13 დეკემბრის გარიგების შეწყვეტა და 2013 წლის 8 აგვისტოს გარიგების მდგომარეობის აღდგენა.

37. სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 92-ე მუხლი ბათილად აცხადებს ისეთ პირობით გარიგებას, რომელიც 90-ე მუხლით გათვალისწინებული პირობითი გარიგებისაგან განსხვავებით, შედეგს აკავშირებს წარსულში ან ანმყოში არსებულ პირობასთან. სწორედ ასეთ პირობას ჰქვია ნებაზე დამოკიდებული პირობა. წარსულში და ანმყოში არსებული პირობა არაა სამომავლო და უცნობი მოვლენა, ამიტომ ის არ ითვლება პირობით გარიგებად. ასეთ პირობაზე გარიგების დაკავშირებას კანონი აცხადებს ბათილად. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2014 წლის 15 იანვრამდე №28 ბინაზე ყადაღის გაუქმების პირობა არ წარ-

მოადგენს წარსულში ან აწმყოში არსებულ პირობას და ბუნებრივია იგი არც ნებაზე დამოკიდებული გარიგება არაა. შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული 2013 წლის 13 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება არ შეიცავს სსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილ გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს.

38. სასამართლომ არ გაიზიარა გამყიდველის მოთხოვნა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, მისი უკანონობის გამო და განმარტა:

38.1. სამოქალაქო სამართლნარმოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მოპასუხის მისამართის სწორად მითითება, ხოლო ამ ვალდებულების შესრულება მოსარჩელეს ეკისრება. სწორი მისამართის მითითებაზეა დამოკიდებული სწრაფი და ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელება.

38.2. მოსარჩელემ მოპასუხის მისამართად მიუთითა მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართი (იხ. ამ განჩინების 17.4 ქვეპუნქტი), სადაც ამ უკანასკნელს გზავნილი არ ჩაბარდა, რადგან იქ არ ცხოვრობდა;

38.3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე ცხოვრობს – თბილისში, თ-ის ქუჩაზე №48;

38.4. სასამართლომ განმარტა, რომ ყოველ პირს აქვს უფლება, სარჩელისაგან დაიცვას თავი და დაასაბუთოს სარჩელის მართებულობა ან უსაფუძვლობა. მოცემულ შემთხვევაში, მყიდველს (მოპასუხეს) ეს უფლება შეეზღუდა მისი მისამართის მოსარჩელის მიერ არასწორად მითითების გამო; გამყიდველის მიერ სარჩელში მყიდველის სხვა საკონტაქტო რეკვიზიტების მითითებამ გამოიწვია ის, რომ მოპასუხებ ვერ გაიგო დავის შესახებ;

38.5. სასამართლომ დაასკენა, რომ არასწორი მისამართის მითითებამ შეზღუდა მოპასუხე, სარჩელისაგან შესაგებლით დაეცვა თავი. შესაბამისად, მოპასუხის მიერ საკუთარი ინტერესების დასაცავად შესაგებლის წარუდგენლობა, მართებულად მიიჩნია სასამართლომ საპატიოდ, რის გამოც გააუქმა კიდეც დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახალა საქმის წარმოება.

39. მოსარჩელემ საქასაციო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

40. საკასაციო საჩივრის საფუძვლები საპელაციო საჩივრის პრეტენზიების იდენტურია (იხ. წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტი).

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სსკ-ის 391-ე მუხ-

ლის მე-5 ნაწილის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია, შემდეგი არგუმენტაციით:

42. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

43. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

44. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (სუსგ-ები: №ას-58-56-2016, 26.02.2016 წ., №ას-125-121-2016, 13.04.2016 წ.).

45. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

46. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების

პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

47. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას, რომ სადაცო გარიგებები, კერძოდ, გამყიდველსა და მყიდველს შორის 2013 წლის 8 აგვისტოს №28 ბინის წინარე ნასყიდობისა და იმავე წლის 13 დეკემბერს №309 ბინის ნასყიდობის ხელშეკრულებები ბათილი არ არის (იხ. განჩინების 20-37 პუნქტები).

48. სასამართლოს ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის მოსაზრება სსკ-ის 54-ე, 56-ე და 92-ე მუხლების საფუძველზე გარიგების ბათილობის თაობაზე, ვრნაიდან სადაცოდ გამხდარი ხელშეკრულებები არ არის ბათილი არც აღნიშნული და არც ბათილობის კანონით გათვალისწინებული არცერთი საფუძვლით.

49. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია წინამდებარე განჩინების 31-34 პუნქტებში მითითებული, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, თუ რა მიზნის მიღწევა სურდათ გარიგების მონაწილეებს, რა ნება გამოავლინა თითოეულმა მათგანმა 2013 წლის 13 დეკემბრის ხელშეკრულების დასადებად (იხ. 34-ე პუნქტი); მყიდველს განსაკუთრებული პირობა შესთავაზა გამყიდველმა, თუმცა, ვერ შეძლო №28-ე ბინაზე არსებული ყადაღის მოხსნა დათვებულ ვადაში, რის შემდეგაც მყიდველს წარმოეშვა უფლება, მის შეზღუდულ საკუთრებად რიცხულ ბინაზე, მოხსილიყო შეხლუდვა. სსკ-ის 428-ე მუხლის დანაწესით, კრედიტორმა ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად მიიღო სხვა შესრულება, რის შედეგადაც შეწყდა ვალდე-

ბულებითი ურთიერთობა. განსახილველ შემთხვევაში, კრედიტორთან მოვალემ (კასატორმა) დადო ხელშეკრულება განსაკუთრებული პირობით და სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე, აღირიცხა ქონების მესაკუთრედ შეზღუდვის გარეშე.

50. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზია დაუსწრებელი გადაწყვეტილების სასამართლოს მიერ არასწორად გაუქმების თაობაზე და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას, რომელიც ამ განჩინების 38-ე პუნქტშია ასახული.

51. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელი, რაც მისი დაუშვებლად ცნობის სამართლებრივი საფუძველია.

52. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „E“-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. შპს „E“-ს (ს/კ 2...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 6895.25 ლარის (საგადახადო დავალება №2, გადახდის თარიღი 2015 წლის 23 სექტემბერი), 70% – 4826.7 (ოთხი ათას ოცდაექვსი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# მოჩვენებითი გარიგება

## შემძღვის ინტერესების დაცვა

### განხილვა

№ას-643-611-2013

19 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმითა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ალავიძე,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ამხანაგობის კრების ოქმების ნაწილობრივ  
ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის ჩუქებისა და ნასყიდობის ხელ-  
შეკრულებების ბათილად ცნობა, უძრავი ნივთის მესაკუთრედ  
ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. კ-ამ სარჩელი აღმრა სასამართლოში ლ. გ-ას (შემდეგში  
პირველი მოპასუხის ან ამხანაგობის თავმჯდომარის), ც. გ-ას  
(შემდეგში მეორე მოპასუხის), ი. გ-ას (შემდეგში მესამე მოპა-  
სუხის) და ლ. ძ-ის, დ. დ-ის, ს. ბ-ის, გ. შ-ის, ზ. ა-ის, ი. ქ-ის, მ. გ-ის,  
გ. ბ-ის, ზ. ა-ისა და ა. ბ-ას (შემდეგში მოპასუხეების) მიმართ და  
მოითხოვა:

– ინდივიდუალური ბინათმენებლობის ამხანაგობა „მ-ის“  
(შემდეგში ამხანაგობის) 2006 წლის 19 ივნისის №22 კრების ოქ-  
მის პირველი პუნქტითა და 2008 წლის 17 ივლისის №90 კრების  
ოქმის №1 დანართის 234-ე პუნქტით მიღებული გადაწყვეტი-  
ლებების ბათილად ცნობა;

– 2008 წლის 22 თებერვალს პირველ და მეორე მოპასუხეს  
შორის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების  
ბათილად ცნობა;

– 2008 წლის 10 მარტს მეორე და მესამე მოპასუხეს შორის  
დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათი-  
ლად ცნობა;

– ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე კორპუსის მე-5 სა-  
დარბაზოს მე-7 სართულზე არსებული 139 კვ.მ №122 ბინის (შემ-  
დეგში სადაცვო ბინის) მესაკუთრედ ცნობა.

2. მოსარჩელის განმარტებით, მან, 18.07.2005 წელს, ამხანა-  
გობასთან დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ამხანა-

გობას უნდა აეშენებინა საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩის №10-ში და მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაეცა ამ სახლის მეხუთე სადარბაზოს, მეშვიდე სართულზე მდებარე 120 კვ.მ. ფართის №3 ბინა. ხელშეკრულების მიხედვით, მოსარჩელეს, ბინის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, უნდა გადაეხადა 69 000 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, მან სრულად გადაიხადა ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა. მოგვიანებით, კერძოდ, ამხანაგობის 06.04.2006 წლის №13 ერების გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს, მშენებარე სახლის ექ-სპლუატაციაში მიღების შემდეგ, საკუთრებას უფლებით უნდა გადასცემოდა ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩის №10-ში, მეხუთე სადარბაზოს, მეშვიდე სართულზე მდებარე 120 კვ.მ. ფართის №122 ბინა, რაშიც მან, ამხანაგობის თავმჯდომარის მოთხოვნით, 23.08.2008 წელს, დამატებით გადაიხადა 11 000 აშშ დოლარი. ამის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ ამხანაგობის თავ-მჯდომარეს, სრულიად უკანონოდ, 23.06.2006 წელს, ჯერ თავის სახელზე დაურევისტრიირებია სადაცო ბინა, ხოლო შემდეგ, 11.02.2008 წლის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადაუცია თავისი მეუღლის – პირველი მოპასუხისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს, 10.03.2008 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სადაცო ქონება მიუყიდია თავისი შვილის – მეორე მოპასუხისათვის. მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოხსენებული ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები მოჩვენებითი გარიგებებია, ვინაიდან მოპასუხეებმა ეს გარიგებები დადგეს იმ მიზნით, რათა მოსარჩელეს ამხანაგობისგან არ მიეღო მისი კუთვნილი ბინა.

3. პირველმა მოპასუხემ სარჩელი ცნო, ამასთანავე, განმარტა, რომ ის ზეპირსიტყვიერად შეთანხმებული იყო მოსარჩელესთან იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელს დაუბრუნებდა სადაცო ქონების საფასურს. ეს გარემოება ცნობილი იყო მეორე და მესამე მოპასუხეებისათვის, სწორედ ამიტომ გაფორმდა მოჩვენებითი ხელშეკრულებები. მოგვიანებით, როცა მან ვერ შეძლო მოსარჩელისათვის თანხის დაბრუნება, პირველ და მეორე მოპასუხეს თხოვა, რომ გაეყიდათ სადაცო ბინა და გაესტუმრებინათ მოსარჩელის ვალი, მაგრამ ამაზე მათ უარი გაცხადეს.

4. მეორე მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ პირველ მოპასუხეს, იყო რა სადაცო ბინის მესაკუთრე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 170-ე მუხლის საფუძველზე, უფლება ჰქონდა ეს ბინა მისთვის ეჩუქებინა. ჩუქების ხელშეკრულება არ დადებულა მოსაჩვენებლად, იმ მიზ-

ნით, რომ მოსარჩელისათვის ბინა გადაემალათ, ვინაიდან, თუ პირველ მოპასუხეს ასეთი განზრახვა გააჩნდა, იგი სადაც ბინას მეორე მოპასუხეს არ აჩუქებდა, რადგან ამ დროს მათი ოჯახური მდგომარეობა კულმინაციამდე იყო დაძაბული.

5. მესამე მოპასუხეშ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაშემდეგი საფუძვლებით:

– მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ მას ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა სადაც ბინა არასწორია, სინამდვილეში მას ბინა გადაეცა პირველ სადარბაზოში. სწორედ პირველ სადარბაზოში მდებარე ბინაა რეგისტრირებული მის საკუთრებად. კრების ოქმი, რომელიც მოსარჩელის მიერაა წარმოდგენილი, აშკარად ყალბია, რაც დასტურდება არასწორი ნუმერაციითაც. მოსარჩელე პრეტენზიას გამოთქვამს ამხანაგობისა და მისი თავმჯდომარის მიმართ, ხელშეკრულებაც სწორედ ამ პირებთანაა დადებული და მოსარჩელის მოითხოვნაც მათ წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. რაც შეეხება ამხანაგობის მიერ ქონების დარეგისტრებაზე მითითებას, აღნიშნული შეესაბამება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოითხოვნას (მე-5 მუხლი). ამხანაგობის წევრებს მიეცათ უფლება, დაერეგისტრირებინათ საკუთრება, რაც მოსარჩელეს არ განუხორციელებია, მაშინ, როდესაც მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო ქონება საკუთრებაში;

– დამატებითი ფართის საფასურის გადახდაზე მითითება ადასტურებს მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის ერთობლივ ქმედებას, ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტით არ დასტურდება, რომ თანხა სწორედ ფართის მოსამატებლადაა გადახდილი;

– პირველი მოპასუხის უფლება სადაც ბინაზე წარმოშობილია კანონით დადგენილი წესით (საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის №4 ბრძანებულების მე-13 პუნქტის მე-10 ქვეპუნქტი). სსკ-ის 1160-ე მუხლის შესაბამისად კი, მესაკუთრეს უფლება ჰქონდა საკუთრებაში გადაეცა მეუღლისათვის (მეორე მოპასუხისათვის) სადაც ქონება. ჩუქების დროს მესამე პირებს რაიმე პრეტენზია არ გააჩნდათ სადაც ბინაზე, შესაბამისად, გარიგება კანონიერია, ამასთანავე, სსკ-ის 312-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს შეეძლო საჩივარი შეეტანა საჯარო რეესტრში, თუკი იგი არ ეთანხმებოდა პირველ მოპასუხეზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას;

– არასწორია მოსარჩელის მითითება, რომ 2008 წლის აგვისტოში სადაც ქონება პირველი მოპასუხის საკუთრებად იყო რე-

გისტრირებული, რადგანაც 2008 წლის 10 მარტის ამონაწერით №122 ბინა უკვე მესამე მოპასუხის საკუთრებად იყო აღრიცხული. რაც შეეხება მესამე მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე მითითებას, იგი განხორციელდა ქონების კანონიერად შეძენისთანავე. ადმინისტრაციული წარმოებისას დადგენილი ხარვეზი მხოლოდ ტექნიკური ხსიათის იყო. მესამე მოპასუხე ქონების კეთილსინდისიერი შემძენია და მისი საკუთრება დაცულია კონსტიტუციით. მოსარჩელე არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგანაც ამ ჩუქების ბათილობის მოთხოვნის უფლება მხოლოდ გარიგების სუბიექტებს გააჩნიათ. პირველი და მეორე მოპასუხე 2007 წელს განქორწინდნენ და ქონება ნებაყოფლობით გაიყვეს, შესაბამისად, პირველმა მოპასუხემ სადაცო ბინა საკუთარი სურვილით აჩუქა მეუღლეს.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1. 2005 წლის 18 ივლისს მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მხარეები ერთიანდებოდნენ ამხანაგობაში და ერთიანად იმოქმედებდნენ ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩა №10-ში საცხოვრებელი სახლის აშენების და შემდგომში მხარეთა შორის წილების განაწილების მიზნით;

8.2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, ამხანაგობაში წევრის შენატანი განისაზღვრა 69 000 აშშ დოლარით, ხოლო მე-2 მუხლის თანახმად, წევრის წილს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩა №10-ში ამხანაგობის მიერ ამ ხელშეკრულების მხარეთა საერთო მიზნის განსახორციელებლად ახალაშენებულ სახლში 120 კვ.მ ფართით მე-5 სადარბაზოს მე-7 სართულზე მდებარე №3 ბინა;

8.3. ამხანაგობის 2005 წლის 19 ივლისის №5 კრების ოქმის თანახმად, მოსარჩელე მიღებულ იქნა ამხანაგობის ახალ წევრად. ამხანაგობის წევრებს შორის ბინების განაწილებისა და საპაიო შენატანის ჩამონათვალის თაობაზე ამავე კრების ოქმის

№1 დანართის, 29-ე პუნქტის მიხედვით, მოსარჩელეს გაუნაწილდა 120 კვ.მ ბინა ტიპი 3-ით, მდებარე მე-5 სადარბაზოში მე-7 სართულზე.

8.4. სადავო ბინაზე მოსარჩელის უფლება ასევე დასტურდება ამხანაგობის 2006 წლის 13 იანვრის №9 კრების ოქმით. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე, ამხანაგობას მოსარჩელის მიმართ ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, საკუთრებაში გადაეცა მისთვის სადავო ბინა;

8.5. სადავო უძრავი ნივთის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოსარჩელემ ამხანაგობას გადაუხადა 80 000 აშშ დოლარი;

8.6. ამხანაგობის 2006 წლის 6 აპრილის №13 კრების ოქმის №1 დანართის მე-15 პუნქტის მიხედვით, მართალია, სადავო ბინა საკუთრების უფლებით გაუნაწილდა მოსარჩელეს, თუმცა, ამ უკანასკნელს სადავო ბინაზე თავისი უფლება საჯარო რეესტრში არ აღურიცხავს;

8.7. ამხანაგობის 2006 წლის 19 ივნისის №22 კრების ოქმის პირველი პუნქტის მიხედვით, ამხანაგობამ პირველ მოპასუხეს საკუთრების უფლებით გადასცა სადავო ბინა.

8.8. 2008 წლის 15 იანვარს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, სადავო ბინაზე (საკადასტრო კოდი №.....), 2006 წლის 23 ივნისიდან რეგისტრირებული იყო პირველი მოპასუხის საკუთრების უფლება (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ამხანაგობის 2006 წლის 19 ივნისის კრების №22 ოქმი);

8.9. 2008 წლის 22 თებერვალს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, პირველმა მოპასუხემ, როგორც მჩუქებელმა, უსასყიდლოდ გადასცა დასაჩუქრებულს, მეორე მოპასუხეს, საკუთრების უფლება სადავო ბინაზე.

8.10. 2008 წლის 25 თებერვალს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ზემოაღნიშნულ ბინაზე რეგისტრირებული იყო მეორე მოპასუხის საკუთრების უფლება (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – 2008 წლის 22 თებერვალი);

8.11. 2008 წლის 10 მარტს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც, მეორე მოპასუხემ, როგორც გამყიდველმა, 50 000 ლარად გადასცა მყიდველს, მესამე მოპასუხეს, საკუთრების უფლება სადავო ბინაზე;

8.12. 2008 წლის 12 მარტს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, სადავო ბინაზე რეგისტრირებული იყო

მესამე მოპასუხის საკუთრების უფლება (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი 2008 წლის 10 მარტი);

8.13. ქ. თბილისის ურბანული დაგეგმვარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 30 აპრილის ბრძანებით განხორციელდა ამსანაგობის მიერ ქ. თბილისში, ბ-ის ქუჩა №10-ში აშენებული საცხოვრებელი კორპუსის ლეგალიზაცია;

8.14. ამხანაგობის 2008 წლის 17 ივლისის №90 კრებაზე ამხანაგობის წევრებმა განიხილეს ლეგალიზაციასთან დაკავშირებით ბინების წუმერაციისა და ფართების შეცვლის საკითხი, ანლად დამტკიცებული ლეგალიზებული პროექტის მიხედვით ბინების განაწილების ახალი გეგმა. ამ კრების ოქმის №1 დანართის 234-ე პუნქტის მიხედვით, სადაც ბინა, ამჯერად უკვე 139.00 კვ.მ., საკუთრების უფლებით გაუნაწილდა პირველ მოპასუხეს;

8.15. ამხანაგობის 2009 წლის 11 აგვისტოს №102 კრების ოქმის მიხედვით, ამავე ამხანაგობის 2008 წლის 17 ივლისის №90 კრების ოქმის №1 დანართის 234-ე პუნქტი შეიცვალა იმდაგვარად, რომ სადაც ბინა საკუთრების უფლებით გაუნაწილდა მესამე მოპასუხეს.

9. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებსა და ამხანაგობის შექმნის შესახებ ხელშეკრულებების სათანადო მუხლებზე მითითებით, სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ გარიგება პირველი მოპასუხისათვის სადაც ბინის საკუთრების უფლებით განაწილების შესახებ, არ იყო ნამდვილი, რადგან აღნიშნული კრების ოქმი, თვით პირველი მოპასუხის განმარტებით, შედგენილი იყო ისე, რომ ამხანაგობის არც საერთო კრება და არც გამგეობის სხდომა მოწვევული არ ყოფილა, რაც, თავის მხრივ, ადასტურებდა, რომ არ არსებობდა ნების გამოვლენა სადაც უძრავი ნივთის პირველი მოპასუხის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

10. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევეს აღძრული ჰქონდა აღიარებითი სარჩევი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩევის იურიდიული ინტერესი ვერ იქნებოდა მიღწეული, რადგან მას გასაჩივრებული არ ჰქონდა ამხანაგობის კრების №102 ოქმი (დამოწმების თარიღი 11/08/2009, ნოტარიუსი ლ. რ-ე), რომელიც, პალატის მოსაზრებით, წარმოადგენდა სადაც ბინის მესამე მოპასუხის სახელზე რეგისტრაციის ძირითად საფუძ-

ველს. ეს გარემოება, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი წინაპირობა იყო.

11. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასეთ პირობებში დავის გადაწყვეტისათვის ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავდა იმ საკითხის გარკვევაზე, თუ როდის შეწყდა ფაქტობრივი ცოლქმრული ურთიერთობა პირველ და მეორე მოპასუხეს შორის.

12. სადავო გარიგებების ბათილობასთან მიმართებით სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

13. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მეორე და მესამე მოპასუხესის კეთილსინდისიერ შემძენებად მიჩნევის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამ საკითხზე მსჯელობისას, პირველი ინსტანციის სასამართლო სწორად გამოიყენა და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები.

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩევემ. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

– მოცემულ შემთხვევაში სადავო იყო ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა და არა მისი გაფორმების გარეგანი პროცედურული სახით მოწესრიგებულობა, რაც სააპელაციო პალატამ მხედველობაში არ მიიღო. დასახელებული გარიგება დაიდო მოსაჩივრებლად, მხოლოდ იმ მიზნით, რომ პირველ მოპასუხეს თავი აერიდებინა მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. ამ გარიგების ორივე მხარის განზრახვა ის იყო, რომ მათ საკუთრებაში დარჩენოდათ მოსარჩელის კუთვნილი ბინა, რამდენადაც მისი საბაზრო ღირებულება ბევრად აღემატებოდა მოსარჩელის მიერ ამხანაგობაში შეტანილ საპაომ შენატანს – 80 000 აშშ დოლარს;

– ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს დადგენილად, რომ 2008 წლის 10 მარტს მეორე მოპასუხემ, როგორც გამყიდველმა, 50 000 ლარად გადასცა სადავო ბინაზე საკუთრების უფლება მესამე მოპასუხეს. ამ შემთხვევაშიც, სადავო იყო არა გარიგების გარეგანი პროცედურული სახით მოწესრიგებულობა, არამედ მისი ნამდვილობა. მითითებული გარიგება, ასევე, დაიდო მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამჯერად უფრო გამყარებული სახით მოსპობოდა მოსარჩელეს ყოველგვარი შესაძლებლობა სადავო ბინაზე უფლების დასაბრუნებლად;

— მხარეთა მიერ შინაგანი რწმენის მომცემი განმარტებების გარდა, ნასყიდობის ხელშეკრულების მოჩვენებითობას უტყუარად ადასტურებს მათ შორის 2010 წლის 28 დეკემბრით გაფორმებული სანოტარო აქტი, რომლის მიხედვითაც, გარიგების მხარეებმა შეადგინეს ყალბი შინაარსის ერთობლივი განცხადება, რომლითაც თითქოს დაადასტურეს 2009 წლის 10 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის თანხის — 50 000 ლარის მყიდველის მიერ გადახდის ფაქტი. შეკითხვაზე, თუ რით იყო გამოწვეული მსგავსი შინაარსის შემცველი დოკუმენტის შედგენა, მით უფრო დროის ხანგრძლივი ინტერვალის გასვლის შემდეგ, მხარეებმა დამაჯერებლად და სარწმუნოდ ვერ უპასუხეს;

— სააპელაციო საჩივარში მოსარჩელე მიუთითებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად ჩათვალა დადგენილად 2006 წლიდან პირველ და მეორე მოპასუხეს შორის ცოლქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტის ფაქტი. სასამართლომ მოცემული დასკვნა დააყრდნო გამოუკვლეველ მტკიცებულებაზე, რაც მოსარჩელეს არ გადასცემია და ასეთის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. უფრო მეტიც, სადაც საერთოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ მხარეები ერთ ოჯახად არ ცხოვრობდნენ. აღნიშნულს ადგილი ვერც ექნებოდა, რადგან ამასთან დაკავშირებით არსებობს სარწმუნობის თვალსაზრისით მაღალი ხარისხის პრეიუდიციული ხასიათის მტკიცებულება — პირველ და მეორე მოპასუხეს შორის განქორწინების საქმეზე 2011 წლის 15 ივნისს მიღებული გადაწყვეტილება;

— სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, არასწორად მიიჩნია მესამე მოპასუხე კეთილსინდისიერ შემძენად;

— სსკ-ის 115-ე მუხლის სანინააღმდეგოდ, საქმეში წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებებით უტყუარად დადგინდა, რომ პირველმა მოპასუხემ უდავოდ დაარღვია კანონი, რადგან მან, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარემ, არამართლზომიერად და ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და მოსარჩელის მიერ მისაღები ქონება ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა თავის მეუღლეს;

— სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან არ გასაჩივრებულა ამხანაგობის 2009 წლის 11 აგვისტოს №102 ოქტიმი, მოსარჩელე ვერც ჩუქების და ვერც ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობით ვერ მიაღწევს იმ მიზანს, რომლის მიღწევაც სურს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამარ-

თლოს აღნიშნული მსჯელობა დაუსაბუთებელია, ვინაიდან მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიღწევადია სადაც გარიგებების ბათილად ცნობით და არა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილობის შედეგად. უფრო მეტიც, ამხანაგობის კრების ოქმების ბათილობა შეიძლება საერთოდ არც ყოფილიყო დაყენებული ცალკე მოთხოვნად, რადგან მათი სიყალე და კანონსაწინააღმდეგობა შეიძლება დადგენილიყო ფაქტობრივი გარემოებების სახითაც, რაც საქმის განმხილველ სასამართლოს არ დაუდენია;

– ამხანაგობის კრების №102 ოქმი, რომელზეც სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, არ არის არსებითი მნიშვნელობის მქონე. ეს უტყუარად დგინდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, რომელმაც მესამე მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაცია შეაჩერა იმ მიზეზით, რომ ბ-ის ქ. №10-ში მდებარე 4516 კვ-მ ფართის გამიჯვნის შედეგად უძრავი ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემებში (საკადასტრო კოდებში) ადგილი ჰქონდა ცვლილებებს.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 27 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. განსახილველ საქმეში მოსარჩელე მოითხოვს სადაც ბინის მესაკუთრედ ცნობას. მოსარჩელის განმარტებით, ამხანაგობამ, 18.07.2005 წლის ხელშეკრულებისა და ამხანაგობის 06.04.2006 წლის №13 კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, იკისრა ვალდებულება ზემოხსენებულ მისამართზე აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და, მისი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, სადაც ბინაზე საკუთრება გადაეცა მოსარჩელისათვის. მოსარჩელის განმარტებით, მან შესარულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, ამხანაგობას სრულად გადაუხადა სადაც ბინის აშენებისა და საკუთრებაში გადაცემი-

სათვის შეთანხმებული საფასური – 80 000 აშშ დოლარი. მიუხედავად ამისა, მან სადაცო ბინაზე საკუთრება ვერ მიიღო, ვინაიდან ამხანაგობის 19.06.2006 წლის №22 კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ამავე ამხანაგობის თავმჯდომარე და ამხანაგობის წევრი (პირველი მოპასუხე) საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა სადაცო ბინის მესაკუთრედ. მოგვიანებით, 11.02.2008 წელს, პირველმა მოპასუხემ სადაცო ბინა აჩუქა თავის მეუღლეს (მეორე მოპასუხეს), ხოლო ამ უკანასკნელმა, 10.03.2008 წელს სადაცო ბინა მიჰყიდა თავის შვილს (მესამე მოპასუხეს). მოსარჩელის მოსაზრებით, ბათილი იყო ამხანაგობის ზემოხსენებული კრების გადაწყვეტილება, ვინაიდან, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაცო ბინაზე საკუთრება მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა, შესაბამისად, პირველი მოპასუხისათვის ამ ბინის საკუთრებაში გადაცემის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. მოსარჩელის მოსაზრებით, ბათილი იყო, ასევე, ზემოხსენებული ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები, როგორც მოჩვენებითი გარიგებები, ვინაიდან მოპასუხებმა ეს გარიგებები დადეს იმ მიზნით, რომ მოსარჩელეს მოსპობოდა შესაძლებლობა, ამხანაგობისგან მიეღო საკუთრება სადაცო ბინაზე, შესაბამისად, მათ სურდათ, შეენარჩუნებინათ საკუთრება იმ ქონებაზე, რომელზეც მათ კანონიერი საფუძველი არ გააჩნდათ.

18. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის მიმართ სადაცო ბინაზე საკუთრების გადაცემის შესახებ, შესაძლებელია დაეფუძნოს სსკ-ის 629-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს.

19. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის წარმოშობილი ურთიერთობა შესაძლებელია შეფასდეს ნარდობად, კერძოდ, 18.07.2005 წლის ხელშეკრულებისა და ამხანაგობის 06.04.2006 წლის №13 კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, ამხანაგობამ იკისრა ვალდებულება, აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და, მისი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, სადაცო ბინაზე საკუთრება გადაეცა მოსარჩელისათვის. თავის მხრივ, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, ამხანაგობისათვის გადაეხადა შეთანხმებული საზღაური შესრულებული სამუშაოსათვის. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და ამხანაგობას შორის დადებული იყო ნარდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 629.1 მუხლი). ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, პალატა მი-

იჩნევს, ასევე, რომ ამხანაგობას სადაც ბინა უნდა აეშენებინა თავის მიერ შეძენილი მასალით. ასეთ შემთხვევაში, კანონი მენარდეს ავალდებულებს, გადასცეს შემკვეთს საკუთრების უფლება დამზადებულ ნაკეთობაზე, მოცემულ შემთხვევაში, სადაც ბინაზე (სსკ-ის 629.2 მუხლი). იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოხსენებულ ხელშეკრულებას მივიჩნევთ სსკ-ის 930-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთობლივი საქმიანობის (ამახანაგობის) და არა ნარდობის ხელშეკრულებად, მოსარჩელეს მაინც ექნება სადაც ბინაზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 935-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილებს შორის ნაწილდება მათი ნილის შესაბამისად). მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს, რომ მოსარჩელის წილი, მის მიერ გადახდილი შესატანის გათვალისწინებით, იქნებოდა სადაც ბინაზე საკუთრების გადაცემა.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ ამხანაგობას გააჩინია ვალდებულება, სადაც ბინაზე საკუთრება გადასცეს მოსარჩელეს.

21. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის სადაც ბინაზე საკუთრების გადაცემას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ამ ბინაზე საკუთრება აღარ ეკუთვნის ამხანაგობას, კეძოდ, სადაც ბინის მესაკუთრედ, საჯარო რეესტრში აღრიცხულია მესამე მოპასუხე. თავის მხრივ, მესამე მოპასუხემ, სადაც ბინაზე საკუთრება მიიღო მეორე მოპასუხესთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო, ამ უკანასკნელმა – პირველ მოპასუხესთან დადებული ჩუქების ხელშეკრულებით. რაც შეეხება პირველ მოპასუხეს, მან სადაც ბინაზე საკუთრება მიიღო ამხანაგობის კრების სადაც გადაწყვეტილების საფუძველზე.

22. მოსარჩელე სადაც ნდის პირველი, მეორე და მესამე მოპასუხის საკუთრებაში სადაც ბინის გადასვლის მართლზომიერებას და მიიჩნევს, რომ მათ სადაც ბინის საკუთრებაში მიღების კანონიერი საფუძვლები არ გააჩნდათ.

23. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამხანაგობის 19.06.2006 წლის №22 კრების გადაწყვეტილება არ იყო ნამდვილი, რადგან მითითებულ დროს ამხანაგობის კრება არ ჩატარებულა და, შესაბამისად, არც ამხანაგობის წება არ არსებობდა პირველი მოპასუხისათვის სადაც ბინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ამასთან, არც მოსარჩელის თანხმობა არ არსებობდა სადაც ბინის განკარგვის თაობაზე. აქედან გამომდინა-

რე, ცხადია, რომ პირველი მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი განეკარგა მოსარჩელის სამართლებრივი სიკეთე (ამხანაგობი-საგან სადავო ბინაზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლება), კერძოდ, ჯერ თავის საკუთრებაში აღერიცხა სადავო ბინა, ხოლო შემდეგ მეორე მოპასუხისათვის ეჩუქებინა იგი. თანხმობის გარეშე სხვისი სამართლებრივი სიკეთის განკარგვისას, ხელმყოფის პასუხისმგებლობას ადგენს სსკ-ის 982-ე მუხლის პირველი ნაწილი (პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დასარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი). მოცემულ შემთხვევაში, ამ ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები სახეზეა, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ შესაძლებელია დაეფუძნოს სსკ-ის 982.1 მუხლს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურებაში იგულისხმება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ანუ ხელმყოფმა უნდა ალადგინოს ის მდგომარეობა, რაც არსებობდა სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფამდე (სსკ-ის 408.1 მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მგომარეობის ალდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება (სსკ-ის 409-ე მუხლი).

24. მოცემულ შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა გულისხმობს მოსარჩელისათვის იმ უფლების დაბრუნებას, რაც მას ამხანაგობისაგან სადავო ბინაზე საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. ამ უფლების მოსარჩელისათვის დასაბრუნებლად უნდა გაირკვეს, არსებობს თუ არა მოსარჩელის ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის მეორე და მესამე მოპასუხისგან დაბრუნების საფუძველი.

25. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს გასაჩივრებული არ ჰქონდა ამხანაგობის 11.08.2009 წლის კრების №102 გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო მესამე მოპასუხის სახლზე სადავო ბინის საკუთრებაში აღრიცხვას.

26. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მოსაზრებას, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სადავო ბინაზე მესამე მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობის

საფუძველია 10.03.2008 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. მართალია, ამავე ამონანერში უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად მითითებულია, ასევე, ამხანაგობის კრების ოქმი №102 (დამონმების თარიღი: 11.08.2009 6), ამხანაგობის კრების ოქმი №90 (დამონმების თარიღი: 17.07.2008 6) და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 30.04.2008 წლის №ლეგ-877 ბრძანება, მაგრამ საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ამ დოკუმენტების შინაარსს, კერძოდ, მითითებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ზემოხსენებული ბრძანებით განხორციელდა ქ. თბილისში, ბ-ის ქ. №10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ლეგალიზაცია, რამაც გამოიწვია ცვლილებები ავტოსაფგომებისა და საცხოვრებელი ბინების ნუმერაციასა და ფართში. სწორედ სეენებულმა ლეგალიზაციამ განაპირობა ამხანაგობის 17.08.2008წ. კრების №90 და 11.08.2009წ. კრების №102 ოქმების მიღება, რომელთა საფუძველზეც საცხოვრებელი ბინების (მათ შორის, მესამე მოპასუხის ბინის) ფართში ცვლილებები შევიდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მესამე მოპასუხემ სადაცო ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვა 10.03.2008 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ამხანაგობის ზემოხსენებული კრებების გადაწყვეტილებებით დაზუსტდა სადაცო ბინის ფართი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამხანაგობის კრების მითითებული გადაწყვეტილებები, 10.03.2008 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად, არ წარმოშენ სადაცო ქონებაზე მესამე მოპასუხის საკუთრების უფლებას.

27. ზემოაღნიშნულის გარდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამხანაგობის 11.08.2009წ. კრების №102 ოქმის საფუძველზე ცვლილება შევიდა ამხანაგობის 17.08.2008წ. კრების №90 ოქმის №1 დანართის 234-ე პუნქტში, ამდენად, №102 ოქმის საფუძველზე განხორციელებული ცვლილება გახდა №90 ოქმის განუყოფელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, 17.08.2008წ. კრების №90 ოქმის №1 დანართის 234-ე პუნქტთან დაკავშირებული სამართლებრივი შეფასებები, თავისთვად ვრცელდება 11.08.2009წ. კრების №102 ოქმზეც. ამავე კრების გადაწყვეტილებაზე ვრცელდება ამხანაგობის კრების იმ გადაწყვეტილების მიმართ მიღებული შესაძლო შედეგი, რომელიც მოსარჩელეს გასაჩივრებული აქვს.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელე არ მოითხოვს ამხანაგობის 11.08.2009წ. კრების №102 ოქმის ბათილად ცნობას.

29. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება სხვა ნაწილშიც დაუსაბუთებელია, კერძოდ, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას სადაცო ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილობის საფუძვლის არარსებობის თაობაზე, თუმცა ამ ნაწილში არ შეაფასა აპელანტის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიები.

30. სარჩელითა და მოსარჩელის განმარტებებით ირკვევა, რომ იგი სადაცო ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილობას მოითხოვს სსკის 56.1 მუხლის საფუძველზე (ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება)). მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებს წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტში აღნერილ გარემოებებზე მითითებით.

31. ზემოაღნიშნული საფუძვლით სადაცო გარიგებების ბათილობის საკითხის განხილვისას, უპირველესად, ყურადღება უნდა მიექცეს სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილ გარემოებას იმის შესახებ, რომ პირველმა მოპასუხემ კანონიერი საფუძვლის გარეშე მოიპოვა საკუთრება სადაცო ბინაზე, რომელზეც, ამხანაგობასთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საკუთრება მოსარჩელეს უნდა გადასცემოდა, რაშიც ამ უკანასკნელმა გადაიხადა 80 000 აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე, ცხადია, პირველმა მოპასუხემ იცოდა, რომ, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მას მოუწევდა სადაცო ბინის უკან დაბრუნება, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მეორე მოპასუხესთან დადებული ჩუქების ხელშეკრულებით, პირველ მოპასუხეს სურდა ამ ქმნების გადამალვა მოსარჩელისაგან. ამასთან, ვინაიდან პირველი და მეორე მოპასუხე, სადაცო გარიგების დადების დროს, მეუღლეები იყვნენ, ასევე, სავარაუდოა, რომ მეორე მოპასუხემაც იცოდა იმ სამართლებრივი ხარვეზის შესახებ, რაც სადაცო ბინაზე პირველი მოპასუხების საკუთრებას გააჩნდა, შესაბამისად, ისიც სავარაუდოა, რომ, ჩუქების ხელშეკრულების დადებისას, მეუღლეები მოქმედებდნენ იმ განზრახვით, რომ შეენარჩუნებინათ საკუთრება სადაცო ბინაზე, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ, რათა მოსარჩელეს შექმნოდა სამართლებრივი დაბკოლება სადაცო ბინაზე საკუთრე-

ბის გადაცემის მოთხოვნის უფლების განხორციელებაში. ასე-თივე ვარაუდი მოქმედებს მეორე და მესამე მოპასუხეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართაც, ვინაიდან მეორე და მესამე მოპასუხე დედა-შვილი, ხოლო პირველი და მესამე მოპასუხე მამა-შვილია.

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე განჩინების 31-ე პუნქტში მითითებული პრეზუმირებული ფაქტები ქმნიან სადაცო გარიგებების მოსაჩვენებლად დადების ვარაუდს, რაც, სსკ-ის 56.1-ე მუხლის მიხედვით, ამ გარიგებების ბათილობის საფუძველია.

33. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ დაშვებული ზემოხსენებული პრეზუმფციის გაქარწყოლების მტკიცების ტვირთი, მოპასუხეებს ეკისრებათ. მათ შეუძლიათ მიუთითონ ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც გააქარწყლებენ სადაცო გარიგებების მოსაჩვენებლად დადების ვარაუდს.

34. განსახილეველ შემთხვევაში, მეორე და მესამე მოპასუხე თავიანთ შესაგებლებსა და ახსნა-განმარტებებში მიუთითებდნენ გარკვეულ გარემოებებზე, რაც, მათი მოსაზრებით, ადასტურებდა სადაცო გარიგებების ნამდვილობას. აღსანიშნავია, ასევე, რომ მოპასუხეთა მიერ წარდგენილ შესაგებელზე თავისი მოსაზრებები წარადგინა მოსარჩელემაც, ამასთან, ამ თვალსაზრისით, პრეტენზიებს შეიცავდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარიც.

35. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადაცო გარიგებების ნამდვილობასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებებზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, შემოიფარგლა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზოგადი მითითებით, ისე, რომ არ დაუდგენია სადაცო საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა საკასაციო სასამართლოს, შეეფასებინა სადაცო გარიგებების ნამდვილობის საკითხი.

36. სააპელაციო სასამართლომ მეორე და მესამე მოპასუხე კეთილსინდისიერ შემძენებად მიიჩნია, რაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გამორიცხავს მათგან ქონების გამოთხვას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ პირველ და მეორე მოპასუხეს შორის დადებულია ჩუქების ხელშეკრულება, ანუ უსასყიდლო გარიგება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 185-ე მუხლში განმტკიცებული დებულე-

ბა გათვალისწინებულია სასყიდლიანი გარიგებებისათვის, ხოლო, ჩუქების ხელშეკრულების, როგორც უსასყიდლო გარიგების, მხარეს ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული შემძენის კეთილსინდისიერების ინსტიტუტი არ იცავს. ეს განპირობებულია იმით, რომ სასყიდლიანი განკარგვისაგან განსხვავებით, უსასყიდლო განკარგვა სამართლებრივი დაცვის უფრო ნაკლები ხარისხით გამოიჩინება, ამიტომ არაუფლებამოსილი პირის მიერ უსასყიდლო განკარგვისას, თუნდაც ეს განკარგვა ნამდვილი იყოს უფლებამოსილი პირის მიმართ, ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი შედეგი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს (სსკ-ის 990.1 მუხლი).

37. მესამე მოპასუხის კეთილსინდისიერების საკითხის შეფასებისას, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას მოსარჩევე მოითხოვს სსკ-ის 56.1-ე მუხლის საფუძველზე. ამ საფუძვლით გარიგების გაბათილების შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გამოირიცხება შემძენის კეთილსინდისიერება, ვინაიდან ამ დროს გამსხვისებელიც და შემძენიც თანმხდებიან იმაზე, რომ მათ მიერ დადებულ გარიგებას არ მოჰყვეს შესაბამისი იურიდიული შედეგები, რათა მიღწეულ იქნეს კანონსაწინააღმდეგო მიზანი. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია სსკ-ის 56.1-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ მესამე მოპასუხისგან სადაც პინის გამოთხოვა შესაძლებელია სსკ-ის 991-ე მუხლის მიხედვით, ხოლო, თუ მითითებული ხელშეკრულების მოსაჩვენებლად დადების ფაქტი ვერ დადგინდება და, ამასთან, შემძენი კეთილსინდისიერია, მაშინ მისგან სადაც პინა ვერ იქნება გამოთხოვილი.

38. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

39. სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-

ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. ამ თვალსაზრისით, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს წინამდებარე განჩინების 33-ე-35-ე პუნქტებში მითითებული გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

40. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განცეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. კ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მოწვევებითი გარიგება

### განებისა

№ას-60-58-2016

12 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 21 ოქტომბერს ი. ა-ძემ (შემდეგში: მოპასუხე, მონინააღმდეგე მხარე ან კასატორი) მ. ჩ-ს ასესია 12 000 აშშ დოლარი (შემდეგში: მოსარჩევე, აპელანტი) {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემდეგში სსკ-ის 623-ე და 625-ე მუხლები}.
2. სესხის დაპრუნებას უზრუნველყოფდა ქ. ბათუმში, ... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ/ ...., შემდეგში: უძრავი ქონება) ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით (შემდეგში ხელშეკრულება), რომლითაც დაიფარა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემდეგში სსკ-ის 477-ე, 509-ე, 56.2-ე მუხლები}.
3. ქონების გამოსყიდვის ვადა სამი თვეით განისაზღვრა.
4. მოსარჩევე მოპასუხისაგან მიიღო 12 000 აშშ დოლარი; იგი დარჩა წინამდებარე განჩინების მეორე პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირ მფლობელად გამოსყიდვის უფლების ვადის გასვლამდე. მას ნივთით სარგებლობისათვის მოპასუხისათვის ყოველთვიურად 600 აშშ დოლარი უნდა ეხადა. ხელშეკრულების დადების დროისათვის, მოსარჩევემ წინასწარ გადაუხადა მოპასუხეს 2 თვის სარგებელი – 1200 აშშ დოლარი {იხ. ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები}.
5. თუ მოსარჩევე 2014 წლის 21 იანვრის ჩათვლით, სარგებელს არ გადაიხდიდა ან უძრავი ქონების გამოსყიდვას არ განახორციელებდა, გამოსყიდვის უფლება გაუქმდებოდა და მოპასუხე ქონების სრულფასოვანი მესაკუთრე გახდებოდა {იხ. ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი}.
6. ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის დად-

გენილების თანახმად, (შემდეგში: ბათუმის საკრებულოს დადგენილება) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, II ქვეზონის 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი შეადგენდა 81 ლარს. შესაბამისად, სადაც უძრავი ქონების, მხოლოდ მიწის ღირებულება (შენობა-ნაგებობის გარეშე) შეადგენდა 42 282 ლარს ( $522 \cdot 81 = 42\,282$ ).

7. მოსარჩელემ 12 000 აშშ დოლარი მოპასუხეს დადგენილ ვადაში არ დაუბრუნა.

8. 2014 წლის 7 ოქტომბერს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით:

8.1. იგი მოქმედებდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების განზრახვით, სინამდვილეში კი მან ხელი მოაწერა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას გამოსყიდვის უფლებით, ამიტომ ეს გარიგება ბათილია.

8.2. მას მხოლოდ სესხის მიღება სურდა. თავის მხრივ, მოპასუხესაც კუთვნილი თანხის გასესხება და სარგებლის მიღება უნდოდა.

9. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის შეირ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და არ დასტურდება სასარჩელო განცხადებაზე თანდართული მტკიცებულებებით. გარდა ამისა, ხელშეკრულების დადება განაპირობა მხარეების მიერ გამოვლენილმა ორმხრივმა გაცნობიერებულმა ნებამ, ხელშეკრულება აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მოსარჩელემ მიიღო ნასყიდობის საფასური.

10. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 319-ე, 327-ე, 509-ე, 510-ე, 183-ე, 477-ე მუხლები.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ მისი გაუქმებისა და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგი საფუძვლებით:

11.1. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია დადგენილ გარემოებად, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 21 ოქტომბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით და არა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება;

11.2. 94.10 კვ.მ. საცხოვრებელ სახლსა და 522 კვ.მ. მინის ნაკვეთს ის არ გაყიდდა ისეთ შეუსაბამო ფასში, როგორიც არის

12 000 აშშ დოლარი;

11.3. იგი აღნიშნულ სახლში ცხოვრობს 14-სულიან ოჯახთან ერთად. სხვა უძრავი ქონება მათ არ გააჩნიათ, შესაბამისად, მისი ნება ქონების გასხვსება ვერ იქნებოდა;

11.4. სასამართლომ არ იმსჯელა და შეფასება არ მისცა საქ- მეში არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ, ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-5 განყოფილებიდან გამოთხოვილ მასალებს, ზეპირი გასაუბრების ოქმებს, სადაც გამოკითხული პირები ადასტურებენ, რომ მოსარჩელე ეძებდა სესხად მისა- ლებ თანხას და იპოთეკით სურდა უძრავი ქონების დატვირთვა;

11.5. სასამართლომ ასევე სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულება – ხელწერილი, რომ- ლიდანაც დასტურდებოდა სესხის ხელშეკრულების დადების დღეს, მოპასუხის მიერ სესხისათვის 2 თვის სარგებლის მიღე- ბა.

12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნო- ემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და მო- პასუხეს შორის უძრავი ქონების გამოსყიდვის უფლებით ნას- ყიდობის ხელშეკრულება; დადგინდა, რომ მოსარჩელესა და მო- პასუხეს შორის დადებული იქნა 12 000 აშშ დოლარის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება; უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში კვლავ მოსარჩელე აღირიცხა; აღნიშნულ ქო- ნებაზე მოპასუხის სასარგებლოდ იპოთეკა დადგინდა {სსკ-ის 623-ე, 289.1 და 311-ე მუხლები}.

13. სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულე- ბების: მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ხელშეკ- რულების, ასევე, ამავე რიცხვით დათარიღებული მოპასუხის ხელწერილის, სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილი შე- საგებლის შინაარსისა და ბათუმის საკრებულოს დადგენილე- ბის ერთობლიობაში შეფასებით დაადგინა, რომ გარიგების სა- განი არა უძრავი ქონება, არამედ ფული იყო.

14. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრუ- ლებაში მითითებული ნასყიდობის ფასი არანაირად არ შეესაბა- მებოდა ნივთის მინიმალურ ღირებულებასაც კი.

15. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით არ დგინდებოდა, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება მიმართული იყო, ერთი მხრივ, უძრავ ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვისაც და, მეორე მხრივ, ამ ქონებაზე მოპასუხის სა-

კუთრების უფლების წარმოშობისაკენ;

16. მოსარჩელის პოზიცია, რომ მხარეთა შორის დაიდო არა ნასყიდობის, არამედ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, პალატამ დამაჯერებლად ჩათვალა; ხელშეკრულებაში დაფიქსირებული – 12 000 აშშ დოლარი წარმოადგენდა სესხად აღებულ თანხას, მოპასუხისათვის გადაცემული 1200 აშშ დოლარი კი, ორი თვის საპროცენტო სარგებელს და სადაცო უძრავი ქონება სესხის უზრუნველყოფის საშუალებას. შესაბამისად, პალატის მოსაზრებით, გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება {სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი}.

17. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მო- ასუხებმ, შემდეგი დასაბუთებით:

17.1. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია. სასამართლომ არასწორად განმარტა სამართლის მთელი რიგი ნორმები, შედეგად კი მიიღო დაუსაბუთებელი და დადგენილი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, რითაც დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 393-ე-394-ე მუხლების მოთხოვნები.

17.2. სააპელაციო სასამართლომ შეჯიბრებითობის და დისპოზიციურობის პრინციპის საწინააღმდეგოდ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლის დადგენასაც მოსარჩელე არ მოითხოვდა არც სასარჩელო განცხადებით და არც სააპელაციო საჩივრით;

17.3. გაასაჩივრებული გადაწყვეტილება დაემყარა იმ ფაქტებს, რომლებსაც არ ემყარებოდა მოსარჩელის მოთხოვნა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ გამოიყენა საგამოძიებო ორგანოში განხორციელებული ზეპირი გამოკითხვის ოქმები;

17.4. გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა გარიგების საგნის ფასზე აბსოლუტურად უსაფუძვლოა, ვინაიდან სასამართლოს მიერ საქმეში წარმოდგენილი დადგენილება გა- საზღვრავს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის ნორმატიულ ფასს ზონების მიხედვით, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების ფასებს იგი არ ეხება (დადგენილების მუხლი პირველი);

17.5. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმეში იქნებოდა მტკიცებულება კონკრეტულად გარიგების საგნის განსხვავებულ ფასზე,

სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, გარიგების ფასის საბაზრო ფასთან შეუსაბამობა, თუნდაც არსებითი, არ შეიძლება გამხდარიყო გარიგების ბათილად ცნობის ნინაპირობა;

17.6. სასამართლომ სსკ-ის 477-ე, 511-ე და 512-ე მუხლების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა;

17.7. ხელშეკრულება არ შეიძლება ჩაითვალოს მოჩვენებით გარიგებად, ვინაიდან, მისი დადგება განაპირობა მხარეების მიერ გამოვლენილმა ორმხრივმა გაცნობიერებულმა ნებამ, იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მოსარჩელემ მიიღო ნასყიდობის საფასური;

17.8. სასამართლომ არ გამოიყენა შემდეგი ნორმები: სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი, სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი, 102-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, 105-ე მუხლის პირველი ნაწილი. მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას (საქმე №ას-1485-1401-2012, 11.11.2013 წელი, საქმე №ას-678-638-2012 12.12.2013 წელი, საქმე №ას-1657-1554-2012, 10.10.2013 წელი, საქმე №ას-763-722-2015, 28.09.2015, საქმე №ას-571-879-09, 30.04.2012 წელი).

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

19. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე.

20. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს ძიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ძირითადად სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სწორად გაუქმა და მიიღო ახალი გადაწყვეტილება, სახელდობრ:

20.1. სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი და მისი სამართლებრივი შედეგები საკასაციო სასამართლოს არაერთ

გადაწყვეტილებასა და განჩინებაშია განმარტებული. ასე მაგალითად: а) „თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩინიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩინია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ“ (იხ. სუსგ ას №487-461-2015, 17.06.2015წ, №ას-474-455-2016, 7.07.2016, №ას-871-821-2015, 2.02.2016).

20.2. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები. მან ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად გამოიყვლია და შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით დაასკვნა, რომ 2013 წლის 21 ოქტომბერს მხარეთა ნება მიმართული იყო სესხისა და იპოთეკის და არა გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისაკენ. მტკიცების ტვირთის მატარებელმა მოსარჩელემ {სსკ-ის 102-ე მუხლი} დამაჯერებლად და დასაშვები მტკიცებულებებით დაამტკიცა აღნიშნული. კერძოდ:

- ა) ფაქტია, რომ მოპასუხე არ დაუფლებია უძრავ ნივთს;
- ბ) 2013 წლის 21 ოქტომბრის ხელშეკრულება შეიცავს ნასყიდობის ურთიერთობისათვის უჩვეულო დებულებას, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე ვალდებული იყო 94.10 კვ.მ ფართით სარ-

გებლობისათვის ყოველთვიურად ეხადა სარგებელი 600 აშშ დოლარი, ანუ მოსარჩელისათვის გადაცემული თანხის 5%, რაც შეესაბამება ბაზარზე სესხისათვის დადგენილ ყოველთვიურ საპროცენტო განაკვეთს;

გ) ფაქტია, რომ მოპასუხეს ორი თვის სარგებელი 1200 აშშ დოლარი წინასწარ, ხელშეკრულების დადების დღესვე გადასცა მოსარჩელემ;

დ) „ნასყიდობის ფასი“ – 12 000 აშშ დოლარი – მნიშვნელოვნად ნაკლებია ნივთის საბაზო ლირებულებაზე, მართალია, ეს გარემოება ცალკე აღებული არ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველს, მაგრამ ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთობლიობაში იგი იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომ 2013 წლის 21 ოქტომბერს მხარეთა გამოვლენილი ნება რეალურად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადებისკენ იყო მიმართული.

20.3. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებს შორის 2013 წლის 21 ოქტომბერს ადგილი პქნდა შეთანხმებას სესხის ხელშეკრულებაზე, რომლის უზრუნველყოფაც განხორციელდა იმ დროისათვის მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, შესაბამისად, გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებით, როგორც თვალმაქცური გარიგებით დაიფარა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რაც სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მისი ბათილად ცნობისა და აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იყო.

20.4. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს და თვლის, რომ ამ პრეტენზიების არგუმენტაცია არ არის საკმარისი საქმეში წარმოდგენილი გარემოებების გასაქარწყლებლად. კასატორის მიერ მითითება იმაზე, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას დაუსაბუთებელია (საქმე №ას-1485-1401-2012, 11.11.2013 წელი, საქმე №ას-678-638-2012 12.12.2013 წელი, საქმე № ას-1639-1539-2012. 15.06.2013, საქმე №ას-1657-1554-2012, 10.03.2013 წელი, საქმე №ას-763-722-2015, 28.09.2015, საქმე №ას-571-879-09, 30.04.2012 წელი), რადგანაც მითითებულ საქმეებზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები განსხვავდება გასაჩივრებულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი ვითარებისგან:

20.4.1. საქმე №ას-1485-1401-2012, საქმე №ას-678-638-2012 – ამ საქმეებში დავის საგანს წარმოადგენდა ორ იურიდიულ პირს

შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი თანხის დაკისრება. კასატორის მიერ მოყვანილი ამონარიდები: „სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ უნდა განსაზღვროს სადაც და უდავო ფაქტები. სადაც ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ჰპოვებს გამოვლინებას“, ... „საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართლში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა გაანაწილონ იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია“, ორივე შემთხვევაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებას ეხებოდა და ამ თვალსაზრისით, მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს კანონის მოთხოვნები დარღვეული არა აქვს (იხილეთ განჩინების 19.2-ე პუნქტი).

20.4.2. საქმე №ას-1639-1539-2012 – ამ საქმეში დავის საგანი სამისდღეშიონ რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხარჯების ანაზღაურება იყო. საკასაციონ სასამართლო რასაკეირველია, ეჭვქვეშ არ აყენებს კასატორის მიერ გადაწყვეტილებიდან მოყვანილი ფრაგმენტის: „სასამართლო თავისუფალია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში და შეუძლია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შინაგან რწმენაზე დაყრდნობით დადგენა, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს გადაწყვეტილების ვარაუდზე დაყრდნობით მიღების შესაძლებლობას“, მართებულობას, მაგრამ ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები მტკიცებულებათა ობიექტურ კვლევასა და ანალიზს ეფუძნება და არა ვარაუდებს, როგორც ეს კასატორს უნდა წარმოაჩინოს.

20.4.3. – კასატორი თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, ასე-ვე უსაფუძვლოდ იშველიებს ამონარიდებს შემდეგი საქმეებიდან: №ას-1657-1554-2012 (...„საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები“), №ას-763-722-2015 („სამოქალაქო კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს ნების თავისუფალი გამოვლენის უფლებამოსილებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობათა წარმოშობა, მათივე ნებაზეა დამო-

კიდებული და ამ ურთიერთობის შინაარსი განსაზღვრავს გარიგების მიზანს ანუ, იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც სურთ ნების გამოვლენ მხარეებს“), №ას-571-879-09 („საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოჩვენებითი გარიგების არსებობის შემთხვევაში არ არსებობს გამოვლენის გარეგანი დათქმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამოვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდნენ ნების ნაკლს. მოჩვენებითი გარიგების დროს, კანონი ადგენს კავშირს ფიქტიურ გარიგებასა და ნების მიმღები ადრესატის თანხმობას შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც დადგებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). ამრიგად, განსახილველი ნორმით იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც, როგორც ნების გამოვლენი, ასევე მისი მიმღები მოქმედებენ იმ განზრახვის გარეშე, რომ ამ გარიგებას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მოჩვენებით გარიგებას ახასიათებს მხარეთა „ურთიერთშეთანხმება“, „გარიგება“ მოჩვენებითი ნების გამოვლენის შესახებ. ამ შემთხვევაში, ორივეს გაცნობიერებული აქვს, რომ მათ მიერ ასეთი ნების გამოვლენას არ მოჰყვება იურიდიული შედეგი“). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დავის საგანს ნარმოადგენდა გარიგების ბათილობა სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მაშინ, როდესაც გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც თვალოთმაქცური გარიგების {სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი} სამართლებრივ შედეგებს ემყარება.

21. ამრიგად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოპასუხე სადაც ნივთის მესაკუთრე კი არა იპოთეკარია და აქედან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნაც უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე აღრიცხვის თაობაზე საფუძვლინია.

22. პალატა მართებულად მიიჩნევს, სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ თვალოთმაქცური გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მის ადგილს დაიკავებს სწორედ ზემოაღნიშნული დაფარული გარიგება და იპოთეკის ძალაში შესვლისათვის, სსკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა განხორციელდეს მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უძრავ ქონებაზე მოსარჩელის მესაკუთრედ აღრიცხვისა და ამ ქონების მოპასუხის სასარგებლოდ იპოთეკით დატ-

ვირთვის თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა სესხისა და იპოთეკის და არა ნასყიდობის ხელშეკრულებას.

23. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სსსკ-ის 393-ე/394-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 7.2-ე, 257.1-ე, 264.3-ე, 408.1.-ე, 408.2-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ა-ძის საკასაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მოჩვენებითი გარიგება**

### **განვითარება**

№ას-673-644-2016

3 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღდგენა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თ. გ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, მარწმუნებელი, მოწინააღმდეგე მხარე, ბინის მესაკუთრე) დაბადებულს 1939 წელს, პირ-

ველი რიგის მემკვიდრეები არ ჰყავს. ის თ. გ-ისა (შემდეგში: პირ-ველი მოპასუხე, მოსარჩელის ძმისშვილი, კასატორი) და ს. ჭ-ას (შემდეგში: მეორე მოპასუხე) მამიდა.

2. მოსარჩელე მარტოხელა და სოციალურად დაუცველი პირია. ის ქ. თბილისში კ-ას ქუჩა №6-ში მდებარე სადავო ბინის, რომლის საიდენტიფიკაციო მონაცემებია: ფართი 19.65 კვ.მ, საკადასტრო კოდით №0.., ფართი 16,1 კვ.მ. საკადასტრო კოდით №0.. (შემდეგში განჩინებაში მოხსენიებული, როგორც: უძრავი ნივთი, ბინა) მესაკუთრე იყო. მოსარჩელე დღემდე სადავო ბინაში ცხოვრობს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 155-ე მუხლი).

3. მოსარჩელემ, მისი კუთვნილი ქონების, მათ შორის წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტში აღნიშნული ბინის, განკარგვის უფლებამოსილება, 2012 წლის 24 ოქტომბერს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით მიანიჭა მასთან მცხოვრებ, მეორე ძმისშვილს, (პირველი მოპასუხების უმცროსი და) ი. გ-ს (შემდეგში: რწმუნებული, პირველი მოპასუხების უმცროსი და) (სსკ-ის 103.1-ე მუხლი).

4. რწმუნებულმა, რომელიც მოსარჩელის სახელით მოქმედებდა, 2013 წლის 10 სექტემბერს, მეორე მოპასუხესთან გააფირმა სადავო ბინის, მდებარე ქ. თბილისში, კ-ას ქუჩა №6, ბინა №14, ფართით 35,75 კვ.მ, ნასყიდობის მოჩვენებითი გარიგება. ხელშეკრულებაში ფორმალურად იქნა მითითებული ნასყიდობის ფასი 30 000 აშშ დოლარი (სსკ-ის 56.1-ე და 477-ე მუხლები).

5. იმავე წლის 19 დეკემბერს მეორე მოპასუხებმ აღნიშნულ ბინაზე საკუთრება, ასევე მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე, 15 000 ლარად გადასცა პირველ მოპასუხეს. ეს უკანასკნელი საქმის განხილვის დროისათვის საჯარო რეესტრში სადავო ბინის მესაკუთრედაა რეგისტრირებული (სსკ-ის 311.1-ე მუხლი).

6. ბინის თავდაპირველმა მესაკუთრემ, 2014 წლის 1 მაისს სარჩელი აღდრა მოპასუხების წინააღმდეგ, 2013 წლის 10 სექტემბრისა და 19 დეკემბრის ხელშეკრულებების ბათილობისა და ბინაზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნით. სარჩელი დასაბუთებული იყო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით: მას არ დაუკარგავს ბინაზე მფლობელობა. ბინა მისი ნების საწინააღმდეგოდ გაასხვისა რწმუნებულმა. სინამდვილეში, პირველმა მოპასუხემ, არამართლზომიერად, მოჩვენებითი გარიგებების დადების გზით, მოიპოვა ბინაზე საკუთრება.

7. პირველმა მოპასუხემ სარჩელში მითითებული გარემოებები არ ცნო და ისინი იმ საფუძვლით უარყო, რომ ბინის შექენა მან შეათანხმა, როგორც მის უმცროს დასთან, ისე სხვა ნათესა-

ვებთან.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 10 სექტემბრის და 19 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებები და სადაც პინაზე საკუთრების უფლება დაუბრუნდა მოსარჩელეს. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 54-ე, 56-ე და 477-ე მუხლები და მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების მათ ერთობლიობაში კრიტიკული შეფასების შედეგად გააკეთა შემდეგი დასკვნები:

8.1. 2013 წლის 10 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იქნა მოსარჩევებლად და მიზნად არ ისახავდა შესაბამისი იურიდიული შედეგის დადგომას. გარიგების დადების მიზნს მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემებში მესაკუთრის შეცვლა წარმოადგენდა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ ორივე ხელშეკრულება ფაქტიურად დადებული იყო ოჯახის წევრებს შორის: მოსარჩელე პირველი მოპასუხის მამიდაა, ხოლო მეორე მოპასუხე, რომელიც დაბადებულია ქორწინების გარეშე (ატარებს სხვა გვარს), პირველი მოპასუხის ძმაა.

8.2. მოსარჩელის ნათესავებს შორის სადაც პინის მომავალ მესაკუთრეობასთან დაკავშირებით გარკვეული უთანხმოება არსებობდა. პირველი მოპასუხე კატეგორიული იყო თავის მოთხოვნაში, რომ პინა საბოლოოდ მას უნდა დარჩენოდა და ამ მიზნით ზეწოლას ახდენდა მოსარჩელეზე. რემუნებულმა 2013 წლის 10 სექტემბერს, მოსარჩელესთან შეთანხმების გარეშე, პინა ფორმალურად, ნასყიდობის დადების გზით, მეორე მოპასუხეზე გადააფორმა. მაგრამ ამით კონფლიქტი არ ამონტულა, რადგანაც ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ ატარებდა მამის გვარს (გ-ი). საბოლოოდ, მეორე მოპასუხემ, იმავე წლის 19 დეკემბერს, პინაზე საკუთრება პირველ მოპასუხეს გადასცა. შესაბამისად, სასამართლომ ორივე გარიგების ბათილობის გამო სადაც პინაზე საკუთრება დაუბრუნა მოსარჩელეს.

9. 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა. მათ მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის უარყოფა შემდეგი საფუძვლებით:

9.1. სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 170-ე მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, არასწორად განმარტა სსკ-ის კოდექსის 56-ე მუხლი. მან არასწორად დაადგინა მოსარჩელის მიერ სადაც პინის ფლობის ფაქტი. სინამდვილეში ეს უკა-

ნასკნელი აღარ ფლობდა ნიგთს. ბინის მფლობელი გახდა ბინის მესაკუთრე – პირველი მოპასუხე ერთად ცხოვრობს ამ უკანასკნელის ბინაში. უმცროსი და სარგებლობს მამიდის მდგომარეობით (მოხუცებულობით), ცდილობს მოახდინოს მასზე ზემოქმედება და ხელში ჩაიგდოს სადაც ბინა, რათა შემდგომ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი;

9.2. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ მეორე მოპასუხე განკარგა ქონება, რომლის რეალურ მესაკუთრე-საც ის არ წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი იმიტომაც ჩამოვიდა უკრაინიდან, რომ თავიდანვე სურდა ქონების ხელში ჩაგდება. მაგრამ ქონების საკუთრებაში მიღების შემდეგ, გაიგო რა რწმუნებულის ნამდვილი განზრახვის შესახებ, რომელიც სთხოვდა ბინის იპოთეკით დატვირთვას, გადაწყვიტა მისი გაყიდვა. მან შეთავაზება ნათესავებს გაუკეთა და ბინა პირველმა მოპასუხე შეიძინა. 2013 წლის 10 სექტემბრის ნასყიდობის მოჩვენებით გარიგებად მიჩნევის წინაპირობა – ორივე მხარის შეთანხმება ხელშეკრულების მოჩვენებითობის შესახებ – სასამართლოს არ დაუდგენია;

9.3. ნასყიდობის საფასურის გადახდა-არგადახდის საკითხი ვერ გახდება ხელშეკრულებების ბათილობის საფუძველი. სასამართლომ არ გაითვალისწინა 2013 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულების დათქმა რომ: „ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 30 000 აშშ დოლარით, რომელიც მყიდველის მიერ სრულად არის გადახდილი“. ასევე 19 დეკემბრის ხელშეკრულების დებულება, რომ: „ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 15 000 ლარით, გადაცემა-გადახდა განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერამდე“;

9.4. სასამართლო ვერ გაერკვა საქმის ფაქტობრივ გარემოებებში, კერძოდ: მოსარჩევე ცხოვრობდა ქირით (საბჭოთა პერიოდში), მუშაობდა ჩაწერის გარეშე და ამის გამო სამსახურში ჰქონდა პრობლემები. აღნიშნულის გამო პირველმა მოპასუხე მის მიერ ნაყიდი 16 კვ.მ. ფართი და მისი გარდაცვლილი ძმის მიერ ნაყიდი 19 კვ.მ. ფართი გადააფორმა მამიდის სახელზე. მოსარჩევემ იცოდა, რომ სადაც ბინა იყო მათი. მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა მას შემდეგ, რაც უმცროსმა დამ ბინის მისაკუთრება გადაწყვიტა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტი-

ლებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხებმა წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტში დასახელებული ანალოგიური საფუძვლებით და დამატებით მიუთითეს შემდეგზე:

11.1. სააპელაციო პალატამ უზენაესი სასამართლოს დადგენილი მყარი პრაქტიკის (იხ.სუსგ. №ას-1302-1240-2014, 11.03.2015, №-1159-1105-2013, 17.02.14, №1266-1195-2012, 14.11.13) საწინააღმდეგოდ განმარტა სსკ-ის 56-ე მუხლი, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილება მოჰყვა. კერძოდ: „მოჩვენებითი გარიგების დადებით ორივე მხარე მოქმედებს საერთო მიზნით და ურთიერთშეთანხმებით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან მათი მოტყუების, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებისა თუ სხვა მიზნით. მოჩვენებითი გარიგების დროს მოსაჩვენებლად იქცევა ამ გარიგების მონაწილე ნების გამოვლენის ყველა სუბიექტი. ამდენად, მოჩვენებითად ჩაითვლება გარიგება, თუკი ნების გამოვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა, ე.ო. გარიგების მონაწილე მხარეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ მათ შორის დადებულ გარიგებას სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება და იგი დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად. ამასთან, იგი, როგორც წესი, კანონსაწინააღმდეგო მიზნების მისაღწევად ან დასაფარად გამოიყენება. მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში შეიძლება დაისავას მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი. ამდენად, მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში ადგილი აქვს გარიგების მონაწილე მხარეთა განზრას ქმედებას, რა დროსაც მათ არ სურთ სამართლებრივი შედეგის დადგომა და მისი დადების მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს მესამე პირის შეცდომაში შეყვანა. იმისათვის, რომ სასამართლომ სადაცო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებითად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლიე, ფიქტური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამასთან, როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სა-

მართლებრივი შედეგის დადგომას. შესაბამისად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადაც გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დამტკიცოს მან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეიღავა მისი უფლება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადაც ხელშეკრულებების მიხედვით, დასტურდება მხარეთათვის შესაბამისი უფლებების წარმოშობა. უფლებები არსებობს მიუხედავად იმისა, მათი რეალიზება მოხდება თუ არა უშუალოდ ხელშეკრულების დადებისთანავე. ასეთ პირობებში გარიგების (ხელშეკრულების) მოჩვენებითობაზე მსჯელობისას უნდა იკვეთებოდეს ორივე მხარის მიზანი, არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების მიღების, არამედ სხვა სარგებლის მიღებისა (იხ.სუსგ. №ას-1302-1240-2014, 11.03.2015.). განსახილებულ შემთხვევაში სასამართლოს არ დაუდგენია ის წინაპირობები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ 2013 წლის 10 სექტემბრის გარიგების დადების დროს მხარეები მოსაჩვენებლად მოქმედებდნენ და მეორე მოპასუხეს არ სურდა სადაც ნივთის მესაკუთრე გამხდარიყო;

11.2. სასამართლომ არ იმსჯელა პირველი მოპასუხის, როგორც სადაც ბინის შემძენის კეთილსანდისიერებაზე. მან არ გაითვალისწინა, რომ 2013 წლის 10 სექტემბრის გარიგების ბათილობა ავტომატურად არ გამოიწვევდა 19 დეკემბრის ნასყიდობის ბათილობას, თუ არ დაადგენდა, რომ გარიგების ხარვეზის თაობაზე პირველი მოპასუხისათვის გარიგების დადებამდე იყო ცნობილი;

11.3. სასამართლომ ასევე დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა და მტკიცებულებები ცალმხრივად (ტენდენციურად) შეაფასა, რადგანაც მოქმედებდა მოსარჩელისადმი კეთილგან-წყობითა და საქმეზე წინასწარ შექმნილი წარმოდგენებით.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 23 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო 2017 წლის 23 იანვრის საქმეზე დაინიშნა ზეპირი მოსმენა.

13. ზეპირი მოსმენისას კასატორების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორივე ნასყიდობის ხელშეკრულება აკმაყოფილებდა გარიგების დადების ზოგად პირობებს. რნმუნებულმა ბინა მეორე მოპასუხეზე მარწმუნებლის (მოსარჩელის) თანხმობით გაასხვისა. ამის საბასუხოდ მოსარჩელემ აპელირება გააკეთა საქმეში განთავსებულ რწმუნებულის 2014 წლის 10 თებერვლის წერილზე, რომელიც მისი აზრით, მისი თანხმობის გარეშე ბინის

გასხვისების ფაქტს ადასტურებდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

14. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, ასევე, მხარეთა მოსაზრებების ზეპირი მოსმენით შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა საკასაციო საჩივრის უსაფუძვლობის თაობაზე.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატიკორებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება და სამართლებრივად ძირითადად სწორად შეაფასა ისინი (იხ.ნინამდებარე განჩინების მე-10 პუნქტი).

17. მოსარჩელის მოთხოვნა სადავო ბინაზე საკუთრების უფლების დაპრუნების თაობაზე მიკუთხნებითი ხასიათისაა. ამ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 992-ე, 998-ე მუხლები და 408-ე მუხლის პირველი ნაწილი. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი ნინაპირობები. სახელდობრ:

17.1. მოსარჩელემ, რომელიც სადავო უძრავი ნივთის ტიტულოვანი მესაკუთრე იყო (სსკ-ის 183-ე მუხლი და 311-ე მუხლის პირველი ნაწილი) მისი ნების სანინაალმდეგოდ, მოპასუხეთა მართლსანინაალმდეგო და ბრალეული მოქმედების შედეგად დაკარგა სადავო ნივთზე საკუთრება, ანუ ზიანი მიადგა. 2013 წლის 10 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრში მესაკუთრედ მეორე მოპასუხე დარეგისტრირდა, არ იყო ნამდვილი, რადგანაც რწმუნებულს არ გააჩნდა გასხვისების უფლებამოსილება. მართალია, მარწმუ-

ნებელმა (მოსარჩელემ) 2012 წლის 24 ოქტომბერს სადაც ბინის გასხვისების უფლებამოსილება მიანიჭა თავის ძმისშვილს (რნმუნებულს), მაგრამ გარიგების დადებამდე მან შეცვალა უფლებამოსილების ფარგლები, რის შესახებაც აცნობა რნმუნებულს (სსკ-ის 108-ე მუხლი: უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ). 2014 წლის 10 თებერვალს პირველი ინსტანციის სასამართლოში გაკეთებულ განცხადებაში რნმუნებული შემდეგნაირად აღნერდა საკუთრების უფლების გადაცემის გარემოებებს: „თ. გ-ი აღნიშნული ბინის გასხვისების წინააღმდეგი იყო და მას დაზუსტებული თანხმობა მიუხედავად გაცემული მინდობილობისა მას ჩემთვის არ მოუცია. ფაქტობრივად გასხვისება და ბინის გაყიდვა არ შემდგარა რადგანაც ს. ჭ-ას არც ბინა გადასცემია ფაქტობრივ საკუთრებაში და არც აღნიშნული ბინის საფასური 30 000 აშშ დოლარი არ გადაუხდია...“. რნმუნებულის მიერ აღნერილი ზემოაღნიშნული ფაქტები სრულ შესაბამისობაშია, როგორც სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებთან, ისე მეორე მოპასუხის 2014 წლის 10 ოქტომბრის პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის სამუალებით მიღებულ განცხადებასთან და ასევე მოწმეთა ჩვენებებთან. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაიზიარა მოწმების: ი. და მ. გ-ების ჩვენებები (პირველი მოპასუხის დები). მათი განმარტებით, 2013 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულება ატარებდა ფორმალურ ხასიათს და მათვის ცნობილი იყო, რომ მეორე მოპასუხებზე ფორმალურად მოხდა ბინის გადაფორმება. ხელშეკრულება დაიდო მოსაჩვენებლად, იმ განზრახვით, რომ მესამე პირებს შექმნოდათ იმის შთაბეჭდილება, რომ უძრავი ქონება აღარ იყო მოსარჩელის საკუთრება;

17.2. სასამართლომ ასევე სწორად გაამახვილა ყურადღება მეორე მოპასუხის არათანმიმდევრულ და წინააღმდეგობრივ პოზიციაზე და სწორად არ გაიზიარა მისი 2015 წლის 21 იანვრის, ასევე პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული, განცხადების შინაარსი, რომელიც არ დაადასტურეს განცხადებაში მითითებულმა მოწმეებმა (ი. და მ. გ-ები). გარდა ამისა, სასამართლომ მეორე მოპასუხის იმ ახსნა-განმარტების არადამაჯერებლობაზეც იმსჯელა, რომელიც მან სააპელაციო სასამართლოს დისტანციურად მისცა. ის მიუთითებდა,

რომ ნასყიდობის საფასურს იხდიდა ნაწილ-ნაწილ, იმის მიხედვით, თუ რისი შესაძლებლობა ექნებოდა. მანვე განმარტა, რომ ქონება ისედაც წარმოადგენდა მის საკუთრებას და ნასყიდობის ხელშეკრულებით მხოლოდ არსებული რეალობა დადასტურდა. თუმცა, მან ვერ ახსნა, თუ რატომ გადაიხადა ნასყიდობის საფასური ქონებაში თუები იგი ისედაც მისი საკუთრება იყო. მისივე განმარტებით მან უძრავი ნივთი პირველ მოპასუხეზე გაყიდა იმ მიზეზით, რომ ეშინოდა რწმუნებულს (ი. გ-ს) არ დაეტვირთა იპოთეკით ქონება, თუმცა, ვერ დაასაბუთა ეს უკანასკნელი მისგან დამოუკიდებლად როგორ შეძლებდა ამის განხორციელებას;

17.3. საკასაციო სასამართლო პირველი მოპასუხის პრეტენზიას, რომ ის სადაც პინის კეთილსინდისიერი შემძენია, ვერ გაიზიარებს. სსკ-ის 185-ე მუხლის თანახმად, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე (შდრ. სუსგ №ას-381-365-2016, 18.01.17, №ას-307-292-2016, 13.05.2016). შემძენის კეთილსინდისიერება გამორიცხულია, თუ მან იცოდა ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უტყუარადაა დადგენილი, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის შესახებ არა მარტო პირველმა მოპასუხებმ, არამედ მოსარჩელის ყველა ახლო ნათესავმა იცოდა. ასე მაგალითად, მოწმე მ. გ-ი თავის ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ როდესაც რწმუნებულმა სადაც პინის მეორე მოპასუხეზე ნასყიდობის გზით გადაფორმების გადაწყვეტილება მიიღო, ოჯახის წევრებმა (იგულისმება დები, მათ შორის პირველი მოპასუხეც) უკმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ მათთან მეორე მოპასუხის ნათესაური კავშირი არ იყო ბოლომდე დადასტურებული და მას ჯერ არ ჰქონდა მიღებული მამის გვარი. პირველი მოპასუხე ფაქტობრივად ადასტურებდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის ცოდნას, როცა მიუთითებდა: „ამ დავის ნამომწყები, მოთავე და დამფუნანსებელი არის ჩემი და, ი. გ-ი, რომელიც სარგებლობს მამიდაჩემის მოხუცებულობით და იყენებს მას იარაღად თავისი მიზნებისათვის, მის მიზანს კი წარმოადგენს ამ პინის მამიდაჩემის მეშვეობით ხელში ჩაგდება...“;

17.4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა ასკვნის, რომ 2013 წლის 10 სექტემბრისა და 19 დეკემბრის ხელშეკრულებების გაფორმების დროს მოპასუხეები მოქმედებ-

დნენ საჯარო რეესტრში სადაცო ბინის მესაკუთრის (მოსარჩე-ლის) შეცვლის მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად მათ რეესტრს წარუდგინეს ფიქტიური (არანამდვილი) ნასყიდობის ხელშეკრულებები. სინამდვილეში, მხარეთა შორის ნასყიდობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა, რადგან არ მომხდარა ნამდვილი ნების გამოვლენის გზით არსებით პირობებზე შეთანხმება (სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილი). უძრავ ნივთზე გარიგების საფუძველზე საკუთრების შესაძენად კუმულატიურად ორი პირობაა აუცილებელი: მონაწილეთა ურთიერთმფარავი ნების (წერილობითი შეთანხმების) არსებობა და ამ შეთანხმების კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაცია (სსკ-ის 183-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც უძრავი ქონების მესაკუთრედ პირველი მოპასუხეა რეგისტრირებული, არასწორია. მან ეს უფლება მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად მიიღო, რაშიც ხელი მას მეორე მოპასუხემაც შეუწყო (სსკ-ის 998.2 მუხლი). სსკ-ის 992-ე მუხლისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე პირველი მოპასუხე ვალდებულია მოსარჩელეს ნატურით აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი – დაუბრუნოს სადაცო უძრავ ნივთზე საკუთრება.

18. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

19. განსახილევ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. თ. გ-ისა და ს. ჭ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-

დეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის განჩინება;
3. კასატორების მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თვალითმართული გარიგება

### გადაცყვაფილება საკართველოს სახალის

№ას-1212-1138-2015

6 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების  
შესრულება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. ნ. ტ-ეს, ე.ი კ-ეს, ე.წ, ნ., რ. და ს. ბ-ეებს (შემდეგში: მოსარჩევები ძირითად სარჩელში, აპელანტები, კასატორები, მოვალები) და მ. ნ-ეს (შემდეგში: მოპასუხე ძირითად სარჩელში, შეგებებული მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე, კრედიტორი) შორის 2012 წლის 6 აპრილს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება (გამოსყიდვის უფლებით) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შ-ში მდებარე შემდეგ უძრავ ქონებებზე: საკადასტრო კოდი №.....და ს/კ №.....(შემდეგში: უძრავი ქონება), რომელთა ნასყიდობის ფასი, შესაბამისად, 3260 და 5000 ლარს შეადგენდა. ნასყიდობის თანხის გადახდის ვადად ორივე უძრავი ქონების მიმართ განისაზღვრა 2014 წლის 6 აპრილი.

2. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორი სადავო უძრავ ქონებათა მესაკუთრედ აღირიცხა საჯარო რეეგსტრში {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 311<sup>1</sup>-ე და 183-ე მუხლები}.

3. ნინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული

ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა 2012 წლის 22 მარტის შეთანხმება, რომლის თანახმადაც, კრედიტორის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე 2009 წლის 19 მარტს სისხლის სამართლის საქმეზე ბრალი წარედგინა ერთ-ერთ მოსარჩელეს (ნ. ბ-ეს, შემდეგში: ზიანის მიმყენებელი, ან მოვალე) და მოპასუხე ცნობილ იქნა დაზარალებულად; მიყენებულმა ზიანმა 13 260 ლარი შეადგინა. ბრალდებულის მეუღლემ, ერთ-ერთმა მოსარჩელემ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ერედიტორს გადასცა 5000 ლარი, ხოლო დარჩენილი 8260 ლარის სანაცვლოდ, მხარები შეთანხმდნენ ხასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე გამოისყიდვის უფლებით.

4. ქონება უნდა გამოესყიდათ 2014 წლის 6 აპრილამდე.
5. 2013 წლის 14 აპრილს მოსარჩელებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, კრედიტორს საკუთრებაში გადასცეს 1900 ლარი {სსკ-ის 378-ე მუხლი}.
6. 2014 წლის 7 აპრილს ერთ-ერთმა მოსარჩელემ (ე. კ-ემ) საკრთო სასამართლოების ანგარიშზე შეიტანა 1260 ლარი და 5000 ლარი.

7. 2014 წლის 16 აპრილს იმავე სადეპოზიტო ანგარიშზე მოსარჩელეებმა დამატებით შეიტანეს 100 ლარი.

8. 2014 წლის 15 აპრილს მოსარჩელეებმა მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელი აღმრეს სასამართლოში და სადავო უძრავი ქონების მოპასუხის საკუთრებიდან გამოთხვა და საჯარო რეესტრში კვლავ მათ საკუთრებაში აღრიცხვა მოითხოვეს იმ საფუძვლით, რომ მათ ქონება ვადის დაცვით გამოისყიდეს.

9. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა შემდეგი საფუძვლებით:

8.1. მოსარჩელეებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დათქმულ ვადაში არ შესარულეს, შესაბამისად, სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება კრედიტორმა მოიპოვა. მოპასუხის განმარტებით, ერთ-ერთი მოსარჩელე მას დაუკავშირდა მარტში და 3200 ლარის გადახდა შესთავაზა, ხოლო დანარჩენი თანხის გადახდას სექტემბერში დაპირდა, სანაცვლოდ, შემთავაზებელმა სადავო ქონების გადაფორმება მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო.

8.2. მოსარჩელეთავის ცნობილი იყო კრედიტორის ადგილ-სამყოფელი და მათ სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, დათქმულ ვადაში შეესრულებინათ ვალდებულება.

8.3. სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსებით მოსარჩელეების ვალდებულება არ შეწყვეტილა, რადგანაც მათ თანხა უნდა შეეტანათ ნოტარიუსის სადეპოზიტო ან-

გარიშზე {სსკ-ის 434.1 მუხლი} ან უშუალოდ კრედიტორისათვის უნდა გადაეცათ {სსკ-ის 427-ე მუხლი}.

10. 2014 წლის 17 აპრილს მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელეთა წინააღმდეგ და სადავო უძრავი ქონებების საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა.

11. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელის მოპასუხებს მათ თანასაკუთრებაში და მფლობელობაში არსებული სადავო უძრავი ქონებების შეგებებული მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემა დაეკისრათ.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე მითითებით:

12.1. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კრედიტორის ადგილსამყოფელი უცნობი იყო მოვალისათვის, ხოლო რეგისტრირებულ მისამართზე მოპასუხე არ ცხოვრობდა.

12.2. კრედიტორმა შეგებებულ სარჩელში აღიარა, რომ მოსარჩელებმა მარტის ბოლოს მას შესთავაზეს 3200 ლარის გადახდა, მაგრამ უარი თქვა შესრულების მიღებაზე, ვინაიდან ის ერთიანად ითხოვდა ვალს. სასამართლომ დადგენილ გარემოებად არ ჩათვალი ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგე მხარემ აღიარა ერთი ხელშეკრულების ფასის მიღებაზე უარის თქმა ( $1900+3200=5100$ ). აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლოს შესრულების მიღებაზე უარის თქმა დადასტურებულად უნდა ჩაეთვალა.

12.3. ვალდებულების შესრულების ბოლო თარიღი იყო 2014 წლის 6 აპრილი, 5-6 აპრილი იყო არსამუშაო დღე, ხოლო 7 აპრილს თანხის დეპონირება განხორციელდა სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, შესაბამისად, მათ ვალდებულება ჯეროვნად შეასრულეს.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა უზურგეთის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

14. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა, რომლებმაც მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საა-

პელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

16. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე, თუმცა მან დატოვა სასამართლო სხდომის დარბაზი და საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიიღო {საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის 232-ე მუხლი}.

17. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით, აპელანტთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება {სსსკ-ის 387.3-ე, 230-ე მუხლი}.

18. სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება მოსარჩელების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, უძრავ ნივთთან დაკავშირებით, მდებარე ოზურგეთის რაიონში, სოფელ შ-ში საკადასტრო კოდით №..... და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა კრედიტორის სახელზე რეგისტრირებული ჩანაწერი ზემოაღნიშულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით და იგი აღირიცხა მოსარჩელთა თანასაკუთრებად. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

19. პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებდა სააპელაციო (სასამართლო) მოთხოვნას შემდეგ გარემოებათა გამო: მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულების მიზნით, 2014 წლის მარტის ბოლოს დაუკავშირდნენ კრედიტორს, რათა მისთვის გადაეცათ თანხა ან, ამ თანხის ჩარიცხვის მიზნით, კრედიტორს მიეწოდებინა საბანკო ანგარიშის მონაცემები, რის თაობაზეც მოპასუხისაგან მიიღეს უარი, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადის ბოლო დღეებში მოპასუხებ მოსარჩელეებთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა. აღნიშვნული სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში მოპასუხებ განმარტა, რომ ერთ-ერთი მოსარჩელ დაუკავშირდა ტელეფონით 2014 წლის მარტის ბოლო რიცხვებში და უთხრა, რომ არ ჰქონდა სრული თანხა, მაგრამ შეეძლო გადაეხადა 3 200 ლარი და ქონება უნდა გადაეფორმე-

ბინა, ხოლო დანარჩენ თანხას სექტემბრის ბოლოს დაფარავ-დნენ, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა. შესაბამისად, აპელან-ტის განმარტებით, მოპასუხისათვის 3200 ლარის, გამოსყიდვის ვადაში გადახდა, კრედიტორის მიზეზით დაყოვნდა. აღნიშნული თანხა კი, საქმარისი იყო ერთ-ერთი ქონების გამოსასყიდად. შესაბამისად, პალატმ დაადგინა, რომ აპელანტის მიერ მითი-თებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ გამოსყიდ-ვის ვადაში მოვალეთა მიერ, კრედიტორის მხრიდან ხელშე-ლის არარსებობის შემთხვევაში გადახდილი იქნებოდა 5100 ლა-რი, ანუ მოსარჩელები შეძლებდნენ გამოსყიდათ 2012 წლის 6 აპრილის ხელშეკრულებით გასხვისებული უძრავი ქონება (მდე-ბარე ოზურგეთის რაიონის სოფელ შ-ში, საკადასტრო კოდით: №....., ფართით 3000.00 კვ.მ და საცხოვრებელი სახლი 425.69 კვ.მ) ამართლებდა მათსავე სასარჩელო მოთხოვნას.

20. რაც შეეხება აპელანტთა მეორე მოთხოვნას, სააპელა-ციო პალატის მოსაზრებით, ამ ნაწილში მოვალეთა მიერ მითი-თებული ფაქტობრივი გარემოება იურიდიულად არ ამართლებ-და სასარჩელო მოთხოვნას, რადგან უდავოა, რომ მოსარჩელე-თა მიერ ვალდებულების შესრულების დროს – 7 აპრილს უკვი გასული იყო გამოსყიდვის 2-წლიანი ვადა.

21. აღნიშნული განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უარყოფილ იქნა მათი სააპელაციო მოთ-ხოვნა საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა შემდეგი სა-ფუძვლებით:

20.1. სარჩელი ორივე ქონების ნაწილში დასაბუთებული იყო. მათ ვალდებულება უნდა შეესრულებინათ 2014 წლის 6 აპრი-ლამდე, მაგრამ ვერ შეასრულეს, რადგანაც 2014 წლის 6 აპრი-ლი უქმე იყო; აქედან გამომდინარე, სსკ-ის 121-ე, 123.1-ე, 127-ე მუხლების დანაწესისა და უზენაესი სასამართლოს განმარ-ტების (იხ. საქმე №783-740-2015) გათვალისწინებით, აპელან-ტებს სადავო უძრავი ქონების გამოსყიდვა შეეძლოთ 2014 წლის 7 აპრილამდე. ეკვედგომი ინსტანციის სასამართლოებს გამოს-ყიდვის ვადის ბოლო დღე სწორად რომ განესაზღვრათ, გაირ-კვეოდა, რომ კასატორებმა ორივე უძრავი ქონების მიმართ გა-მოსყიდვის უფლება ვადაში გამოიყენეს.

20.2. სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამ-ყიდველის ნებაზე. გამოსყიდვის უფლების რეალიზაცია ცალ-მხრივი ნების გამოვლენას ნარმოადგენს და მის ნამდვილობის ერთ-ერთ უმთავრესი ელემენტია ნების ადრესატთან მისვლა.

როგორც საქმის მასალებით დგინდება, მოწინააღმდეგე მხარი-სათვის ცნობილი იყო კასატორების სურვილი, გამოეყენებინათ ორივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსყიდვის უფლება.

20.3. რაც შეეხება გადასახდელი თანხის ოდენობას, უდავოა რომ 2014 წლის 7 აპრილს თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე დეპონირებით, კასატორებმა, მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, ფაქტობრივად მთლიანად გადაიხადეს გამოსყიდვის ჯამური თანხა 8160 ლარი, ხოლო იმავე წლის 16 აპრილს დამატებით სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსეს ასი ლარი, მთლიან თანხასთან შედარებით 100 ლარის სიმცირის გათვალისწინებით, ამ თანხის დაგვანებით დეპონირება მიჩნეულ უნდა იქნეს საპატიო ტექნიკურ შეცდომად, ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კასატორები იძულებული გახდნენ რა ვალდებულება დეპონირებით შეესრულებინათ, მათ დამატებითი სირთულეები შეექმნათ.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილი „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

22. საქმის მასალების გაცნობა, მათი შესწავლა და ანალიზი, მიღებული განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებისა და საჩივრის მოტივების შემოწმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკრნა გასაჩივრებულ ნაწილში განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

23. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

24. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არას-

წორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რასაც შე-დეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნა და საპელაციო საჩივრის მოტივების მთლიანი უარყოფა, კერძოდ:

24.1. დადგენილია, რომ 2012 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების დადგებას წინ უსწრებდა შემდეგი ფაქტები: 2009 წლის 19 მარტს სისხლის სამართლის საქმეზე მონინააღმდეგე მხარის (კრედიტორის) მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე ბრალი წარედგინა ერთ-ერთ მოსარჩელეს (ნ. ბ-ეს); კრედიტორი (მოპასუხე) ცნობილ იქნა დაზარალებულად. ამ უკანასკნელისათვის დანაშაულით მიყენებულმა ზიანმა 13 260 ლარი შეადგინა. ბრალდებულის მეულემ, იმავდროულად განსახილველ დავაზე ერთ-ერთმა მოსარჩელემ, მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, კრედიტორს გადასცა 5000 ლარი; დარჩენილი 8260 ლარის გადახდა კი, უზრუნველყოფილ იქნა მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში მისი გამოსყიდვის უფლებით) დადებით. გამოსყიდვის ვადა შეადგენდა ორ წელს.

24.2. სააპელაციო სასამართლოს სწორედ ამ ფაქტებიდან გამოდინარე უნდა შეეფასებინა 2012 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებიც გამოეტანა. ამ შემთხვევაში, კრედიტორის მიზანს წარმოადგენდა მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება, რისთვისაც მას ესაჭიროებოდა ბრალდებულისა და მისი ახლობლებისაგან გარკვეული სახის გარანტია, ანუ შესრულების უზრუნველყოფა (...დარჩენილი 8260 ლარის სანაცვლოდ ნ. ბ-ის მეულლე ნ. ტ-ე და მისი დედა ე. კ-ე გარანტიის სახით, ყიდვა-გაყიდვის (2 წლის ვადით გამოსყიდვის უფლებით) სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების გაფორმებით მ. ნ-ის სახელზე გადააფორმებს მისი ან გარდაცვლილი მეულლისაგან მიღებულ სამეცვიდრეო ქონებას, მდებარეს ოზურგეთის რაიონის სოფელ შ-ში საცხოვრებელ სახლს და სახლთან მიმდებარეობილით მსხმიარე მიწის ნაკვეთს)...“ იხ. 2012 წლის 22 მარტის შეთანხმება.

24.3. აქედან გამომდინარე, 2012 წლის 6 აპრილს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება მიმართული იყო არა ნასყიდობის, არა-მედ იპოთეკის ხელშეკრულების დადებისაკენ {სსკ-ის 56.2-ე, 286.1-ე და 289.1-ე მუხლები}. „თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარები თანხმდებიან. ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღ-

წევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს. ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია. თუმცა, ამ საფუძვლით გარიგების ბათილობას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების გათვალისწინებით. ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმებას სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ” (იხ. სუსგ №ას-871-821-2015 5.02.16, და ას №487-461-2015, 17.06.2015წ.)

24.4. ამრიგად, სასამართლოს დავის მოსაწესრიგებლად უნდა გამოყენებინა დაფარული გარიგების, იპოთეკის, მომწესრიგებელი ნორმები.

24.5. მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკა იურიდიული ძალის მქონე იყო, რადგანაც სახეზე იყო სსკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი წინაპირობები: ა) კრედიტორის ფულადი მოთხოვნა, ბ) მხარეთა შეთანხმება და გ) უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

24.6. სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ნაწილობრივ ამართლებდა სააპელაციო (სასამართლო) მოთხოვნას, დაუსაბუთებელია. ერთმნიშვნელოვნადაა დადგენილი, რომ მოპასუხები ყოველნაირად ცდილობდნენ დროულად დაეფარათ ვალი და კუთვნილ ქონებებზე უფლება დაებრუნებინათ სახელდობრ:

24.7. 2013 წლის 14 აპრილს, შესრულების ვადის დადგომამდე, მოპასუხებ ერთ-ერთი მოსარჩელისაგან მიიღო ვალის ნაწილი – 1900 ლარი. იგი თავის შესაგებელში ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ 2014 წლის მარტის ბოლოს მოსარჩელემ (ნ. ტ-ემ) მას შესთავაზა 3200 ლარი, მაგრამ უარი თქვა შესრულების მიღებაზე, ვინაიდან ერთიანად ითხოვდა ვალს. მეტად არადამაჯერებელი და ალოგიკურია მოპასუხის მტკიცება, რომ მიუხედვად იმისა, რომ მოსარჩელებისათვის მისი ადგილსამყოფე-

ლი ცნობილი იყო, მათ საკუთარი ინიციატივით გაირთულეს სიტუაცია და 2014 წლის 7 და 16 აპრილს საქართო სასამართლოების ანგარიშზე შეიტანეს ვალის დარჩენილი ნაწილი 6360 ლარი. ნებისმიერი, საღად მოაზროვნე ადამიანისათვის ნათელია, რომ მოსარჩელეებმა ეს ნაბიჯი გადადგეს იმის გამო, რომ კრედიტორი აყოვნებდა შესრულების მიღებას. მართალია, მათ ეს თანხა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე არ განუთავსებიათ {სსკ-ის 434-ე მუხლის პირველი წინადადება}, მაგრამ სამართლებრივად ამას ვერ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგანაც მოსარჩელეებმა ამით მკაფიოდ გამოხატეს შესრულების ნება.

24.8. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ შემთხვევაში მოპასუხის ქცევა არ პასუხობს სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტურ-ქცევის კეთილსინდისიერებისა და სოლიდარობის – პრინციპს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები; კრედიტორი ვალდებული იყო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ემოქმედა და მიეღო შესრულება {სსკ-ის მე-8.3. და 361.2 მუხლები}. ამასთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ განმარტა ერთ-ერთ საქმეზე: „სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესით – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ეს დანაწესი მოიცავს მთელ კერძო სამართალს, რომელსაც ავსებს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და იმანენტურ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს ზოგადად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში,

ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა (სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტება იხ., სუსგ საქმე №სა-264-250 2015, 18 მაისი 2016 წელი №ას-570-541-2015, 11 ნოემბრი, 2015 წელი).

24.9. იპოთეკა აქცესორული უფლებაა, ანუ ისეა დაკავშირებული კრედიტორის მოთხოვნის უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებოდეს {სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი და 153-ე მუხლის პირველი ნაწილები}. მოსარჩელეებმა სრულად დაფარეს ვალი, რითაც გაუქმდა ის მოთხოვნა რასაც უზრუნველყოფდა იპოთეკა. შესაბამისად, უძრავ ნივთზე, მდებარე ოზურგეთი, სოფელი მ-ი, საკადასტრო კოდი №....., კრედიტორის სასარგებლოდ არსებული სანივთო უფლება – საკუთრება – უნდა გაუქმდეს და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრებად ისევ მოსარჩელეები უნდა აღირიცხონ.

25. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან, ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

26. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც მხარეებმა გაწიეს საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტი-

ლებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 408-ე, 411-ე, 399-ე, 382-ე, 264.3-ე, 53.3-ე, მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა:**

1. ე. ბ-ის, ე. კ-ის, ნ. ტ-ის, ნ. ბ-ის, რ. ბ-ის და ს. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ე. ბ-ის, ე.ი კ-ის, ნ. ტ-ის, ნ. ბ-ის, რ. ბ-ის, ს. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. მ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

5. გაუქმდეს მ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული ჩანაწერი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომლის საკადასტრო მონაცემებია: ოზურგეთი, სოფელი შ-ი, კოდი №..... და აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხოს ე. ბ-ის, ე. კ-ის, ნ. ტ-ის, ნ. ბ-ის, რ. ბ-ის, ს. ბ-ის თანასაკუთრებად,

6. მ. ნ-ეს, ე. ბ-ის, ე. კ-ის, ნ. ტ-ის, ნ. ბ-ის, რ. ბ-ისა და ს. ბ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს 528,20 ლარის გადახდა;

7. მ. ნ-ეს საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიში-დან საკუთრებაში გადაეცეს 3260 ლარი;

8. გადაწყვეტილება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

## თვალთმაქცერი გარიგება

### განხილვა

№ას-272-259-2016

21 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, წილის  
დაბრუნება, პუბლიკაციების გამოთხოვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „კ-ი“ (შემდეგში: საწარმო, მეორე მოპასუხე ან კასა-ტორი) იურიდიულ პირად დარეგისტრირდა 2013 წლის 21 ოქტომბერს. რეგისტრაციის მომენტისათვის საწარმოს ერთადერთ დამფუძნებელ პარტნიორსა და იმავდროულად დირექტორს ნარმოადგენდა დ. ბ-ა (შემდეგში: საწარმოს დამფუძნებელი, დირექტორი, პირველი პარტნიორი ან კასატორი; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, შემდეგში: მეწარმეთა კანონის 2.1, მე-4 მუხლები).

2. საწარმოს 2014 წლის 6 იანვრიდან, საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭ-ში. მის დამფუძნებელსა და დირექტორს სურდა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, კომერციული მიზნებისათვის, გაზიარდართი სადგურის აშენება, თუმცა, საჭირო ფინანსური სახსრები არ გააჩნდა და ეძებდა ბიზნესპარტნიორს. საწარმოს დამფუძნებელი დაუკავშირდა თავის ნაცნობს – ზ. ბ-ეს (შემდეგში მეორე პარტნიორის მამა ან მოწმე), რომელმაც მოიწონა ბაზნესიდეა და საწარმოს 50% წილის სანაცვლოდ, რომელიც მის შვილზე – ნ. ბ-ეზე (შემდეგში: მეორე პარტნიორი) უნდა გადაფორმებულიყო, თანხმობა განაცხადა საწარმოს დამფუძნებლისათვის, მატერიალურ-ტექნიკური (შესაბამისი დანადგარების მიწოდების) სახით დახმარების განვეაზე. მხარეთა შეთანხმება, საწარმოს 50%-იანი წილის სანაცვლოდ, მეორე პარტნიორის მიერ ნაკისრი ვალდებულების თაობაზე წერილობით გარიგებაში არ ასახულა.

3. საწარმოს დამფუძნებელმა (იმავდროულად დირექტორმა) და მე-2 პუნქტში დასახელებულმა მეორე პარტნიორმა 2014

წლის 24 აპრილს ხელი მოაწერეს დოკუმენტს სახელწოდებით: სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სანარმოს დირექტორმა იკისრა ვალდებულება, 100%-იანი წილიდან 50% საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა მეორე პარტნიორისათვის და ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ცვლილება შეიტანეს მენარმეთა და არასამერნარმეო იურიდიული პირების რეესტრში (შემდეგში: სამენარმეო რეესტრი; მენარმეთა კანონის მე-5<sup>1</sup> მუხლი).

4. მეორე პარტნიორმა შეიტანა სანარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარი ა. მ-ის (შემდეგში: მესამე პარტნიორი) მეშვეობით, რის გამოც ამ უკანასკნელს, წილის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე, მეორე პარტნიორმა გაუფორმა სანარმოში მისი კუთვნილი 50%-იანი წილის ნახევარი – 25%, რაც დასტურდება ამონაწერით სამენარმეო რეესტრიდან (სსკ-ის 198-ე, 199-ე მუხლები, მენარმეთა კანონის მე-5<sup>1</sup> მუხლი).

5. გაზგასამართი სადგურის მშენებლობა და შემდგომი ფუნქციონირება საჭიროებდა გარკვეულ თანხებს, შესაბამისად, დამფუძნებელმა პარტნიორმა და დირექტორმა, სანარმოს 100%-იანი წილის გასხვისებამდე, აიღო საბანკო კრედიტი, რომლის დაფარვაც ხდება წინსწრებით, სანარმოს ფინანსური აქტივებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მეორე და მესამე პარტნიორებს წარმოეშვათ პრეტენზიები, გარდა ამისა, პარტნიორები ვერ თანხმდებოდნენ სანარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო საკითხებზე (მაგალითად – გაზგასამართი სადგურის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ დანადგარებზე, აგრეთვე სანარმოს დოკუმენტაციის გაცნობის შესახებ), რისთვისაც შედგა პარტნიორთა კრებაც, თუმცა, უშედეგოდ.

6. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2014 წლის 3 ოქტომბერს აღძრული სარჩელით პირველი პარტნიორისა და სანარმოს წინააღმდეგ, მეორე და მესამე პარტნიორებმა მოითხოვეს სანარმოს დირექტორის გათავისუფლება თანამდებობიდან, ასევე, სანარმოს სრული საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტაციის, ხელშეკრულებების, მ/ნლის განეული ხარჯების, საბუღალტრო ჩანაწერების, საზოგადოების კრედიტორებისა და მოვალეთა შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტაციის, სანარმოს ყველა პუბლიკაციის მათთვის გადაცემა.

7. იმავე წლის 15 დეკემბერს სარჩელი აღძრა სანარმოს პირველმა პარტნიორმაც მეორის წინააღმდეგ და მოითხოვა დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილების (იხ. წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტი), როგორც თვალთმაქცური გარიგების

ბათილად ცნობა, მისი კუთვნილი 100%-იანი წილიდან მეორე პარტნიორისათვის 50%-ის გადაცემის თაობაზე, 25%-ის ნაწილში, შესაბამისად, საწარმოს წილების პარტნიორთა საკუთრებად აღრიცხვა სამენარმეო რეესტრში შემდეგნაირად: 75% – პირველ პარტნიორს, 25%-მესამე პარტნიორს (იხ. პირველი პარტნიორის სარჩელი).

8. საწარმოს დამფუძნებელმა საკუთარი სასარჩელო მოთხოვნის მოტივაციად მიუთითა, რომ მეორე პარტნიორისათვის 50%-იანი წილის გადაცემა (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) მოხდა თვალთმაჯური გარიგებით, ამ გარიგებით დაიფარა გარიგება, რომლის თანახმად, საწარმოს 25% მეორე პარტნიორის საკუთრებაში გადავიდოდა მშენებლობის ხარჯების შესაბამისი თანხის პირველი პარტნიორისათვის გადაცემის შემდეგ, ხოლო დარჩენილი 25% – მეორე პარტნიორის საკუთრებაში გადავიდოდა, გაზგასამართი სადგურის მოსახუობად, მესამე პარტნიორის (იხ. ამ განჩინების მე-4 პუნქტი) მეშვეობით, საწარმოსათვის გაზის დანადგარების მიწოდების შემდეგ. ამდენად, სახეზე იყო სსკ-ის 188-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები (პირობადებული საკუთრება), მეორე პარტნიორმა ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, რის გამოც პირველი პარტნიორი უარს ამბობდა ხელშეკრულებაზე.

9. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, მეორე და მესამე პარტნიორთა მიერ აღძრული სარჩელი (საქმე №2/462-14), საწარმოსა და მისი დამფუძნებლის წინააღმდეგ, ერთ წარმოებად გაერთიანდა, საწარმოს დამფუძნებლის ინიციატივით, მეორე პარტნიორის წინააღმდეგ დაწყებულ, წარმოებაში არსებულ საქმესთან (№2/708-14), დავის სწრაფად და დროულად გადასაწყვეტად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსე), 182-ე მუხლის მე-4 წანილის საფუძველზე: „თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომმოებშიც ერთი და იგივე მხარეები ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის მუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა“ და საქმეს მიენიჭა საერთო წომერი 2/462-14.

10. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით მეორე და მესამე პარტნიორთა სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, საწარ-

მოდან გამოთხოვილი იქნა სრული საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, მ/წლის განეული ხარჯები, საბუღალტრო ჩანაწერები, საზოგადოების კრედიტორებისა და მოვალეთა შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტაცია, სანარმოს ყველა პუბლიკაცია. სასამართლომ უარჲყო მოსარჩევეთა მოთხოვნა სანარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში, უსაფუძვლობის გამო.

11. სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, აგრეთვე, სანარმოს დამფუძნებლის (პირველი პარტნიორის) მოთხოვნა და თვალთმაქცურ გარიგებად (სკის 56.2-ე მუხლი) იქნა ცნობილი ამ უკანასკნელსა და მეორე პარტნიორს შორის გაფორმებული შეთანხმება წილის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი), მასზე გავრცელდა დაფარული გარიგების – წილის ნასყიდობის ხელშეკრულების წესები, ხოლო სამენარმეო რეესტრში პარტნიორთა წილები უცვლელად დარჩა: პირველს – 50%, მეორეს – 25%, მესამეს – 25%.

12. რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებზე მიუთითა:

12.1. წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებით, მეორე პარტნიორისათვის 50%-იანი წილის გადაცემა რეალურად განხორციელდა, რაც დარეგისტრირდა კიდეც სამენარმეო რეესტრში. მეორე პარტნიორს სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვა გაზიგასამართი სადგურის მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობის და ამ სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო დანადგვარების მიწოდების ვალდებულება. მანამდე მას სანარმოს ან პირველი პარტნიორის მიმართ რაიმე ვალდებულება, რასაც შედეგად წილის გადაცემა შეიძლებოდა მოპყოლოდა, არ შეუსრულებია. ეს გარიგება მხარეებმა დაფარეს და 2014 წლის 24 აპრილს ხელი მოაწერეს თვალთმაქცურ გარიგებას სათაურით: სანარმოს პარტნიორის გადაწყვეტილება. სინამდვილეში ამ დოკუმენტზე ხელს აწერს გარიგების ორივე მხარე: პირველი და მეორე პარტნიორი. ხელშეკრულების მიხედვით, პირველი პარტნიორი მეორეს გადასცემს სანარმოში მისი კუთვნილი 100%-იანი წილიდან 50%-ს, ხოლო მეორე თანამაა, მიიღოს ეს წილი. რაიმე პირობა, რასაც შეიძლებოდა გადაცემულ წილზე საკუთრების უფლების წარმოშობის, ამ პირობის შესრულებამდე, გადაწევა გამოეწვია, მხარეებს შორის არც წერილობით და არც ზეპირად არ ყოფილა დათქმული. პირიქით, მხარეებმა მიუთითეს, თითქოსდა წილის გადაცემა უსასყიდლოდ მოხდა და ამ გარიგების რეესტრში რეგისტრაციის გზით

აღასრულეს მათ მიერ გამოხატული ნება საწარმოში წილების განაწილებასთან დაკავშირებით;

12.2. მეორე პარტნიორმა ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა ჯეროვნად. გაზგასამართი სადგურის მშენებლობის ხარჯის დაფინანსებაში მას მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა, შეიტანა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარი მესამე პარტნიორის მეშვეობით, რის სანაცვლოდაც, ამ უკანასკნელს დაუთმო საწარმოში მისი კუთვნილი 50%-იანი წილიდან 25% და, საბოლოოდ, საწარმოს პარტნიორებს შორის წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი პარტნიორი – 50%, მეორე – 25%, მესამე – 25%. მიწოდებული გაზის დანადგარების (რომლის სანაცვლოდ მესამე პარტნიორი გახდა საწარმოს 25% წილის მფლობელი) საბალანსო ლირებულებამ, ბუღალტრული მონაცემებით, შეადგინა 148 737 ლარი;

12.3. მენარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, ყოველ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკურის მიღების უფლება. ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შპს-ის დირექტორებმა, პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს. შესაბამისად, სამართლებრივად დასაბუთებულია მეორე და მესამე პარტნიორების მოთხოვნები საწარმოს სრული საფინანსო-სამუშაო დოკუმენტაციის, მ.შ. ხელშეკრულებების, მ/წლის განეული ხარჯების, საბუღალტრო ჩანაწერების, საზოგადოების კრედიტორებისა და მოვალეთა შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტაციის, საწარმოს ყველა პუბლიკურის გადაცემის შესახებ;

12.4. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მოსარჩევები დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვდნენ ისეთ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებსაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია;

12.5. იმის გათვალისწინებით, რომ წილის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების დადებისას პირველ პარტნიორს არ ჰქონდა მეორე პარტნიორისათვის წილის უსასყიდლოდ გადაცემის განზრახვა, სინამდვილეში წილის გადაცემის სანაცვლოდ, მან იკისრა გარკეეული ვალდებულებები, სასამართლომ დაასკვნა, რომ სსკ-ის 56-ე მუხლის შესაბამისად, მოსაჩვენებლად დაიღო მხარეთა მორის გარიგება და ამით დაიფარა წილის ნასყიდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 477.1-ე მუხლი);

12.6. პირველმა პარტნიორმა ვერ დაამტკიცა შეთანხმების არ-

სებობა პირობაზე, რომლის შესრულების შემდეგ, მეორე პარტნიორს წარმოეშობოდა მიღებულ ნილზე საკუთრების უფლება; 12.7. სსკ-ის 188.1-ე მუხლით: „თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ“. შესაბამისად, დაუსაბუთებელია დასახელებულ ნორმაზე დაფუძნებული მოთხოვნა წილის 25%-ის პირველი პარტნიორისათვის დაბრუნების თაობაზე იმ მოტივით, რომ შემძენმა გააჭიანურა საფასურის გადახდა, ხოლო გამსხვისებელი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე;

12.8. სასამართლომ, სსკ-ის 352.1-ე მუხლზე მიუთითა, რომლითაც განსაზღვრულია ზოგადად, ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, მხარის მიერ მიღებული შესრულებისა და სარგებლის ნატურით დაბრუნება, თუმცა, ასეთი შემთხვევისთვის კანონმდებელი იმპერატიულად მიუთითებს, რომ მხარეებმა ხელშეკრულებიდან გასვლისათვის უნდა დაიცვან ამავე კოდექსის 405-ე მუხლის მოთხოვნები. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილით: „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი“. სასამართლომ დაასკვნა, რომ დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად პირველ პარტნიორს მეორე პარტნიორისათვის არ დაუწესება, არც მასთან გათანაბრებულ გაფრთხილებას ჰქონია ადგილი. ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის ამ ვალდებულებას ვერ გააქარნებებს ის გარემოებაც, რომ შესრულებამ მხარისათვის ინტერესი დაკარგა.

13. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთაგან სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა პარტნიორმა და საწარმომ, ასევე, მეორე პარტნიორმა.

14. პირველმა პარტნიორმა (საწარმოს დირექტორმა) და საწარმომ მოითხოვეს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის (იხ. ამ განჩინების მე-7 პუნქტი) უარყოფილ ნა-

წილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მეორე პარტნიორმა სარჩელის (იხ. ამ განჩინების მე-6 პუნქტი) უარყოფილ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

15. პირველი პარტნიორისა (საწარმოს დირექტორის) და სა- წარმოს სააპელაციო საჩივარი შემდეგ არგუმენტებს მოიცავს:

15.1 სასამართლოს, ერთი მხრივ, დადგენილად მიაჩინა, რომ მეორე პარტნიორს ჰქონდა მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობის ვალდებულება, მაგრამ მეორე მხრივ, აღნიშნული ვალდებულება არ მიაჩინა წილზე საკუთრების უფლების გადასვლის პირობად. შესაბამისად, სასამართლომ მხარეთა მიერ დადებული გარიგება მიაჩინა ჩვეულებრივ ნასყიდობის ხელშეკრულებად, როდესაც გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს ნასყიდობის საგანი, ხოლო მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს ნასყიდობის ფასი, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო ნასყიდობის ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც პირველ პარტნიორს მიენიჭა ნასყიდობის ფასის მოთხოვნის და არა რესტრიტუციის უფლება. სინამდვილეში, როგორც სასამართლომაც დაადგინა, მეორე პარტნიორს მონაწილეობა უნდა მიეღო მშენებლობის დაფინანსებაში და მოეწოდებინა დანადგარები, ანუ მას თანხა უნდა გადაეცა და დანადგარები მოეწოდებინა ინვესტიციის განხორციელების მიზნით. გაზგასამართი სადგურის ექსპლუატაციის გაშვების შემდეგ, აღნიშნული ინვესტიციების განხორციელება შეუძლებელი იყო, რის გამოც დათქმული იყო პირობა, რომ მყიდველი წილზე საკუთრებას მოიპოვებდა მას შემდეგ, რაც ის მშენებლობას დააფინანსებდა და დანადგარებს მიაწოდებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის თავის უფლებებს დაკარგავდა. პრაქტიკულად, პირველ პარტნიორს დატოვებული ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ მეორე პარტნიორი არ შეასრულებდა ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებით დაკისრებულ ვალდებულებებს;

15.2. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩინა, რომ მხარეებს შორის არსებობდა გარიგება, რომლის თანახმად, მეორე პარტნიორმა პირველი პარტნიორისგან მიიღო საწარმოს 50% წილი, საწარმოს კაპიტალში გაზის დანადგარების მიწოდება-გამართვის გზით, ქონებრივი შენატანისა და იმავე ლირებულების შესაბამისი თანხის გაზგასამართი სადგურის მშენებლობისათვის გადაცემის პირობით;

15.3. სასამართლომ არ შეაფასა, რომ პარტნიორთა კრებაზე

მეორე პარტნიორის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს კატეგორიული პოზიცია, რომლის თანახმად, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობის ვალდებულება და სადგურის მშენებლობა და მისი დაფინანსება მხოლოდ პირველი პარტნიორის ვალდებულება იყო;

15.4. სასამართლომ არ დაადგინა, სანარმოში არსებული რომელი კონკრეტული დასახელებისა და პერიოდის პუბლიკაციის, დოკუმენტისა და ინფორმაციის მიღებაში შეექმნათ პარტნიორებს პრობლემა, რომელი პარტნიორის განცხადება (მოთხოვნა) არ დაკმაყოფილდა საზოგადოების კონკრეტული პუბლიკაციის, დოკუმენტისა და ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. რეალურად, პარტნიორს დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნაზე უარი არ ეთქვა, გარდა ცალკეული შემთხვევისა (მაგ., სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში), როდესაც ისინი მოითხოვდნენ ისეთი დოკუმენტისა და ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც სანარმოში არ ინახებოდა;

15.5. სასამართლომ მიუთითა, მაგრამ არ გამოიყენა სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილი, ფაქტობრივი უსწორობების გრაფაში ასახული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნული ნორმა უნდა გამოიყენებინა, თუნდაც, კანონის ანალოგით;

15.6. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 359-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ კრედიტორს ამ შემთხვევის დადგომისას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან. მხარეებს შორის დადებული წილის ნასყიდობის გარიგება, გულისხმობდა სამეწარმეო საზოგადოებაში, წილის სანაცვლოდ, კონკრეტული მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობას და დაანადგარების მიწოდებას. მშენებლობის დასრულებისა და დაანადგარების სხვა გზით მიღების შემდეგ, ცხადია, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას აზრი არ ჰქონდა და თავიდანვე გათვალისწინებული იყო, რომ იგი თავის უფლებებს დაკარგვადა. შესაბამისად, სასამართლოს მოცემული ნორმა უნდა გამოიყენებინა;

15.7. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 508-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ გამყიდველი იტოვებს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევისათვის, როცა მყიდველი არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, უარის თქმისას, ყოველი მხარე ვალდებულია, დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს. ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია. მოცემული ნორმა შეეხება ნასყიდობას გადახდის განვა-

დებით, როგორც მხარეებს შორის არსებული დაფარული გარიგება (წილის სანაცვლოდ ინვესტირება) იყო;

15.8. სასამართლომ მიუთითა, მაგრამ არ გამოიყენა სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მითითებული ნორმით გათვალისწინებული პირობები (იხ. ამ განჩინების 12.8 ქვეპუნქტი), თუმცა, ინტერესის დაკარგვა შეეხებოდა მეორე პარტნიორის ვალდებულებათა იმ ნაწილის გამოყოფას, რომელიც მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობას უკავშირდებოდა;

15.9. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები. პარტნიორთა კრებამდე და კრებაზეც, მოპასუხე კატეგორიულად უარყოფდა, რომ მას საერთოდ გააჩნდა ვალდებულება. შესაბამისად, აშენარა იყო, რომ დამატებითი ვადის დაწესებასა და გაფრთხილებას არავითარი შედეგი არ ექნებოდა. მოცემულ შემთხვევაში, მოვალე ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება ჰქონდა. შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულებულიყო მშენებლობის დასრულებამდე და ურთიერთობის გაგრძელება სწორედ ვალდებულების დროულ შესრულებას უკავშირდებოდა;

15.10. სასამართლომ არ გამოიყენა მენარმეთა კანონის ნორმები, კერძოდ, მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ წილების განაწილებაზე და დათქვან კაპიტალში მათი შენატანის ოდენობა. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არის დადგენილი. განსახილველ შემთხვევაში, გარიგება 50% წილის გადაცემის შესახებ, გაფორმებულია 100% წილის მფლობელი პარტნიორის გადაწყვეტილებით, რომელსაც ეთანხმება 50% წილის მიმღები პარტნიორი და მოცემული გადაწყვეტილება რეესტრში რეგისტრირებულია. იმავდროულად, „უსასყიდლოდ გადაცემის“ პირობით დაფარუ-

ლია 50% წილის მიმღები პარტნიორის ვალდებულებები დანადგარებისა და თანხის შენატანთან დაკავშირებით. ამ პარტნიორის მოცემული ვალდებულება არ შეუსრულებია, შესაბამისად, სასამართლოს ამ თვალსაზრისითაც უნდა ემსჯელა საზოგადოებაში წილების გადანაწილებაზე;

15.11. სასამართლომ მართებულად მიუთითა მეწარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილზე და 46-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, მაგრამ არასწორად გამოიყენა მითითებული ნორმების დანაწესები.

16. მეორე პარტნიორმა შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მიუთითა:

16.1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3.2. პუნქტი), რომ თუ ბიზნესპარტნიორი გახდებოდა მეორე პარტნიორი, მისი მამა უზრუნველყოფდა გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირებას (მშენებლობის დაფინანსებაში მონაწილეობას და საფირო დანადგარების მიზოდებას). მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მეორე პარტნიორს გაზის დანადგარების და მათი მონტაჟის (სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების) გარდა, საწარმოსადმი სხვა ვალდებულება არ უკისრია. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მეორე პარტნიორს 24.04.2015წ. (წილის დათმობის დროისათვის) გაზის დანადგარების ძირითადი ნაწილი უკვე მიწოდებული ჰქონდა საწარმოსთვის, ხოლო გაზგასამართი სადგურის მშენებლობა საწარმოს მიერ ფაქტობრივად დასრულებული იყო, რაც დასტურდება იმით, რომ 06.06.15წ. (10 დღეში) გაზგასამართმა სადგურმა დაინყო ფუნქციონირება;

16.2 საწარმოში ინვესტიციის განხორციელების გამო (რაც გულისხმობს გაზის დანადგარების მიწოდებას და მათ მონტაჟს) პირველმა პარტნიორმა უსასყიდლოდ დაუთმო 50% წილი მეორე პარტნიორს;

16.3. გარიგების თვალმაქცურად მიჩნევის შემთხვევაში, მხარემ უნდა მიუთითოს, რა გარიგება დაიფარა სადაცო გარიგებით, თუ მოჩვენებითია გარიგება, ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგებ უნდა დაასაბუთოს, როგორ მიიღო და შემდგომ როგორ განკარგა კუთვნილი ქონება, ვინაიდან სადაცო აქტის მოჩვენებითობა გამორიცხავს შედეგის დადგომას;

16.4. მხარე სადაცოდ არ ხდიდა მესამე პარტნიორისთვის 25% წილის გადაცემის ფაქტს, რაც, ასევე, გამორიცხავს პარტნიორის გადაწყვეტილების მოჩვენებითობას და თვალმაქცურობას. პირველმა პარტნიორმა სწორედ აღნიშნული საფუძვლით მოითხოვა სადაცო ხელშეკრულების ბათილობა, მაგრამ არ მიუ-

თითა სარჩელში, რა გარიგება დაიფარა და რა პირობებით. სასა-მართლომ, ნაცვლად იმისა, რომ უარი ეთქვა სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე, დაადგინა გარემოებები, რომელთა შესახებ მოთ-ხოვნა არ ჰქონია მხარეს;

16.5. სასამართლომ ისე დაადგინა სამმხრივი გარიგება, ერ-თი მხრივ, მეორე პარტნიორს და, მეორე მხრივ, პირველ პარ-ტნიორსა და სანარმოს შორის, რომ ეს უკანასკნელი დავაში (მო-პასუხედ ან მესამე პირად) მოწვეული არ ყოფილა.

17. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინებით, მოდავე მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და რაიო-ნული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლე-ლად დარჩა.

18. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სა-სამართლომ სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტები და მართე-ბულად მიუთითა, რომ, სინამდვილეში, პირველ და მეორე პარ-ტნიორს შორის დაიდო წილის ნასყიდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

19. სასამართლომ განჩინება შემდეგ ფაქტობრივ-სამარ-თლებრივ საფუძვლებზე დაამყარა:

19.1. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის გან-მარტებისას, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შე-დეგად და არა მარტომდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრი-დან. სადაცო ხელშეკრულების მხარეთა მიერ გამოხატული ნე-ბის გონივრული განსჯა საქმეზე დადგენილი გარემოებების შე-ფასებით უნდა მოხდეს. მხარეები ადასტურებენ, რომ კუთვნი-ლი წილი პირველ პარტნიორს მეორე პარტნიორისათვის უსას-ყიდლოდ არ გადაუცია. სინამდვილეში, მიღებული ქონების სა-ნაცვლოდ, მეორე პარტნიორმა ხელშეკრულებით გათვალისწი-ნებული საზღაურის გადახდის ვალდებულება აიღო, ოღონდ ეს საზღაური მას არა ფულადი სახით, არამედ ნატურით უნდა გა-დაეხადა.

19.2. სსკ-ის 521-ე მუხლის თანახმად, გაცვლის ხელშეკრუ-ლებით, მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის, და იმის მყიდ-ველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. ამავე კოდექსის 523-ე მუხ-ლის მიხედვით, კი გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყე-ნება ნასყიდობის შესაბამისი წესები. შესაბამისად, გასაჩივრე-ბული გადაწყვეტილება საზღაო გარიგების მიმართ წილის ნას-ყიდობის წესების გამოყენების ნაწილში მართებულია. სსკ-ის

102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ის, რომ გარდა სა-ნარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო დანადგარის გადაცე-მისა, მეორე პარტნიორს პირველი პარტნიორის სასარგებლოდ სხვა შესრულების ვალდებულებაც ჰქონდა, რაც ამ უკანას-კნელს უნდა დაემტყიცებინა, საკუთარი მოთხოვნის დამადას-ტურებელი მტკიცებულებები კი მას სასამართლოსათვის არ წა-რუდგენია. პირველ პარტნიორს ისიც კი არ მიუთითებია, თუ კონკრეტულად რა ვალდებულება უნდა შესრულებინა დამა-ტებით მეორე პარტნიორს, მის მიერ მიღებული წილის სანაც-ვლოდ, რა ოდენობის თანხა უნდა გადაეხადა მას, როგორ და ვის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო ანაზღაურება და ა.შ. საქ-მის მასალებით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ მიღებული წილის სანაცვლოდ, მეორე პარტნიორს სანარმოსთვის შესაბამისი და-ნადგარები უნდა გადაეცა. ამ ვალდებულების შესრულებას კი პირველი პარტნიორი სადავოდ არ ხდის. შესაბამისად, სასამარ-თლომ დაასკვნა, რომ მეორე პარტნიორის მხრიდან ვალდებუ-ლების შეუსრულებლობის ფაქტი პირველმა პარტნიორმა ვერ დაამტკიცა.

19.3. სსკ-ის 352.1-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ აღ-ნიშნა, რომ ვინაიდან პირველმა პარტნიორმა მეორე პარტნიო-რის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი ვერ დაამ-ტკიცა, მისი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე უსაფუძვლო იყო. ამიტომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სა-მენარმეო რეესტრში არსებული წილების უცვლელად დატოვე-ბის ნაწილში, არსებითად, მართებული იყო.

19.4. მენარმეთა კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტზე მი-თითებით, სასამართლომ განმარტა, რომ სანარმოს არ წარუდ-გენია მისი პარტნიორების მიერ მოთხოვებილი საბუთების გადა-ცემის დამადასტურებელი მტკიცებულებები, შესაბამისად, პუბლიკაციების გადაცემის დავალდებულების ნაწილში, გასა-ჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო.

20. ქუთაისს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 16 ოე-ბერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა პარტნიორმა და სანარმომ. მათ მოითხოვეს განჩინების ნაწი-ლობრივ გაუქმება, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც უცვლე-ლად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და არ დაკმაყოფილდა პირველი პარტნიორის სარჩელი სანარმოში მე-ორე პარტნიორის 25%-იანი წილის პირველი პარტნიორისათვის გადაცემის თაობაზე და დაკმაყოფილდა მეორე და მესამე პარ-ტნიორების სარჩელი სანარმოს დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ. კასატიონებმა, გასაჩივრებული განჩინების შეცვლით,

ახალი გადაწყვეტილების მიღება და პირველი პარტნიორის სარჩელის სრულად დაკმაყოფილების გზით, სამენარმეო რეესტრში საწარმოს პარტნიორთა წილების შემდეგი სახით აღრიცხვა: პირველი პარტნიორი – 75%, მესამე პარტნიორი – 25% მოითხოვეს; კასატორებმა, ასევე, მოითხოვეს საწარმოს დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ მეორე და მესამე პარტნიორის დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა.

21. საკასაციო საჩივარი შემდეგ არგუმენტებს მოიცავს:

21.1. გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად საკმარისად არ არს დასაბუთებული. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მეორე პარტნიორის ვალდებულებათა მოცულობასთან დაკავშირებით. მეორე პარტნიორის ვალდებულებებს წარმოადგენდა მესამე პარტნიორისათვის 25 % წილის გადაცემა და მისი მეშვეობით საწარმოსათვის გაზის დანადგარების მიწოდება-გამართვის უზრუნველყოფა და, მის მფლობელობაში დარჩენილი 25% წილის საწაცვლოდ, საწარმოსათვის აღნიშნული დანადგარების ღირებულების შესაბამისი თანხის – 150 000 ლარის გადაცემა. დაუსაბუთებელია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მეორე პარტნიორს მხოლოდ დანადგარების მიწოდების ვალდებულება გააჩნდა;

21.2. სასამართლოს სადაცო გარიგება კლასიკურ გაცვლის ან ნასყიდობის ხელშეკრულებად კი არ უნდა დაეკვალიფიცირებინა, არამედ როგორც სამენარმეო შეთანხმება (საინვესტიციო ხელშეკრულება), რომელიც გაცვლის/ნასყიდობის ელემენტებსაც შეიცვდა. მართალა, მეორე პარტნიორი შეთანხმების დადების მომენტში არ იყო საწარმოს პარტნიორი, მაგრამ მას თავისი ვალდებულება პარტნიორის სახით უნდა შეესრულებინა და მისი პარტნიორად დარჩენა სწორედ ამ ვალდებულებების შესრულებაზე იყო დამოკიდებული;

21.3. მხარეთა შეთანხმება მესამე პირის – საწარმოს სასარგებლოდ დადებული გარიგებაა, შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მომზდარიყო როგორც ფაქტობრივ გარემოებათა შემოწმება, ისე მათი სამართლებრივი შეფასება;

21.4. სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა ის გარემოება, თუ რა მოცულობის ვალდებულებას წარმოუშობდა წილის მყიდველს საინვესტიციო ხელშეკრულება. თუ წილი გაიყიდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებით, მაშინ მყიდველს საზღაურის გადახდის ვალდებულება წარმოეშობოდა გამყიდველის წინაშე და ეს საწარმოს კაპიტალზე გავლენას არ მოახდენდა, მაგრამ თუ წილი გაიყიდებოდა საინვესტიციო ხელშეკრულებით, მაშინ მყიდველს წარმოეშობოდა საწარმოს კაპიტალში შე-

ნატანის განხორციელების ვალდებულება, რომლის შესრულებით საწარმოს კაპიტალიც იზრდებოდა და მისი წილის ღირებულებაც. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან პირველი პარტნიორის 100% წილის ღირებულება დაახლოებით 300 ათასი ლარი იყო, მისი წილის შუაზე გაყოფამ განაპირობა ის, რომ იმდენივე შენატანი უნდა განხორციელებინა მეორე პარტნიორსაც – 150 000 ლარი ნატურით (მესამე პარტნიორის მეშვეობით) და 150 000 ლარი – ფულით;

21.5. სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მხარეებს შორის დადებული გარიგების თანახმად, მეორე პარტნიორშა პირველი-საგან მიიღო საწარმოს 50% წილი, საწარმოს კაპიტალში მესამე პარტნიორისათვის 25%-ის გადაცემის სანაცვლოდ, მისივე მეშვეობით დანადგარების მიწოდება-გამართვის გზით ქონებრივი შენატანის განხორციელებისა და მის მფლობელობაში დარჩენილი 25%-ის სანაცვლოდ იმავე ღირებულების შესაბამისი თანხის გადაცემის პირობით;

21.6. გასაჩივრებულ განჩინებაში სასამართლო გასცდა მხარეთა მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრების მოთხოვნებს. მხარეთა არცერთი სააპელაციო მოთხოვნის საგანი არ ყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოების შეცვლა მეორე პარტნიორის ვალდებულების თაობაზე; სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მათ შორის, მესამე პარტნიორთან დადებულ ხელშეკრულებასა და მის მიერ დანადგარების მიწოდებასთან დაკავშირებით;

21.7. სასამართლომ არ დაადგინა (მათ შორის ექსპერტიზის მეშვეობით) საქმისათვის ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორიცაა წილის ერთმანეთისათვის გადაცემის მომენტში მისი ღირებულება და პარტნიორთა წილების ღირებულებათა შესაბამისობა მათ მიერ განხორციელებულ შენატანებთან (ინვესტიციებთან);

21.8. საწარმოდან დოკუმენტაციის გამოთხოვა ფაქტობრივად და იურიდიულად არასაკმარისადაა დასაბუთებული. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი არ არის პარტნიორებმა კონკრეტულად რა სახის დოკუმენტაცია ვერ მიიღეს და რის საფუძველზე იქნა შედგენილი მათ მიერ წარდგენილი აუდიტორული ანგარიშები. სასამართლომ იურიდიულად არ დაასაბუთა, რატომ არ იყო აუცილებელი დოკუმენტაციის პერიოდისა და კონკრეტულ დოკუმენტთა დასახელებების მითითება.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 22 აპრილის განჩინებით, პირველი

პარტნიორისა და საწარმოს საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სსსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო ამავე წლის 17 ივნისის განჩინებით, დასაშვებად ცნო, დასახელებული ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის, საქმის მასალების შესწავლის, მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგი არგუმენტაციით:

23. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტები მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია გასაჩივრებული განჩინების მსჯელობისა და დასკვნების დასაძლევად.

24. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ კასატორის ძირითადი პრეტენზია ეხება მეორე პარტნიორის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებას, რამაც პირველ პარტნიორს წარმოუშვა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. პირველი პარტნიორის მტკიცებით, მეორე პარტნიორისათვის საწარმოს 50% წილის გადაცემა განპირობებული იყო იმით, რომ ამ უკანასკნელმა იკისრა ვალდებულება, 25% წილის სანაცვლოდ, საწარმოსათვის გადაეცა გაზის დანადგარები, ხოლო დარჩენილი 25% წილის სანაცვლოდ – ფული (იხ. 21.4-ე ქვეპუნქტი), რაც მეორე პარტნიორმა არ შეასრულა.

25. საკასაციო სასამართლო, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში ასახულ მსჯელობასა და დას-

კვნებს, რომ პირველ და მეორე პარტნიორებს შორის რეალურად დაიფონ წილის ნახევიდობის ხელშეკრულება, რომელიც არ არის უსასყიდლო, რადგან საწარმოს 50%-ის მფლობელ მეორე პარტნიორად რეგისტრაციას დაუკავშირდა, ამ უკანასკნელის მიერ შესასრულებელი ვალდებულება, რაც გამოიხატა გაზგა-სამართი სადგურისათვის საჭირო დანადგარების მიწოდებაში, რაც ამ კონტექსტში სადაც არ არის მხარეთა შორის (იხ. წინამდებარე განჩინების მე-18-მე-19 პუნქტები). რაც შეეხება, საკითხს, თუ რა ფორმით, ვისი მეშვეობით შესასრულა მეორე პარტნიორმა საწარმოს წინაშე ნაკისრი ვალდებულება, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს მოცემულ შემთხვევაში და არ წარმოშობს ხელშეკრულების ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს, ამასთან, საწარმოში მეორე პარტნიორის კუთვნილი 50%-იანი წილიდან 25%-ის შესატყვიის შესრულება არ არის სადაც პირველი პარტნიორისა და საწარმოს მხრიდან, არც მესამე პარტნიორს დაუყენებია მოთხოვნა მის მიერ მეორე პარტნიორის ნაცვლად შესრულებული ვალდებულების ნაწილის სანაცვლოდ არათანაზომიერი წილის მიღების გამო, ხოლო მხარეთა ნება კუთვნილი წილების გადანაწილებაზე, კანონით დადგენილი წესით, როგორც რეგისტრაციასავალდებულო ფაქტი, ასახულია სამეწარმეო რეესტრში 2014 წლის 5 ივნისს.

26. საკასაციო სასამართლო იზიარებს, ასევე, ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას, რომ პირველმა პარტნიორმა მეორე პარტნიორის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი ვერ და-ამტკიცა, მისი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე უსაფუძვლო იყო, რადგან სასამართლომ ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად გამოიკვლია მტკიცებულებები და ის გარემოებები, რაზედაც აპელირებდნენ მოწინააღმდეგე მხარეები, შესაბამისად, მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილებით, მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების დაცვით, ემტკიცებინათ სწორედ ის გარემოებები, რაც მათი კუთვნილი მტკიცების ნაწილს ნარმოადგენდა. პირველმა პარტნიორმა ქვემდგომ სასამართლოებში ვერ წარადგინა სარჩმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ მეორე პარტნიორის ვალდებულება, 50%-იანი წილის მესაკუთრედ რეგისტრაციის სანაცვლოდ, მატერიალურ-ტექნიკური დანადგარების გარდა, იყო ფინანსური სახსრების შეტანა საწარმოში. ამდენად, საცსებით დასაბუთებულია და კანონიერი გასაჩინებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები (იხ. ამ განჩინების 19.3 ქვეპუნქტი). იმ შემთხვევაში, თუკი კასატორი დაამტკიცებდა მეორე პარტნიორის მიერ

შეუსრულებელ ვალდებულებას, მას, პირველადი მოთხოვნის სახით, წარმოქმობოდა მოწინააღმდეგისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა. ამდენად, საკასაციო განაცხადი ამ ნანილშიც უსაფუძვლოა, ისევე, როგორც ამ განჩინების 21.7-ე ქვეპუნქტში მითითებული პრეტენზია, რადგან თუკი მხარე ვერ ამტკიცებს, რომ მეორე პარტნიორს საწარმოში ფულადი შენატანის განხორციელების ვალდებულებაც ჰქონდა, ნატურით განხორციელებული (მესამე პარტნიორის მეშვეობით) შენატანის გარდა, ე.წ. დარჩენილი 25%-იანი წილის სანაცვლოდ, შესაბამისად, საკვლევი და დასადგენი არ არის წილის ამ ნაწილის ღირებულება.

27. საკასაციო სასამართლო, 26-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობის საფუძველზე, ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას (იხ. ამ განჩინების 19.3 ქვეპუნქტი), რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამენარმეო რეესტრში არსებული წილების უცვლელად დატოვების ნაწილში, არსებითად, მართებული იყო, თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას (ამ განჩინების მე-11 პუნქტი), რომლითაც ნაწილობრივ დაემაყოფილდა პირველი პარტნიორის სარჩელი (ამ უკანასკნელსა და მეორე პარტნიორს შორის საწარმოს წილის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება, როგორც თვალთმაქცური, ბათილად იქნა ცნობილი და მასზე გავრცელდა დაფარული გარიგების – წილის ნასყიდობის ხელშეკრულების წესები), რეალურად, არ მოჰყოლია მოსარჩელის მთავარი იურიდიული ინტერესის – პარტნიორთა წილების ცვლილების ნაწილში სასაჩელო მოთხოვნის დაემაყოფილება, რადგან სამენარმეო რეესტრში უცვლელად დარჩა საწარმოს წილთა რეგისტრაცია. პრაქტიკულად, სარჩელი არ დაემაყოფილდა, რადგან ხელშეკრულების ბათილად ცნობით სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა პირველი პარტნიორისათვის.

28. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ სარჩელის მოთხოვნათა მიხედვით შესაძლებელია მათი შემდეგი კლასიფიკაცია:

„1. მიკუთვნებითი, ანუ აღსრულებითი სარჩელი – მოთხოვნა გულისხმობს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების დაკისრებას მოსარჩელის სასარგებლოდ. 2. აღიარებითი სარჩელი – რომელიც აღძრულია უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტის სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი. 3. გარდაქმნითი სარჩელი – მოთხოვნა მიმართულია სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა პირველი პარტნიორისათვის.“

რივი ურთიერთობის შეცვლა-შეწყვეტისაკენ. იურიდიული ინტერესი არის ის ფაქტობრივი და სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევასაც ცდილობს მხარე აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით. აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობა არათუ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველსაც კი წარმოადგენს. დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, შესაბამისად, ვიდრე საქმის განმხილველი სასამართლო სარჩელის საფუძვლინობას შემოწმებს, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, აქვს თუ არა მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ და უზრუნველყოფს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას. აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღდერით. აღიარებითი სარჩელი უნდა ემსახურებოდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას. სსსკ-ის 180-ე მუხლის განმარტების შედეგად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში” (იხ. სუსგ №ას-125-121-2016, 21.04.2016.; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 17.03.2016). გადაწყვეტილების 55-ე-56-ე პუნქტები).

29. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ სსსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილის, „თუ მოსარჩენებლად დადგებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი ქცევის წესები (თვალთმაქცური გარიგება)“, დეფინიციით, თვალთმაქცური გარიგება, როგორც მოჩვენებითი გარიგების ნაირსახეობა, გარიგების მონაწილეთა ნების – „მხარეებს სურთ“ შედეგია. „თვალთმაქცური გარიგების დროს ნების გამოვლენის სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრა-

ხული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა, თუმცა მათი შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. დადებული გარიგებით ისინი ფარავენ სხვა გარიგებას, რომლის დადების ნებაც რეალურად გააჩნიათ. ამ შემთხვევაში დაება ამ ნორმის საფუძველზე ნების გამოვლენის ბათოლობის საკითხი. თვალთმაქცური გარიგების დროს განხილვის საგანია გარიგების მხარეთა მიერ შინაგანი და გარეთ გამოვლენილი ნების ურთიერთმიმართება, ვინაიდან მათ შორის არსებობს „შეუსაბამობა“ (იხ. სუსგ №ას-487-461-2015, 17.06.2015წ.). განსახილველ შემთხვევაში, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, პირველ და მეორე პარტნიორებს შორის დადებული გარიგების ნასყიდობის ხელშეკრულებად მიჩნევის ნაწილში, მართებულია, როგორც ეს მიუთითა სააპელაციო სასამართლომ, თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არაა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ გარიგების მხარეთა (ნების გამომვლენი და ნების მიმღები) ნება იყო, ერთობლივი ქმედებით დაეფარათ სხვა გარიგება (მოცემულ შემთხვევაში) ნასყიდობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა დასტურდებოდეს, რომ სანარმოს ნილის გამსხვისებლისა და მისი შემძენის ნება მიმართული იყო, სანარმოს ნილის შეძენის სანაცვლოდ, როგორც ნატურით, ისე, ფულადი საზღაურის გადახდისაკენ. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით კი, მხარეები ადასტურებენ, რომ კუთვნილი ნილი პირველ პარტნიორს მეორე პარტნიორისათვის უსასყიდლოდ არ გადაუცია. მიღებული ქონების სანაცვლოდ, მეორე პარტნიორმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდის ვალდებულება აიღო, ოღონდ ეს საზღაური მას არა ფულადი სახით, არამედ ნატურით უნდა გადაეხადა (იხ. ამ განჩინების მე-19.1-მე-19.2 ქვეპუნქტები). ამასთან, პირველი პარტნიორი სადაცოდ არ ხდიდა მესამე პარტნიორისთვის 25% ნილის გადაცემის ფაქტს, რაც, ასევე, გამორიცხავს პარტნიორის გადაწყვეტილების თვალთმაქცურობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას განსახილველი დავის მოსაწესრიგებლად სსკ-ის 52-ე, 521-ე, 523-ე, 477-ე მუხლების მისადაგების თაობაზე. თვალთმაქცური გარიგების დროს მოსარჩელის კუთვნილი მტკიცების საგანია ის ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელმაც განაპირობა ასეთი გარიგების დადება და მითითება იმ რეალურ გარიგებაზე, რომელიც დაფარულია თვალთმაქცურით. პირველმა პარტნიორმა ვერ უზრუნველყო სამართლებრივად ვარგისი მტკიცების შეთავაზება სასამართლოსათვის, რაც შესაბამისი დასკვნის საფუძველი გახ-

დებოდა, რადგან მეორე პარტნიორის მიერ ფულადი შენატანის გადახდის ვალდებულების არსებობა არ დადასტურებულა.

30. კასატორთა პრეტენზია, საწარმოდან დოკუმენტაციის გამოთხოვის ნაწილში მეორე და მესამე პარტნიორების სარჩელის დაკმაყოფილების გამო, ასევე, დაუსაბუთებელია, რადგან ამ უკანასკნელთა მოთხოვნა მენარმეთა კანონიდან გამომდინარეობს, რაც ასახულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნაში (იხ. 19.4 ქვეპუნქტი).

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონიერია და დასაბუთებული, არ არსებობს სამართლებრივი წინაპირობა, საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დასაბრუნებლად, რადგან ფაქტობრივი გარემოებები სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არის გამოკვლეული და იურიდიულად დასაბუთებული დასკვნებია გამოტანილი, ხოლო კასატორის პრეტენზია მოკლებულია ფაქტობრივ-იურიდიულ საფუძველს, რის გამოც პირველი პარტნიორისა და საწარმოს საკასაციო განაცხადი არ უნდა დაემაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

32. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვთ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ბ-ასა და შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 თებერვლის განჩინება;
3. კასატორების მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

### განვითარება

№ას-147-143-2016

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ძირითად სარჩელში – საიჯარო ხელშეკრუ-  
ლებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეგებებულ სარ-  
ჩელში – გარიგების ბათოლად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთ-  
ხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი  
საფუძვლები:

1.1. მ. ლ-ემ (შემდგომში – თავდაპირველი მოსარჩელე, მო-  
ნინააღმდეგები მხარე ან მეიჯარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში  
შპს „D-ის“ (შემდგომში – მოპასუხე თავდაპირველ სარჩელში,  
შეგებებული სარჩელის ავტორი, კასატორი არ მოიჯარე) მიმართ  
და მოითხოვა ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი ორი  
თვის საშემოსავლო გადასახადის 600-600 აშშ დოლარის, 12  
თვის გადაუხდელი საშემოსავლო გადასახადის – თვეში 300 აშშ  
დოლარის, 2014 წლის იანვრისა და თებერვლის საშემოსავლო  
გადასახადის – 600-600 აშშ დოლარის, 2014 წლის მარტის საშე-  
მოსავლო გადასახადის ნახევრის, 2014 წლის აპრილის საშემო-  
სავლო გადასახადის – 600 აშშ დოლარისა და 2014 წლის აპრი-  
ლის საიჯარო ქირის მოპასუხისათვის დაკისრება (იხ. განცხა-  
დება სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის შესახებ).

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 2012 წლის  
23 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულე-  
ბა. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 3 000 აშშ დოლარით.  
ხელშეკრულების დადების შემდგომ, 2012 წლის 29 ნოემბერს  
ასევე გაფორმდა იჯარის ხელშეკრულების დამატებითი შეთან-  
ხმება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ საშემოსავლო  
გადასახადი მოპასუხეს უნდა გადაეხადა. ამავე დროს, მხარე-  
თა შეთანხმებას წარმოადგენდა ვალუტის კურსის ცვლილების  
შესაბამისად სხვაობის გადახდა. არსებული მდგომარეობით,

მოპასუხეს გადახდილი არ აქვს ორი თვის საიჯარო ქირა 6560 აშშ დოლარი, ვალუტის გაცვლითი კურსის სხვაობა – 560 აშშ დოლარი და საშემოსავლო გადასახადი (იხ. სარჩელი).

1.2. მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლი- თაც მოითხოვა მხარეთა შორის გაფორმებული დამატებითი შე- თანხმების ბათილად ცნობა.

1.2.1. შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით, გარი- გება ფორმის დაუცველადაა დადებული, რამდენადაც იგი არ შეესაბამება ძირითადი ხელშეკრულებისთვის მხარეთა მიერ განსაზღვრულ ფორმას, გარდა აღნიშნულისა, შეთანხმების ში- ნაარსით დაუდგენელია მხარეთა ნება და იგი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ასევე, არ ირკვევა შეთანხმების გაფორმების რეალური თარიღი (იხ. შეგებებული სარჩელი).

## 2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მოთხოვნის გამომრიცხავი/შემწყვეტი შესაგებლით თავ- დაპირველმა მოპასუხემ არ ცნო ძირითადი სარჩელი და გან- მარტა, რომ ხელშეკრულების ფასი მხარეების მიერ იყო შეთან- ხმებული, დამატებითი შეთანხმება საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე არ ყოფილა მიღებული, მხარეთა დამა- ტებითი შეთანხმება არ არის ნამდვილი, ამასთანავე მოიჯარეს გადახდილი აქვს იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ხელშეკრულების შესაბამისად ეკისრებოდა (იხ შესაგებელი).

2.2. თავდაპირველმა მოსარჩელემ ასევე არ ცნო შეგებებუ- ლი სარჩელის მოთხოვნა იმ დასაბუთებით, რომ მხარეთა ნება ნამდვილია, არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ აკრძალ- ვებს და ფორმის საკითხიც დაცულია. მეიჯარემ მიუთითა შეგე- ბებული სარჩელის ავტორის 19.04.2014წ. წერილზეც სადაც მო- იჯარე მიუთითებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ქირაზე მე- ტის გადახდას და დაეთანხმა მას, თუმცა განმარტა, რომ მოი- ჯარეს ხელშეკრულებით ქირის წინსწრებით გადახდის ვალდე- ბულება არ ეკისრებოდა და ზედმეტად გადახდილი თანხა სწო- რედ დამატებითი შეთანხმების საფუძველზე ანაზღაურებულ საშემოსავლო გადასახადს ნარმოადგენდა (იხ. შესაგებელი).

## 3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე- ბის სარეზოლუციის ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ძირი- თადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მო- სარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 900 აშშ დოლარის გადახ- და, ხოლო, კურსის ცვალებადობის გამო, 560 აშშ დოლარის და-

კისრების ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი და განაწილდა საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, მიღებული გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

#### **4. აპელაცის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შეგებებული სარჩელის ავტორმა, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების, მოპასუხისმთვის მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის მე-2, მე-5, მე-7, მე-8 პუქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 600 აშშ დოლარის ანაზღაურება, შესაბამისად, განისაზღვრა მხარეთა შორის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების საკითხი, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება (მათ შორის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში) და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა (იხ. საკასაციო საჩივრარი).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და ამ ნაწილში საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაპრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციონ სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეთა დამატებითი შეთანხმების ნამდვილობა და ამ შეთანხმების საფუძველზე მოიჯარისათვის საშემოსავლო გადასახადის დაკისრება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საპელაციო პალატამ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ 2012 წლის 29 ნოემბრის შეთანხმების ფარგლებში გამოვლენილი მხარეთა ნება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნისა და განხორციელებული შესრულების (გადახდილი საიჯარო ქირის ოდენობის) ფარგლების გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა საშემოსავლო გადასახადის, ასევე ბოლო თვის ქირის მოიჯარისათვის დაკისრების თაობაზე სარჩელის ნაწილობრივ დაკავილფილების საფუძველი.

1.2. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის ზემოხელებულ შეფასებებსა და დასკვნებს და პრეტენზიას გამოთქვაძეს, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება-განმარტების, ისე ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმათა მოთხოვნის დარღვევის თაობაზე (სსსკ-ის 393-ე მუხლი). საკასაციო შედავებათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1.2.1. მხარეთა შორის 2012 წლის 23 ოქტომბერს დაიდო იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისში, გ-ს ქუჩა №...ში მდებარე უძრავი ქონება 3 წლის ვადით იჯარით გადაეცა მოიჯარეს (კასატორი). საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა 3 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 4 950 ლარით.

1.2.2. ხელშეკრულების 2.3. ბუნეტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საიჯარო ქირა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, რაც, შესაძლოა, გამოწვეული იყოს ვალუტის ინფლაციით ან სხვა ისეთი გარემოებით, რაც საიჯარო ქონების მიზნობრივ გამოყენებაზე ცვლილების საფუძველს იძლება. ვალუტის ინფლაციის 10%-იანი გაზრდის შემთხვევაში უნდა მოხდეს მოიჯარის ინტერესების დაცვა, ხოლო 10%-იანი დავარდნის შემთხვევაში – მეიჯარის.

1.2.3. საქმეში წარმოდგენილი დამატებითი შეთანხმების თანახმად, მ. ლ-ესა და შპს „D-ს“ შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში გამორჩენილია პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს საშემოსავლო გადასახადის შპს „D-ის“ მიერ გადახდის ვალდებულებას. აღნიშნულ შეთანხმებაზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობა მხარეთა შორის სადაც არ არის. რაც შეეხება შეთანხმებაზე დასმულ თარიღს – 29.11.2011წ., ვინაიდან 23.10.2012 წლამდე მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობა არ არსებობდა, იგი წარმოადგენდა მექანიკურ უსწორობას, ამასთან, ყოველთვიური საიჯარო ქირისა და საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის გათვალისწინებით, მითითებული თანხა შეადგენდა 600 აშშ დოლარს.

1.2.4. 23.10.2012 წლის ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება მოიჯარეს წარმოეშობოდა 2012 წლის დეკემბრიდან და მოიჯარის მიერ წინასწარ იქნა გადახდილი ორი თვის, 2012 წლის დეკემბრისა და 2013 წლის იანვრის საიჯარო ქირა 6 000 აშშ დოლარი. ამასთან, მოიჯარის მიერ 2013 წლის თებერვლიდან ყოველთვიურად გადახდილი თანხა აღემატება შეთანხმებულ საიჯარო ქირის ოდენობას, კერძოდ:

- 2013 წლის თებერვლის საიჯარო ქირა – 5245 ლარი;
- 2013 წლის მარტის საიჯარო ქირა – 5180 ლარი;
- 2013 წლის აპრილის საიჯარო ქირა – 5335 ლარი;
- 2013 წლის მაისის საიჯარო ქირა – 5400 (4000 + 1400) ლარი;
- 2013 წლის ივნისის საიჯარო ქირა – 5400 (4900 + 500) ლარი;
- 2013 წლის ივლისის საიჯარო ქირა – 5384 (4384 + 1000) ლარი;
- 2013 წლის აგვისტოს საიჯარო ქირა – 3245 ლარი;
- 2013 წლის სექტემბრის საიჯარო ქირა – 5400 ლარი;
- 2013 წლის ოქტომბრის საიჯარო ქირა – 5400 ლარი;
- 2013 წლის ნოემბრის საიჯარო ქირა – 5400 (4400 + 1000) ლარი;
- 2013 წლის დეკემბრის საიჯარო ქირა – 5400 (3600 + 1800) ლარი.

1.2.5. 2014 წლის იანვრისა და თებერვლის საიჯარო ქირა გადახდილია თავდაპირველი ხელშეკრულებით შეთანხმებული ოდენობით – 4950-4950 ლარი. მოიჯარის მიერ ასევე გადახდილია 2014 წლის მარტის საიჯარო ქირა (2860+1955 ლარი). კასატორის წარმომადგენლის 19.04.2014წ. წერილის თანახმად, მოიჯარე აღარ აპირებს წინმსწრებად გააგრძელოს საიჯარო ქირის გადახდა და მოითხოვს წინმსწრებად გადახდილი თანხები ჩაითვალოს 2014 წლის აპრილის საიჯარო ქირის ანგარიშში.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2

ნაწილის მიხედვით, სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს გარიგების ბათილობის მხარის მიერ მითითებულ გარემოებებზე:

1.4.1. მოიჯარე დამატებითი შეთანხმების ნამდვილობას ეჭვეში იმ საფუძვლით აყენებდა, რომ იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, იგი საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული, შესაბამისად, დარღვეული იყო ხელშეკრულების ფორმა და შეთანხმებას სამართლებრივი ძალა არ გააჩნდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გარიგების ფორმის მომნესრიგებელი ზოგადი დებულებები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 68-ე-71-ე მუხლები და 68-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი. პალატა აღნიშნავს, რომ გარიგების ძირითადი ფორმებია ზეპირი და წერილობითი, ხოლო წერილობითი გარიგება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი ან რთული (სანოტარო) სახის. ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ იჯარის ხელშეკრულება მხარეებმა მარტივი წერილობითი ფორმის დაცვით გააფორმეს, სწორედ წერილობითაა გაფორმებული მხარეთა სადაც შეთანხმებაც, რაც, ფორმის მხრივ, საკეთი აკმაყოფილებს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის მოთხოვნას. თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მართებულად განიმარტა საჯარო რეესტრის ფუნქციური დანიშნულება (სკ-ის 311-ე მუხლი), რომელსაც არა გარიგების რეგისტრაციის, არამედ გარიგების საფუძველზე მოპოვებული რეგისტრაციაუნარიანი უფლების აღრიცხვის დანიშნულება გააჩნია, რაც ხელს უწყობს უფლების მქონე, ასევე, მესამე პირთა ინტერესების დაცვას სამოქალაქო ბრუნვაში და სწორედ ამ მიზნით ადგენს კანონმდებელი რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობისა და სრულყოფილების ფიქციას (სკ-ის 312-ე მუხ-

ლი). საკასაციო პალატა აქვე მოიხმობს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის, როგორც გარიგების ნამდვილობის თაობაზე დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას: ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ნამდვილობასა და ამ გარიგებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებს შეეხებოდა, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის არც ერთი ნორმა არ განიხილავს უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, როგორც გარიგების ფორმას (იხ. სუსგ №ას-1529-1443-2012, 9 დეკემბერი, 2013 წელი). აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ფორმის თვალსაზრისით სადაც შეთანხმება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს და არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილობის საფუძველი;

1.4.2. პალატა ასევე არ ეთანხმება კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, სადაც შეთანხმებით არ ირკვევა არც მისი გაფორმების დრო და არც შინაარსი, რამდენადაც შეთანხმების გაფორმების თარიღი სააპელაციო პალატამ მართებულად დაუკავშირა იმ დამაჯერებელ არგუმენტს, რომ იჯარის ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის სხვა სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა და შეთანხმებაზე დასმული თარიღი (2011 წელი) წარმოადგენდა მხოლოდ ტექნიკურ შეცდომას. სამოქალაქო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას. რაც შეეხება შინაარსს, ამ შემთხვევაში საკასაციო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, ნების ავტონომიის ფარგლებში, მხარეებს შეეძლოთ შეთანხმებულიყვნენ მოიჯარის მიერ საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე, ამასთან, ამგვარი შეთანხმება არ წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელ სუბიექტზე შეთანხმებას, რაც სამოქალაქო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლების საფუძვლით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს. ამ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლით და სწორად დაადგინა ორმხრივ შეთანხმებაში ასახული მხარეთა ნება იმის თაობაზე, რომ მოიჯარე აცხადებდა მზაობას მეიჯარისათვის საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, 2012 წლის 29 ნოემბრის შეთანხმების ნამდვილად მიჩნევის ნაწილში გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, ამ ნაწილში იგი უცვლელად უნდა იქნას დატოვებული.

1.5. რაც შეეხება მეიჯარის სარჩელის ფარგლებში მოიჯარისათვის დაკისრებული თანხის კანონიერებას, საკასაციო პალატა ამ ნაწილში სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიებს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ემყარება საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას (სსკ-ის 105.2-ე მუხლი), შეკრებილ მტკიცებულებებს არ მიეცა სათანადო შეფასება, რის გამოც საშემოსავლო გადასახადისა და ერთი თვის საიჯარო ქირის დაკისრების ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელად როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

1.6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე მოიჯარისათვის ქირის დაკისრების თაობაზე სარჩელისას დამფუძნებელ ნორმად გვევლინება სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლიერის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა სამუალებრზედაც. მითითებული ნორმიდან გამომდინარე მოიჯარის ვალდებულებას მეიჯარისათვის შეთანხმებული ფორმითა და ოდენობით ქირის გადახდა წარმოადგენს.

1.6.1. საპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია და წინამდებარე განჩინებით მის სისწორეს იზიარებს საკასაციო სასამართლოც იმის შესახებ, რომ 2012 წლის 29 ნოემბრის გარიებით მოიჯარემ, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, იკისრა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება, რომელიც არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელ პირზე შეთანხმებას.

1.6.2. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დადგენილია ის გარემოებაც, რომ მოიჯარე ყოველთვიურად იხდიდა ქირას და მას ეს ვალდებულება შესრულებული აქვს მეტობით, თუმცა, ქვემ-

დგომმა სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მტკიცება იმის შესახებ, რომ განხორციელებული შესრულება იყო ქირის წინ-სწრებით დაფარვა და არა ქირისაგან დამოუკიდებლად საშემო-სავლო გადასახადის გადახდა;

1.6.3. იჯარის ხელშეკრულების მე-2 მუხლით მხარეებმა გან-საზღვრეს საიჯარო ქირის ოდენობა, რომელიც თვეში 3 000 აშშ დოლარს შეადგენს. ხელშეკრულებით ვალის ვალუტად განსაზ-ღვრულია აშშ დოლარი, აქვე მხარეებმა დაადგინეს გადახდის ვალუტა და კურსი (სკ-ის 383-ე მუხლი), რომლის თანახმადაც, შეთანხმებული ქირა შეადგენს 4 950 ლარს (იხ. იჯარის ხელშეკ-რულების 2.1. მუხლი), ხელშეკრულების 2.3. მუხლით კი, ვალუ-ტის ინფლაციის შემთხვევაში (10%) ქირის ოდენობის ცვლილე-ბა დამატებითი შეთანხმების საფუძველზე უნდა განხორციე-ლებულიყო;

1.6.4. კურსის ცვალებადობის გამო მოპასუხისათვის დამა-ტებითი თანხის დაკისრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი იმ საფუძვლით გა-ნაცხადა, რომ მხარეთა წერილობითი შეთანხმება ქირის ოდე-ნობის შეცვლის თაობაზე საქმის მასალებით არ დასტურდებო-და, ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწი-ლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაშია შესული.

1.6.5. საშემოსავლო გადასახადის ინსტიტუტის, ასევე 29.11.2012წ. შეთანხმების შინაარსის განსაზღვრის მიზნით საკა-საციო პალატა მოიხმობს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლს, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასა-ბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაო-ბა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შე-მოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინე-ბული გამოქვითვების თანხებს შორის. დასახელებული ნორმი-დას გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფოს მიმართ ან-გარისხსორებისას საშემოსავლო გადასახადი გამოიანგარიშება მიღებული შემოსავლიდან და თავად ეს გადასახადი წარმოად-გენს არა ცალკეულ, დამოუკიდებელ თანხას, არამედ რეზიდენ-ტი ფიზიკური პირის მიერ გამოქვითვების გათვალისწინებით მი-საღები შემოსავლის პროცენტს (ამავე კოდექსის 81-ე მუხლი), ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ იჯარის ხელშეკრულები-დან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადი გამოინგარიშება სა-იჯარო ქირის შეთანხმებული ოდენობიდან. სააპელაციო პალა-ტამ დაადგინა, რომ იჯარის ქირა შეადგენდა 3 000 აშშ დოლარს,

რომელიც სრულად უნდა მიეღო მეიჯარეს, ხოლო საშემოსავლო გადასახადი ამ ქირის ოდენობასთან ერთად შეადგენდა 600 აშშ დოლარს, რომელიც ცალკე ანგარიშსწორებას ექვემდებარებოდა. სასამართლოს ამგვარი განმარტება, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ გამომდინარეობს საშემოსავლო გადასახადის არსიდან, ვინაიდან ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში გამოდის, რომ საიჯარო ქირა 3 600 აშშ დოლარს შეადგენდა, რომლის 20% (საშემოსავლო გადასახადი) არა 600 აშშ დოლარი, არამედ მეტია. ამ გარემოების გაზიარება კი, მით უფრო დაუშვებელია იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, მხარეთა მიერ ქირის ოდენობის გაზრდის ფაქტი არ დგინდება, ხოლო მეორე, მხრივ უდავოა მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებულზე მეტი ოდენობით თანხის (ქირის) გადახდის ფაქტი.

1.6.6. საპირისპირო ვითარებაშიც კი, თუკი დავუშვებთ, რომ საშემოსავლო გადასახადი ცალკე ანგარიშსწორებას შეიძლება დაექვემდებაროს, სააპელაციო პალატამ კასატორს საშემოსავლო გადასახადისა და ერთი თვის ქირის სახით ჯამში 9 600 აშშ დოლარის ანაზღაურება დააკისრა იმგვარად, რომ არ გაუთვალისწინებია მხარეთა შეთანხმება ანგარიშსწორების ვალუტისა და კურსის თაობაზე, რის შესახებაც კასატორმა ასევე დასაბუთებული შედავება წარმოადგინა. საკასაციო პალატა მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლს, რომლითაც დადგენილია ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას, ასევე, ყურადღებას გაამახვილებს ნომინალიზმის პრინციპზე და განმარტავს, რომ ნომინალიზმის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ვალდებული პირი კრედიტორს ფულს იმავე რაოდენობით უბრუნებს, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამება. ფულის მსყიდველუნარიანობა მხედველობაში არ მიიღება. სწორედ ნომინალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, თუკი სასამართლო მივიღოდა იმ დასკვნამდე, რომ მხარეს საიჯარო ქირისაგან დამოუკიდებლად ევალებოდა საშემოსავლო გადასახადის გადახდა, მას გადასახდელი თანხის ოდენობა უნდა დაედგინა მხარეთა მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებული კურსით ვალის ვალუტის ანგარიშსწორების ვალუტასთან მიმართებაში. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენებას, გრძელვადიან ურთიერთობაში იგი (ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად ანაზღაურება) დასაშვებია მხოლოდ გარემოებების არსებითი ცვლილებისას (სკ-ის 398-ე მუხლი), როდესაც დღის წესრიგში დგება ხელშეკრულების მისადაგების აუცილებლობა შეცვლილი გარემოებებისადმი (ამ საკით-

ხთან დაკავშირებით იხ. სასამართლო პრაქტიკა სუსგ №ას-7-6-2010, 6 ივლისი, 2010 წელი).

1.7. 2014 წლის აპრილის ქირის გადახდის საკითხთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ეს უკანასკნელი მოიჯარეს არ გადაუხდია, თუმცა, დადგენილია ის გარემოებაც, რომ შეგებებული სარჩელის აცტორის წარმომადგენელმა 19.04.2014წ. წერილით მეიჯარეს აცნობა იმის თაობაზე, რომ აღარ აპირებდა ქირის წინსწრებით გადახდას და მოითხოვდა უკვე გადახდილ (წინსწრებით) თანხაში მის გაქვითვას. მოიჯარის აღნიშნული მოთხოვნა ქვემდგომშა სასამართლომ იმ დასაბუთებით არ გაიზიარა, რომ წინსწრებით გადახდილი თანხები საშემოსავლო გადასახადის ანაზღაურებას წარმოადგენდა. ამ წანილში საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს გადაწყვეტილების მართებულობა, ვინაიდან არ არის დადგენილი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის წანილში გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 7 აგვისტოს განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 წანილის საფუძველზე შეაჩერა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით გაუქმდა რა თანხის დაკისრების წანილში (აღსრულებად წანილში) სააპელაციო პალატის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხზე განმეორებით მსჯელობის წინაპირობები აღარ არსებობს.

1.8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი წანილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დაგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულება-თა დამატებითი გამოკვლევა. წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად მეიჯარის სარჩელის მოთხოვნის წანილში უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის

მქონე გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს უფლების საკითხი.

## 2. სასამართლო ხარჯები:

ვინაიდან 2012 წლის 29 ნოემბრის შეთანხმების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რომელიც, თავის მხრივ საშემოსაცლო გადასახადის კასატორისათვის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნის ღირებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41.1-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადასახდელი თანხით უნდა იქნას გამოანგარიშებული, ამავე კოდექსის 55-ე მუხლიდან გამომდინარე კი, მოთხოვნის პროპორციულად საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა ჩაითვალოს ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, რაც შეეხება 2014 წლის პრიოლის ქირის (3000 აშშ დოლარის 5%) პროპორციულად საკასაციო საჩივარზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, პალატა მიიჩნევს, რომ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

### დადგინდება:

1. შპს „D-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. მ. ლ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. შპს „D-სა“ და მ. ლ-ეს შორის გაფორმებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. საცილო გარიგებები

### მოფყუებით დადებული გარიგების პათილად ცნობა

#### განვითარება

№ას-1316-1254-2014

19 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულებისა და სანოტარო აქტის ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

მ. ი-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ფ. ი-ისა და ნოტარიუს დ. ბ-ის მიმართ ჩუქების ხელშეკრულებისა და სანოტარო აქტის ბათილად ცნობის, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, გ.-ში, ო-ის №.. შესახვევში მდებარე უძრავ ქონებას ჰყავდა ოთხი მესაკუთრე: მ., ბ., ნ. და ფ. ოები. 2012 წლს 4 ოქტომბერს აღნიშნულმა პირებმა ფ. ი-ს კუთვნილი წილები აჩუქეს და უძრავი ქონება საჯარო რეესტრში სრულად დარეგისტრირდა ფ. ი-ის სახელზე.

მოსარჩელის მითითებით, 2012 წლის 4 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულება მის ნაწილში დაიდო სანოტარო მოქმედებათა შესარულების შესაბამისი ინსტრუქციის დარღვევით, კერძიდ, ჩუქების ხელშეკრულებამდე უძრავი ქონება ირიცხებოდა მხოლოდ 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის სახით, მასზე განთავსებული შენობების გარეშე.

მოსარჩელე, გამოუცდელობისა და ქართული წერა-კითხვის უცოდინრობის გამო, ჩუქების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ვარაუდობდა, რომ ხელს აწერდა მინდობილობას, რომლითაც ფ. ი-ს მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა საჯარო რეესტრში უნდა დაერეგისტრირებინა. ჩუქების ხელშეკრულება შედგენილ იქნა მოსარჩელისათვის გაუგებარ, ქართულ ენაზე. თარგმანისა და თარჯიმის ხელმოწერის გარეშე, როგორც ამას „სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქ-

ციის“ 24-ე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს.

მოპასუხე ფ. ი-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მო-სარჩელემ თავისი წილი უძრავი ქონება დათმო ნებაყოფლობით, ყოველგვარი მოტყუების გარეშე და ამით მან და ძმებმა პატივი სცეს მამის უკანასკნელ სურვილს, ზეპირ ანდერძს. მოსარჩე-ლე მამის გარდაცვალების შემდეგ მარტო ფლობს უძრავ ქონე-ბას და მოპასუხეს ძმებთან ერთად რაიმე მოთხოვნა მოსარჩე-ლის მიმართ უძრავი ქონების შესახებ არ ჰქონიათ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ი-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სა-აპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით სააპელა-ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გა-დაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 1 ნო-ემბერს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თა-ნახმად, ქ. გ-ში, ო-ის №.. შესახევეში მდებარე (საკადასტრო კო-დი №...; ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტე-ბული ფართი: 2000.00 კვ.მ) მესაკუთრებს წარმოადგენდნენ: მ. ი-ა, ნ. ი-ი, ფ. ი-ი, ბ. ი-ი. აღნიშნულ ქონებაზე ფიზიკურ პირთა მესაკუთრის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმო-ადგენს ნოტარიუს დ. ბ-ის მიერ 2011 წლის 25 ოქტომბერს და-მოწმებული №... სამკვიდრო მოწმობა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოე-ბაზე, რომ ერთ-ერთი მესაკუთრის, კერძოდ, მოსარჩელე მ. ი-ას სახელზე სადაც ქონების შესაბამის ნაწილის საჯარო რეეს-ტრში რეგისტრაცია განხორციელდა მისი პირადი განცხადების საფუძველზე, ყოველგვარი წარმომადგენლის დახმარების გა-რეშე, რომელიც თარიღდება 2011 წლის 25 ოქტომბრით და რა-ზედაც პირადად აწერს ხელს რუსულ ენაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2012 წლის 10 დეკემბრის საჯარო რეესტრიდან ამონაწერით ზემოაღნიშ-ნული უძრავი ნივთის მესაკუთრეა ფ. ი-ი. მისი, როგორც მესა-კუთრის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოად-გენს ნოტარიუს დ. ბ-ის მიერ 2012 წლის 4 დეკემბერს დამოწმე-ბული უძრავი ქონების №... ჩუქების ხელშეკრულება.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია, რომ 2012 წლის 4 დეკემბერს ნოტარიუსმა – დ. ბ-მა დაამოწმა №... ჩუქების ხელ-შეკრულება, რომლითაც უძრავი ქონების თანამესაკუთრეებმა

მ. ი-მა, ბ. ი-მა და ნ. ი-მა, ფ. ი-ს აჩუქეს ქ. გ.-ში, ო-ის №.. შესახვევ-ში მდებარე უძრავი ნივთის მათი კუთვნილი 1/4 წილები. ჩუქების ხელშეკრულება შესრულდა ქართულად. იგი ხელმოწერილია გამ-ჩუქებლების, მათ შორის მ. ი-ასა და დასაჩუქრებულის მიერ. მ. ი-ას მიერ ხელმოწერა განხორციელებულია პირადად (რასაც მო-სარჩელე სადაც არ ხდის) ქართულ და რუსულ ენზე.

ხელშეკრულების ტექსტში განმარტებულია, რომ ნოტარი-უსმა შეადგინა ჩუქების ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წაუკითხა და განუმარტა მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სუ-დათ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებთ, რაც მი-თითებული იყო ხელშეკრულებაში. შემდეგ, მათ ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრუ-ლებას. ხელშეკრულებაში ასევე განმარტებულია, რომ ნოტა-რიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წა-იკითხეს ხელშეკრულება და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავდა მათ ნებას და ნო-ტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

2012 წლის 12 დეკემბრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან სადაც კონტაქტის მესაკუთრეს წარმოადგენდა ფ. ი-ი. ამასთან, საკუთრების განყოფილებაში დამატებულია შენობა-ნაგებობა-თა ჩამონათვალი: №1, №2.

გამჩუქებლები – ნ. ი-ი და ბ. ი-ი არიან დასაჩუქრებულ ფ. ი-ის ძმები, ხოლო გამჩუქებელი – მ. ი-ა არის დასაჩუქრებულ ფ. ი-ის დედინაცვალი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მ. ი-ამ სარჩელით სა-დაცვოდ გახადა 2012 წლის 4 დეკემბრის უძრავი ქონების ჩუქე-ბის №... ხელშეკრულებით მის მიერ გამოვლენილი ნება და მო-ითხოვა 1/4 წანიში ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნო-ბა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი გარიგებების დადების მიზნით მოატყუეს, კერძოდ, მას ეგონა, რომ ხელს აწერდა მინ-დობილობას, რომლითაც ფ. ი-ს უნდა მოეხდინა მიწის ნაკვეთ-ზე განლაგებული შენობების საჯარო რეესტრში დარეგისტრი-რება. ყოველივე აღნიშნული კი განპირობებული იყო მოსარჩე-ლის გამოუცდელობით, კერძოდ, ქართული ენის უცოდინარო-ბით.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გა-დანყვეტილების მოსაზრებები და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მი-მართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეც-ვლის ან შეწყვეტისკენ. შესაბამისად, მარტოოდენ ნების არსე-

ბობა არ იწვევს გარიგების დადებას, აუცილებელია, ნება გამოვლენილ იქნას. გარდა ამისა, ნება მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ. ნება შინაგანი სუბიექტური კატეგორიაა და იგი სამართლებრივ შედეგებს იწვევს მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული ნება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შედეგად.

ამასთან, ნების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაქტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნების გამოხატვა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი შედეგების დადგომისკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან. შესაბამისად, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პირის მიერ გამოვლენილი ნება შეესაბამება მის ხამდვილ ნებას, აღნიშნული პრეზუმაცია ქარწყლდება, თუ დადასტურდება, რომ ნება გამოვლენილ იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნების ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამორიცხავს. მაგალითად, პირის ქმედულუნარობა, სულიერი აშლილობა, ფსიქიკური, ფიზიკური იძულება, მოტყუება, და ა.შ. ეს ისეთი გარემოებებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მართოს ნების გამოხატვის ფორმები. როდესაც პირს შეზღუდული აქვს ე.ნ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვითარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო, პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამება (სულიერი ავადმყოფობა) ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას (მოტყუება, იძულება და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, ნების გამომვლენი, რაღა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს გამოვლენილი არანამდვილი ნების თანამდევი შედეგებისგან.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორად არ არის გაზიარებული აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგი მოატყუეს გარიგების შინაარსში, რადგან მას ჰქონდა დოკუმენტის შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა, მას ხელმოწერისას არ განუცხადებია პრეტენზია ქართული ენის არცოდნასთან დაკავშირებით. სამოქალაქო კო-

დექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. ამდენად, ნორმა მოტყუების გამო გარიგების ბათილობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც არანამდგილი ნების ფორმირება მოტყუების საფუძველზე განხორციელდა და არა ნდობით გამოწვეული უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გარიგების წერილობით ფორმით დადებისას მხარეები ამ გარიგების დადების ნებას გამოხატავენ მასზე ხელმოწერით. პირის მიერ თავისი ნებით და მოქმედებით სამოქალაქო უფლებების განხორციელებას კანონი უკავშირებს პირის ქმედუნარიანობის არსებობას. ქმედუნარიანი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით ნების გამოვლენისას – ხელშეკრულების ხელმოწერისას ივარაუდება, რომ მისთვის ცნობილია ამ ხელშეკრულების შინაარსი, ასევე ივარაუდება, რომ პირი აცნობიერებს ხელმოწერით გამოხატული ნების სამართლებრივ შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც გარიგების დადებისას აპელანტისათვის გარიგების შინაარსის არცოდნის დასადასტურებლად მხარემ შეუთითა მის გამოუცდელობასა და ქართული ენის უცოდინარობაზე, ასევე ნოტარიუსის ვალდებულებაზე, მსგავს შემთხვევაში ეხელმდვანელა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 24-ე მუხლით და მოეწვია თარჯიშმანი.

მითითებული ინსტრუქციის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სანოტარო აქტი (საჯარო აქტი) უნდა შედგეს სახელმწიფო ენაზე. ამასთანავე, სანოტარო მოქმედების მონაწილის (მონაწილეების) მიერ სახელმწიფო ენის ან მისი დამწერლობის არცოდნისას, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თარჯიშმნის მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა სანოტარო აქტი შედგეს კლიენტისთვის გასაგებ ენაზეც. თარჯიშმნის მონაცემები შეიტანება სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრსა და სანოტარო აქტში. თუ ნოტარიუსმა იცის შესაბამისი ენა, დოკუმენტს თარგმნის თვითონ და ამის შესახებ მიუთითებს აქტში, თუკი ამის წინააღმდეგი არ არის სანოტარო მოქმედების მონაწილე. ამასთანავე, სანოტარო მოქმედების მონაწილის თანხმობის გაცხადების შესახებ მითითება სავალდებულო არ არის. ივარაუდება, რომ მან ნოტარიუსის მი-

ერ დოკუმენტის თარგმნის შესახებ თანხმობა გამოხატა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თარჯიმანი უნდა აირჩიოს სანოტარო მოქმედების მონაწილეობის მონაწილეობის მხარის არსებობისას თარჯიმის არჩევისათვის აუცილებელია ყველა მათგანის თანხმობა. აკრძალულია სანოტარო მოქმედების მონაწილე მხარის, ან მოწმის მიერ თარჯიმის ფუნქციის შესრულება.

ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლი ნოტარიუსს სანოტარო მოქმედების შესრულებას თარჯიმის მონაწილეობით აკისრებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სანოტარო მოქმედების მონაწილე არ იცის სახელმწიფო ენა ან მისი დამწერლობა.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის მისამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მოსარჩევები ხელმოწერისას განაცხადა პრეტენზია ქართული ენის არცოდნასთან დაკავშირებით. ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადაცო გარიგების – 2012 წლის 4 დეკემბრის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების დადებამდე დაახლოებით 1 წლით ადრე, 2011 წლის 25 ოქტომბერს მ. ი-ას სახელზე სადაცო ქონების შესაბამისი ნაწილის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდა მისი პირადი განცხადების საფუძველზე ქართულად, ყოველგვარი წარმომადგენლის დახმარების გარეშე, რაზეც მოსარჩელე პირადად აწერს ხელს რუსულ ენაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ტექსტში განმარტებულია, რომ ნოტარიუსმა შეადგინა ჩუქების ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წაუკითხა და განუმარტა მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურდათ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებული იყო წინამდებარე ხელშეკრულებაში. შემდეგ, მათ ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრულებას. ხელშეკრულებაში ასევე განმარტებულია, რომ ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხეს ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავდა მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ნოტარიუს დ. ბ-ის ახსნა-განმარტებაზე, რომ მოსარჩელე მ. ი-ა არის მისი თანაშემნის მეზობელი. მოსარჩელეს წლების განმავლობაში იცნობენ, მოსარჩელეს ქართულადაც და აზერბაიჯანულადაც განემარტა სანოტარო აქტის შინაარსი და ნება ნამდვილად გამოხატა. საკითხი არ დამდგარა თარჯიმის მოწვევის შესახებ, ვინაიდან, მხარემ იცო-

და, თუ რა გარიგების დასადებად იყო მოსული, მას ასევე ეთარ-გმნა სანოტარო აქტი აზერბაიჯანულად თანაშემწის მიერ. მო-სარჩელეს სახელი და გვარის დაწერა შეეძლო. გასათვალისწი-ნებელია ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სადავო ქონე-ბის 1/4 ნაწილზე მესაკუთრის უფლება მოიპოვა იმ №... სამკვიდ-რო მოწმობის საფუძველზე, რომელიც ნოტარიუსმა – დ. ბ-მა 2011 წლის 25 ოქტომბერს დაამოწმა. ყოველივე აღნიშნული კი, კიდევ ერთხელ ამყარებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ნო-ტარიუსი იცნობდა მოსარჩელეს და იგი ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს ესმოდა ქართული ენა.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ჩუქე-ბის ხელშეკრულება მოტყუებით არ დადებულა. შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა მ. ი-ას სარჩელის მოთხოვნა ამ გარიგების ბათილად ცნობისა და 1/4 წილზე მესაკუთრედ აღიარების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მ. ი-ას ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას ასევე წარმოადგენს 2012 წლის 4 დე-კემბერს წოტარიუს დ. ბ-ის მიერ დამოწმებული №... სანოტარო აქტის ბათილად ცნობა. ზემოაღნიშნული სასარჩელო მოთხოვ-ნა წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხ-ლით განსაზღვრულ აღიარებით მოთხოვნას.

აღნიშნული წორმის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მო-სარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა და, რაც ყველაზე მთავარია, აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვე-ტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადაწყვეტილე-ბას სრულიად გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მო-სარჩელისათვის. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის არსებითი დამახასიათებელი წინაპირობა იურიდიული ინტერესი, ანუ სამარ-თლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს დაინტერესებულ პირს. იმ შემთხვევაში, თუ აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყო-ფილების შედეგად მისგან გამომდინარე სამართლებრივი შე-დეგი ვერ დადგება, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება გა-უმართლებელია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ არსებობს სადავო უძრავი ქონების 1/4 ნაწილში გარიგების ბათილად ცნო-ბისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამართლებრი-ვი საფუძვლები, შესაბამისად, გაურკვეველია, თუ სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების შემთხვევაში უშუალოდ მოსარ-ჩელის რა უფლება იქნება დაცული და რა დადებითი იურიდიუ-ლი შედეგი დადგება მის სასარგებლოდ.

ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქალაქო სა-სამართლომ მოთხოვნის ამ ნაწილშიც სწორად უთხრა უარი მო-სარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ისევე, როგორც სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლზე მითითებით, მარ-თებულად არ დაკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლო-ბა, მოპასუხე ნოტარიუს დ. ბ-ის გამოუცხადებლობის გამო, და-უსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იმ საფუძ-ვლით, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ი-ამ გაასაჩივრა სა-კასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვე-ტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 98-ე, 230-ე და 232-ე მუხლები, „ნოტარიატის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-6 მუხლი და სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის მე-8 მუხლის პირველი ნა-ნილის „გ“ პუნქტი და 24-ე მუხლი, აღნიშნულის ნაცვლად, სასა-მართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 102-ე, 127-ე და 180-ე მუხლით.

სააპელაციო პალატამ საერთოდ გვერდი აუარა დაზუსტე-ბულ სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებას განსჯა-დობასთან დაკავშირებით, კერძოდ, საქმეში არსებული მასა-ლებით დასტურდებოდა, რომ 2013 წლის 30 სექტემბერს კასა-ტორის მიერ სარჩელი რუსთავის სასამართლოში შეტანილ იქნა სამოქალაქო სარჩელის სახით, რომლის წარმოებაში მიღებაზეც უარი ეთქვა 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით. აღნიშნულის საფუძვლად მითითებულ იქნა, რომ საქმე განეკუთვნებოდა ად-მინისტრაციულ სამართალნარმოებას. განჩინება კასატორს არ გაუსაჩივრებია და იგი კანონიერ ძალაშია შესული. ამ განჩინე-ბიდან გამომდინარე, რუსთავის სასამართლოსათვის 2013 წლის 29 ოქტომბერს ადმინისტრაციული სარჩელით განმეორებით მი-მართვის შემდეგ, სასამართლო 2013 წლს 9 დეკემბერს გამო-იტანა განჩინება საქმის უფლებამოსილ სასამართლოში – სამო-ქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნის შესახებ.

კასატორის მითითებით, 2013 წლის 9 დეკემბრის განჩინება უკანონოა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი იყო 2013 წლის 7 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება, რომლითაც საქმე მიეკუთვნა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას. ანუ წარმოქმნა დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესა-

ხებ, რომლის გადაწყვეტის უფლება ჰქონდა მხოლოდ საკასაციო სასამართლოს. მოცემული დავა კი ერთპიროვნულად გადაწყვიტა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე. ამიტომაც, 2013 წლის 7 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებიდან გამომდინარე, 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არაგანსჯადი სასამართლოს მიერ, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის არგუმენტი მისი მოტყუების შესახებ, რადგან, სასამართლოს აზრით, მას ჰქონდა დოკუმენტის შინაარსის გაცნობის საშუალება და ხელის მოწერისას არ განუცხადებია ქართული ენის არცოდნის შესახებ. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ კასატორი თავის ერთადერთ საცხოვრებელს არ აჩუქებდა გერს – ფ. ის, რადგან მას ჰყავს ღვიძლი ქალიშვილი. სააპელაციო პალატის მითითებით, ხელშეკრულების ხელმოწერისას ივარაუდება, რომ კასატორისათვის ცნობილი იყო მისი შინაარსი და ეს მართლაც ასევა, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი უშვებს მოტყუების შესაძლებლობასაც და თუ დასაშვებია, ეროვნებით ქართველს, ქართულად შედგენილ ხელშეკრულებაზე მოტყუებით მოაწერინონ ხელი, რატომ გამორიცხა პალატამ, რომ ასევე მოტყუებით მოაწერინეს ხელი ეროვნებით აზერბაიჯანელს, ქართული ენის არმცოდნე ი-ას, რომლის ვარაუდითაც ხელს აწერდა მინდობილობას და არა ჩუქების ხელშეკრულებას. საქმეში მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო კასატორის პირადობის მოწმობის, საქართველოს მოქალაქის პასპორტისა და 2012 წლის 25 ოქტომბრის საჯარო რეესტრში შეტანილი (დაბეჭდილი) განცხადების ასლები და ყველა მათგანზე ი-ას ხელის მოწერა შესრულებული იყო არაქართულად. ერთადერთი ხელის მოწერა ქართულად ჩუქების ხელშეკრულებაზეა და აშერად ჩანდა, რომ იგი გადმოხატულია ნიმუშიდან, რაც ადასტურებს მისი ქართული ენის არმცოდნის მიერ შესრულებას.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა ნოტარიუს დ. ბ-ის ახსნა-განმარტება, რომ კასატორს წლების მანძილზე იცნობდა და მას სანოტარო აქტი აზერბაიჯანულად უთარგმნა ნოტარიუსის თანაშემწემ. ფაქტობრივად, ნოტარიუსი დაინტერესებული მხარეა და მას მხოლოდ ერთხელ მიმართა ერთი წლის წინ, რაც წლების განმავლობაში ნაცნობობას არ ადასტურებს. ნოტარიუსის ახსნა-განმარ-

ტება თანაშემნის მიერ სანოტარო აქტის თარგმნის შესახებ ადასტურებს იმას, რომ ი-ამ არ იცოდა ქართული ენა და თუ ეს ასეა, რატომაა მითითებული სანოტარო აქტში, რომ კასატორმა ის წაიკითხა და არ დაფიქსირდა, რომ ნოტარიუსის თანაშემნებუთარგმნა მას სანოტარო აქტი. ნოტარიუსმა ახსნა-განმარტებით აღიარა, რომ მისთვის ცნობილი იყო კასატორის მიერ ქართული ენის არცოდნის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში თანაშემნის დახმარება არ დასჭირდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლი ნოტარიუსს სანოტარო მოქმედების შესრულებას თარჯიმნის მონაწილეობით აკისრებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სანოტარო მოქმედების მონაწილემ არ იცის სახელმწიფო ენა ან მისი დამწერლობა. ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ ნოტარიუსი ვალდებული იყო, ოფიციალურად მიეწვია თარჯიმანი იმ მომენტიდან, როცა შეიტყობდა, რომ მ. ი-ამ ქართული არ იცოდა, მიუხედავად იმისა, განაცხადებდა თუ არა პრეტენზიას მოსარჩევე ენის უცოდინარობის მოტივით.

კასატორის განმარტებით, სანოტარო აქტის ბათილად ცნობა წარმოადგენდა მისთვის იურიდიულ ინტერესს, ვინაიდან ჩუქების ხელშეკრულებას თავისითავად, სანოტარო აქტის გარეშე იურიდიული ძალა არ აქვს და სანოტარო აქტის გარეშე მხოლოდ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრი საკუთრების უფლებას არ დაარეგისტრირებდა.

სანოტარო აქტის ბათილად ცნობა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის თანახმად, იწვევს საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმებას, რაც ასევე იწვევს კასატორის საკუთრების უფლების აღდგენის უძრავი ქონების 1/4-ზე. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, სადაც ვო გარიგების ნოტარიულად გაფორმებისას დარღვეულია ზემოთ მითითებული კანონისა და ინსტრუქციის მოელორიგი ნორმების იმპერატიული მოთხოვნები, რაც ასევე იწვევს ხელშეკრულების ბათილობას, რის შედეგადაც კასატორს აღუდგება ქონების უფლება.

კასატორმა მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ნოტარიუსმა – დ. ბ-მა შესაგებელი არ შემოიტანა და არც სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა, ვინაიდან ერთ-ერთი სასარჩევო მოთხოვნა ეხებოდა მხოლოდ დ. ბ-ს, შესაბამისად, 26 მარტის მთავარ სხდომაზე კასატორმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ნოტარიუსის მიმართ. მ. ი-ას განმარტებით, აღნიშნული შუ-

ამდგომლობა სავსებით აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე და 232-ე მუხლების მოთხოვნებს, სასამართლომ კი უარი უთხრა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე ანუ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

საქართველოს უზენაში სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით მ. ი-ას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა მ. ი-ას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 1 ნოემბერს მომზადებული საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, ქ. გ-ში, ო-ს №.. შესახვევში მდებარე (საკადასტრო კოდი №...; ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართი: 2000.00 კვ.მ) მესაკუთრებებს წარმოადგენდნენ – მ. ი-ა, ნ. ი-ი, ფ. ი-ი, პ. ი-ი. აღნიშნულ ქონებაზე ფიზიკურ პირთა მესაკუთრის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ნოტარიუს დ. პ-ის მიერ 2011 წლის 25 ოქტომბერს დამოწმებული №... სამკვიდრო მოწმობა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ერთ-ერთი მესაკუთრის, კერძოდ, მოსარჩელე მ. ი-ას სახელზე სადაცო ქონების შესაბამის ნაწილის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდა მისი პირადი განცხადების საფუძველზე, ყოველგვარი წარმომადგენლის დახმარების გარეშე, რომელიც თარიღდება 2011 წლის 25 ოქტომბრით და რაზედაც პირადად აწერს ხელს რუსულ ენაზე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2012 წლის 10 დეკემბრის საჯარო რეესტრიდან ამონაწერით ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის მესაკუთრეა ფ. ი-ი. მისი, როგორც მესაკუთრის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს ნოტარიუს დ. პ-ის მიერ 2012 წლის 4 დეკემბერს დამოწმებული უძრავი ქონების №... ჩუქების ხელშეკრულება.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია, რომ 2012 წლის 4 დეკემბერს ნოტარიუსმა – დ. პ-მა დაამოწმა №... ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც უძრავი ქონების თანამესაკუთრეებმა

მ. ი-მა, ბ. ი-მა და ნ. ი-მა, ფ. ი-ს აჩუქეს ქ. გ.-ში, ო-ის №... შესახვეში მდებარე უძრავი ნივთის მათი კუთვნილი 1/4 ნილები. ჩუქების ხელშეკრულება შესრულდა ქართულად. იგი ხელმოწერილია გამჩუქებლების, მათ შორის მ. ი-ასა და დასაჩუქრებულის მიერ. მ. ი-ას მიერ ხელმოწერა განხორციელებულია პირადად (რასაც მოსარჩელე სადაც არ ხდის) ქართულ და რუსულ ენაზე.

ხელშეკრულების ტექსტში განმარტებულია, რომ ნოტარიუსმა შეადგინა ჩუქების ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წაუკითხა და განუმარტა მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურდათ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებული იყო ხელშეკრულებაში. შემდეგ, მათ ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ჩუქების ხელშეკრულებას. ხელშეკრულებაში ასევე განმარტებულია, რომ ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ხელშეკრულება და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატვდა მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

2012 წლის 12 დეკემბრის ამინანერით საჯარო რეესტრიდან სადაც ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა ფ. ი-ი. ამასთან, საკუთრების განცოფილებაში დამატებულია შენობა-წაგებობათა ჩამონათვალი: №1, №2.

გამჩუქებლები – ნ. ი-ი და ბ. ი-ი არიან დასაჩუქრებულ ფ. ი-ის ძმები, ხოლო გამჩუქებელი – მ. ი-ა არის დასაჩუქრებულ ფ. ი-ის დედინაცვალი.

საპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მ. ი-ამ სარჩელით სადაც გახადა 2012 წლის 4 დეკემბრის უძრავი ქონების ჩუქების №... ხელშეკრულებით მის მიერ გამოვლენილი ნება და მოითხოვა 1/4 ნაწილში ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი გარიგებების დადების მიზნით მოატყუეს, კერძოდ, მას ეგონა, რომ ხელს აწერდა მინდობილობას, რომლითაც ფ. ი-ს უნდა მოეხდინა მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება. ყოველივე აღნიშნული კი განპირობებული იყო მოსარჩელის გამოუცდელობით, კერძოდ, ქართული ენის უცოდინარობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დაგებში დასაშევებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ დავებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს – კასატორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ გარუქებული ქონება წარმოადგენს მის ერთადერთ საცხოვრისს, არის დამოუკიდებელი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ მ. ი-ას უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით პ. ჯ-ას მიერ 2014 წლის 13 დეკემბერს №1 საგადახდო დავალე-

ბით გადახდილი 400 ლარის 70% – 280 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ი-ას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-უშვებლობის გამო.

2. კასატორ მ. ი-ას (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმ-ღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელ-მწიფო ბაჟის სახით პ. ჯ-ას მიერ 2014 წლის 13 დეკემბერს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი 400 ლარის 70% – 280 ლა-რი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## **მოტყუებით დადებული გარიგების პათილად ცნობა იძულებით დადებული გარიგების პათილად ცნობა**

### **განებიერა**

№ას-1301-1221-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობისა და ჩუქების ხელშეკრულებე-ბის ბათილად ცნობა, უძრავი ქონების 1/2 ნაწილის საკუთრება-ში რეგისტრაცია

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 2004 წლის 17 თებერვალს, ნ. ბ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კა-

სატორი) დედამ, ფ. ბ-ემ შეიძინა ქ. ქ-ში, თ-ის №128-ში მდებარე 1980 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და 216 კვ.მ. ფართის მქონე შენობა-ნაგებობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 477-ე მუხლი).

2. შეძენილ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის ძმამ, ზ. ბ-ემ, გა-დაწყვიტა სასტუმროს აშენება, რისთვისაც ერთობლივი საქმი-ანობის ფარგლებში (სსკ-ის 930-ე მუხლი), თავისი შვილის ნათ-ლიას დ. ჩ-ეს (შემდეგში მეორე მოპასუხის ძმა) დაუკავშირდა. ამ უკანასკნელის დედამ მ. ჩ-ემ (შემდეგში პირველი მოპასუ-ხე), 2004 წლის 3 ივნისს იყიდა წინამდებარე განჩინების პირ-ველ პუნქტში დასახელებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილი (სსკ-ის 183-ე, 311-ე, 312-ე მუხლები, 477-ე მუხლის პირველი ნაწი-ლი).

3. მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 216 კვ.მ. ფართის მქონე შენობა-ნაგებობაზე დაშენდა რამდენიმე სართული და მოენყო 4 სართულიანი შენობა, რომელიც გამოიყენებოდა სასტუმროს დანიშნულებით. სასტუმროს მხარეები ერთობლივად ამუშავებ-დნენ.

4. საჯარო რეესტრის 26.08.2009წ. ამონაწერის მიხედვით, განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ მისამართზე მდე-ბარე უძრავი ქონება (არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – 1991 კვ.მ.; შენობა ნაგებობის საერთო ფართი – 557.60 კვ.მ.; ს/კ №....) თანასაკუთრების უფლებით ირიცხებო-და მოსარჩელის (1/2 ნიღლი) და პირველი მოპასუხის (1/2 ნიღლი) სახელზე (იხ. განჩინების პირველი და მეორე პუნქტები).

5. ი-ძე (შემდეგში მეორე მოპასუხე) არის დ. ჩ-ის ძმა (იხ. გან-ჩინების მე-2 პუნქტი).

6. მოსარჩელემ, კუთვნილი უძრავი ქონება (1/2 ნაწილი), 2011 წლის 14 ივნისს, აჩუქა მეორე მოპასუხეს (იხ. განჩინების მე-5 პუნქტი), რომელმაც საკუთრების უფლება აღრიცხა საჯარო რე-ესტრში და გახდა ზემოხსენებულ უძრავი ქონების თანამესა-კუთრე პირველ მოპასუხესთან (იხ. განჩინების მე-2 პუნქტი) ერთად, თითოეული 1/2 ნიღლი (სსკ-ის 524-ე მუხლი, 525-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილი; იხ. საჯარო რეესტრის ამონაწერი).

7. მეორე მოპასუხის კუთვნილი წილის (1/2 ნაწილი) მესაკუთ-რე, 2011 წლის 19 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების საფუძ-ველზე გახდა მისი მეუღლე მ. კ-ე (დასაჩუქრებული), რომელიც, პირველ მოპასუხესთან ერთად, გახდა უძრავი ქონების მესა-კუთრე (სსკ-ის 524-ე მუხლი, 525-ე მუხლის მე-2 ნაწილი; იხ. საჯარო რეესტრის ამონაწერი).

8. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტში დასახელებულმა

მეულეებმა, 2012 წლის 7 მარტს, ურთიერთშეთანხმებით გააუქმეს ამავე პუნქტში მითითებული 2011 წლის 19 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულება და უძრავი ქონების 1/2 ნიღბები მესა-კუთრედ კვლავ დარეგისტრირდა მეორე მოპასუხე.

9. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, 2012 წლის 15 მარტს მეორე მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების (1/2 ნიღბი) შემძები და მესაკუთრე გახდა თ. ბ-ე (შემდეგში – ქონების ნახევრის მესაკუთრე). ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში პირველ მოპასუხესთან ერთად აღირიცხა თანამესაკუთრედ (სსკ-ის 477-ე, 183-ე, 311-ე მუხლები)

10. ამ განჩინების მე-9 პუნქტში მითითებულმა ქონების ნახევრის მესაკუთრემ, 2012 წლის 2 ოქტომბერს, ჩუქების ხელშეკრულება გააფორმდა მ. ჩ-ე-ბ-ესთან (დასაჩუქრებული), რომელიც საჯარო რეესტრში, პირველ მოპასუხესთან ერთად დარეგისტრირდა თანამესაკუთრედ (სსკ-ის 524-ე მუხლი, 525-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

11. მე-10 პუნქტში მითითებულმა დასაჩუქრებულმა, 2013 წლის 3 ივლისს, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, კუთვნილი უძრავი ქონების 1/2 ნაწილი გაასხვისა რ. ჯ-ზე, რომელიც საჯარო რეესტრში, პირველ მოპასუხესთან ერთად, აღირიცხა თანამესაკუთრედ (სსკ-ის 477-ე, 183-ე, 311-ე მუხლები).

12. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულმა მოსარჩელემ, 2014 წლის 7 თებერვალს წინასასარჩელო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსკ-კ, 192-ე მუხლი) განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რაც იმავე წლის 17 თებერვლის განჩინებით დააკმაყოფილა სასამართლომ. სარჩელი იმავე წლის 27 თებერვალს დარეგისტრირდა სასამართლოში, რომლითაც მოსარჩელემ მოითხოვა წინამდებარე განჩინების მე-6-მე-11 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და, საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, სადაც ქონებაზე მესაკუთრედ აღრიცხვა.

13. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 50-ე, 54-ე, 85-ე, 86-ე, 87-ე, 81-ე, 56-ე მუხლებით.

14. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-ელ-მე-11 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მასალებით ვერ იქნა დადასტურებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ,

რომ წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული ჩუქების ხელშეკრულება იძულებით ან მოტყუებით დაიდო.

15. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 პუნქტში მითითებული ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობა გახდა სასატუმროს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით არსებული და სასესხო ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც იპოთეკით იყო დატვირთული პირველი მოპასუხის კუთვნილი წილი ქონება, რომლის სანაცვლოდ, მეორე მოპასუხეს საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება.

16. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მტკიცება, რომ მის ძმაზე, რომელიც უკრაინაში მუშაობდა, საქართველოში ჩამოსვლისას განხორციელდა იძულება მეორე მოპასუხისა და სხვა პირების მიერ, რათა მოსარჩელეს ხელი მოეწერა ჩუქების ხელშეკრულებაზე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა.

17. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა მიერ ხელმოწერილი გარიგების არსებობის პირობებში, მოქმედებს აღნიშნულ დოკუმენტში მხარეთა მიერ გამოხატული ნების ნამდვილობის პრეზუმაცია. საწინააღმდეგოს დადასტურება კი იმ მხარის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება იყო, რომელიც აღნიშნული გარიგების ბათილობაზე უთითებდა. შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე (სსკ-ის მე-4 მუხლი), მოსარჩელეს უნდა უზრუნველეყო ნების ფორმირებაზე ზემოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც მოცემულ შემთხვევაში, მან ვერ შეძლო.

18. სასამართლოს მსჯელობით, ამგვარი გარემოების დასადგენად, მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენება, რომლებიც წარმოადგენენ მოსარჩელის ნათესავებს და ოჯახის ახლობლებს (წევრებს) ვერ იქნებოდა გაზიარებული. ამასთან, არ დასტურდებოდა არც მხარის მოტყუება და სადაც ჩუქების ხელშეკრულების მოჩვენებითი ან თვალთმაქცური ბუნება (სსკ-ის 56-ე მუხლი).

19. სასამართლომ განმარტა, რომ ნების გამოვლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიჩნეული გარიგებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის ვარგისად, თუ იგი ხორციელდება იურიდიულად ვარგისის შესაბამისი უფლების საფუძველზე. უფლება იურიდიულად ვარგისია, თუ არსებობს მისი წარმოშობის ლეგიტიმური წყარო. საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მხარეებმა იცოდნენ, რა გარიგებას დებდნენ, ანუ ორივემ იცოდა საქმის გარემოებები, არც ერთი მხარე არ მოტყუებულა და არც მოტყუებით, მოქმედებდა.

20. სასამართლომ დაასკვნა, რომ უსაფუძვლო იყო მოსარ-

ჩელის მითითება, რომ ჩუქების ხელშეკრულება დაიდო მოტყუებით, იმ მოლოდინით, რომ სეზონის გასვლის შემდეგ, ქონება მას დაუბრუნდებოდა. მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, რაში გამოიხატა სადავო გარიგების მოჩვენებითობა ან თვალმაქცური ხასიათი, კერძოდ, რა გარიგება დაიფარა.

21. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, წინამდებარე განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში, სასამართლო აღარ იმსჯელებდა შემდეგ გაფორმებულ, ასევე სადავოდ გახდილი ხელშეკრულებების (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7-მე-11 პუნქტები) ბათილობაზე, რადგან 14.06.2011წ. ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნის უარყოფა, ავტომატურად გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილებას თანმდევ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

22. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

23. სააპელაციო საჩივარი შემდეგ პრეტენზიებს ემყარებოდა:

23.1. საქმეში წარმოდგენილია მტკიცებულებები, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებები, რომლითაც დასტურდება სადავო ჩუქების ხელშეკრულების იძულებით დადების ფაქტი. სასამართლომ დაარღვია მოწმეთა განმარტების შეფასების სსსკ-ის 140-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი;

23.2. აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, დადასტურებულია, რომ გაჩუქებული ქონების ღირებულება შეადგენს 1 475 500,00 ლარს. ქონება, რომლის ღირებულებაც შეადგენს 737 750 ლარს, უსასყიდლოდ გადასცა მოსარჩელემ მოპასუხეს, რაც სამართლიან ეჭვს ბადებს გაჩუქების კანონიერებაზე;

23.3. სადავო უძრავი ქონების 2 წლის განმავლობაში ოჯახის წევრებზე და ახლო ნათესავებზე საკუთრების უფლებით 6-ჯერ გადაფორმება, რათა უძრავი ქონების შემძენები ამოფარებოდნენ კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსს, ატარებდა ფორმალურ მოჩვენებით და თვალმაქცურ ხასიათს, ქონება რეალურად არ გასულა მეორე მოპასუხის საკუთრებიდან;

23.4. არადამაჯერებელია სასამართლის მსჯელობა, რომ მესამე პირის სესხის გამო, მოსარჩელე ვალდებული იყო, საკუთრების უფლება დაეთმო მისი კუთვნილი უძრავი ქონების წილზე პირველი მოპასუხისათვის, ვინაიდან მოსარჩელე არ წარმო-

ადგენდა სესხის ხელშეკრულების მხარესა და პირად მოვალეს, მისი პირადი ვალდებულების გამო, არ ყოფილა იპოთეკით დატვირთული თანამესაკუთრის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილი;

23.5. მოპასუხის განმარტებით და წარმოდგენილი შესაგებლით, განჩინების მე-11 პუნქტში დასახელებულ პირზე სადავო უძრავი ქონების გადაფორმების საფუძველი, თითქოსდა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა და იპოთეკით დატვირთული ქონების დაკარგვის საფრთხე გახდა, მაშინ, როცა საქმეში არსებული საბანკო ამონანტერის მიხედვით, ყოფილმა მესაკუთრეებმა, სხვადასხვა დროს, სესხის დაფარვის მიზნით, მხოლოდ ხუთჯერ გადაიხადეს თანხა იმ დროს, როდესაც ისინი აღარ იყვნენ აღნიშნული ქონების მესაკუთრეები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სადავო უძრავი ქონება რეალურად არ გასულა მეორე მოპასუხის საკუთრებიდან და გარიგება მე-11 პუნქტში დასახელებულ პირთან მხოლოდ მოსაჩერებლად დაიდო, იმ განზრავის გარეშე, რომ მას შესაბამისი ოურიდიული შედეგი მოჰყვეს (სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი).

23.6. ქ-ის შსს რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე №...., სადავო ქონების (სასატუმროს) თაღლითური გზით მისაკუთრების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც უშუალო კავშირშია განსახილველ სამოქალაქო საქმესთან და სისხლის სამართლის საქმეში დაცული მასალები: მოწმეთა ჩვენებები, გამოკითხვისა და დაკითხვის ოქმები, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საქმის წარმოებისა და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე უარის თქმის განჩინებით, სასამართლომ მოსარჩელეს წარმოადგინება პროცესუალური უფლება, ისარგებლოს თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით, დაასაბუთოს თავისი მოთხოვნები, უარყოს ან გააქარწყოლოს მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

24. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

25. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები საქმის გარემოებებსა და მტკი-

ცებულებების სამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით; დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-ელ-მე-11 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით, საკრედიტო ხელშეკრულებებითა და სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების (ზ. ბ-ისა და მ. ზ-ის) ჩვენებებით ირკვეოდა, რომ სადაც უძრავი ქონება, 2011 წლის 23 მარტის მდგომარეობით, ირიცხებოდა მოსარჩევლისა და პირველი მოპასუხის თანასაკუთრებად (თითოეულის ნილი 1/2), ამ დროისათვის, უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო იპოთეკა 2007 წლის 12 აგვისტოს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოქმედების ფარგლებშიც, 2009 წლის აგვისტოში, ბანკისაგან, მ. ზ-ებ (შემდეგში მოსარჩევლის დისტვილი ან მსესხებელი), 120 თვით, სესხად მიიღო 223 690 აშშ დოლარი.

26. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საღაროს შემოსავლის ორდერებითა და საბანკო ანგარიშიდან ამონაწერით დგინდებოდა, რომ 2010 წლის იანვრიდან ბანკში მსესხებლის სახელზე, სესხის დაფარვის მიზნით, თანხები გადახდილია პირველი მოპასუხის, ნ. ჯ-ის, მე-11 პუნქტში დასახელებული ქონების შემძენის, მე-7 პუნქტში მითითებული დასაჩუქრებულის მიერ.

27. სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულების ფაქტის დასადასტურებლად, მოსარჩევლის მიერ სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული და სამოქალაქო საქმისნარმოებისას სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებები ურთიერთსანინააღმდეგო იყო, კერძოდ, მათი განმარტებებით, არ დგინდებოდა მოსარჩევლის ძმისადმი განხორციელებული რეალური მუქარის ფაქტი.

28. სასამართლომ, სსკ-ის 371-ე, 472-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ საქმეში განთავსებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების, თანხის გადახდის ქვითორების შეფასების, სასამართლო სხდომაზე მოსარჩევლის შუამდგომლობით დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებისა დ შხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, პალატამ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა, რომ პირველი მოპასუხის კუთვნილი უძრავი ქონების უზრუნველყოფით, მოსარჩევლის დისტვილს აღებული ჰქონდა სესხად 223 690 აშშ დოლარი. სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, საფრთხე შეექმნა პირველი მოპასუხის კუთვნილ, იპოთეკით დატვირთულ ქონებას, რის გამოც მოსარჩევლის დისტვილის მიერ აღებული სესხის დაფარვის მიზნით, საბანკო დაწესებულებაში თანხები შეპქონდა პირველ მოპასუხეს. სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე

ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, მოსარჩელემ მისი კუთვნილი უძრავი ქონება დაუთმო პირველი მოპასუხის შვილს (მეორე მოპასუხეს) – (გასაჩივრებული განჩინების პ.4.32).

29. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2011 წლის 14 ივნისს, მოსარჩელის მიერ კუთვნილი (1/2 ნაწილი) უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა, შესაბამისობაში იყო სსკ-ის 371-ე მუხლის (ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ) მოთხოვნებთან და არ არსებობდა ამ გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.

30. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა საპელაციო სასამართლის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

31. საკასაციო განაცხადი ძირითადად იმეორებს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს (იხ. წინამდებარე განჩინების 23-ე პუნქტი), ასევე, კასატორი უთითებს, რომ:

31.1. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები; მოსარჩელეს თავისი ნებით არ გაუსხვისებია ძვირადლირებული უძრავი ქონება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ერთადერთი მიზეზი იყო მისი დისტვილისა და ძმის მიმართ არსებული რეალური საფრთხის თავიდან აცილება.

31.2. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 81-ე, 85-ე, 87-ე მუხლები, არ გამოიყენა 54-ე მუხლი.

31.3. საჩივარი დასაშვებია სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო, სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, ამიტომ იგი დაუშვებელია, შემდეგი მოტივაციით:

33. სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

34. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

35. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განხსხავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან.

36. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები (იხ. წინამდებარე განჩინების 25-ე-29-ე პუნქტები) შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკას მოჩვენებით, მოტყუებითა და იძულებით დადებული გარიგებების სამართლებრივი ბუნების შესახებ.

37. სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში ადგილი აქვს გარიგების მონაწილე მხარეთა განზრას ქმედებას, რა დროსაც, მათ არ სურთ სამართლებრივი შედეგის დადგომა და მისი დადების მიზანს შესაძლოა წარმოადგენდეს მესამე პირის შეცდომაში შეყვანა. იმისათვის, რომ სასამართლომ სადავო გარიგება მიიჩნიოს მოჩვენებითად, აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლიე, ფიქტიური გარიგების შესახებ „ურთიერთშეთანხმებაზე“, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას. ამასთან, როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება ფორმალურად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მაგრამ ნების ნაკლი მისი არანამდვილობის გამო, წარმოადგენს იმ არსებითი ხასიათის ნაკლს, რაც გამორიცხავს სამართლებრივი შედეგის დადგომას. შესაბამისად, ის ფაქტი, რომელიც მიუთითებს სადავო გარიგების მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობაზე, უნდა დაამტკი-

ცოს მან, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადგებული გარიგებით შეიღება მისი უფლება (იხ. სუსგ №ას-862-812-2015 11.11.2015).

38. სსკ-ის 81-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ნორმის დეფინიციაში მოცემულია „თვალსაჩინოების სტანდარტი“, რაც გამოხატულებას ჰქონებს ფრაზაში: „აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.“ ამდენად, მოტყუების საფუძვლით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუებას, ნების გამომვლენში, ისეთი შეცდომის გამოწვევა უნდა შეეძლოს, რომელიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოტყუების დროს, პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამომვლენს ნამდვილი, ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება არანამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს (იხ. სუსგ 16.06.2014, საქმე №ას-182-171-2014).

39. სსკ-ის 85-ე 86-ე მუხლების შესახებ (იხ. სუსგ 27.05.2013, საქმე №ას-170-163-2013) საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადონ გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. საკასაციო პალატის მითითებით, მარტოოდენ ნების არსებობა არ იწვევს გარიგების დადებას, აუცილებელია, რომ ნება გამოვლენილი იქნეს, გარდა ამისა, ნება მიმართული უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. აღსანიშნავია, რომ ნება შინაგანი სუბიექტური კატეგორიადა და იგი სამართლებრივ შედეგებს იწვევს მხოლოდ მისი გარეგანი გამოხატვის შედეგად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივი შედეგისადმი მიმართული ნება იურიდიულად ქმედითი ხდება მისი გამოვლენის შემდეგ. ნების გამოვლენის ფორმებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დატვირთვა გააჩნია გარიგებებში, ვინაიდან გამოხატული ნებისადმი არსებობს კონტრაპენტის მიერ გამოვლენილი ნდობის დაცვის ღირსი ინტერესი, ამიტომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული პირის მტკიცება, რომ მას ის ნება არ ჰქონდა, რომელიც გამოხატა, თუ მისი ნების გარეგანი გამოხატულებით მეორე მხარემ კეთილსინდისიერად ირწმუნა, რომ იგი უფლებებით აღიჭურვა. ამდენად, ნების გამოხატვა, რომელიც გარევეული სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ არის მიმართული, დაკავშირებულია არა მხოლოდ უფლებების, არამედ მოვალეობების წარმოშობასთან, შესაბამისად, საწინააღ-

მდეგოს დადასტურებამდე, ივარაუდება, რომ პირის მიერ გა-  
მოვლენილი ნება შეესაბამება მის ნამდვილ ნებას. აღნიშნული  
პრეზუმუცია ქარწყლდება, თუ დადასტურდება, რომ ნება გა-  
მოვლენილი იქნა ისეთ პირობებში, რომელიც გამოვლენილი ნე-  
ბის ნამდვილი ნებისადმი შესაბამისობას გამორიცხავს, მაგა-  
ლითად, პირის იძულება, მოტყუება და ა.შ. ეს ისეთი გარემოე-  
ბებია, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მართოს  
ნების გამოხატვის ფორმები. ეს ის შემთხვევებია, როდესაც  
პირს შეზღუდული აქვს ე.წ. „მოქმედების ნება“, ანუ ასეთ ვი-  
თარებაში იგულისხმება, რომ დაუძლეველ გარემოებათა გამო,  
პირი იმ ნებას გამოხატავს, რომელიც მის ნებას არ შეესაბამე-  
ბა, ან პირი გამოხატავს სხვა პირის და არა თავის რეალურ ნებას  
(მოტყუება, იძულება და სხვ.). ნების გამომვლენი მხოლოდ ასეთ  
შემთხვევებში უნდა იყოს დაცული გამოვლენილი არანამდვი-  
ლი ნების თანმდევი შედეგებისაგან. ამდენად, როგორც იძუ-  
ლება, ისე მოტყუება, წარმოადგენს გარიგების ბათილად ცნო-  
ბის საფუძველს. იძულების დროს, ხდება აშკარა ჩარევა ნების  
გამოვლენის პროცესში. იძულების მიზანს გარიგების დადება  
წარმოადგენს. იძულება მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გარიგების  
ბათილობის საფუძვლად, როდესაც მისი ზეგავლენით მოხდა გა-  
რიგების დადება. იძულება შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში  
ან მუქარაში. ძალადობა ფიზიკურ იძულებას გულისხმობს, ხო-  
ლო მუქარის შემთხვევაში, მომავალში იძულების განხორციე-  
ლების ფაქტით გამოწვეული შიში აიძულებს პირს, მოახდინოს  
სხვისი ნების შესატყვისი ნების გამოვლენა. ამასთან, გარიგე-  
ბის ბათილობას იწვევს არა ყოველგვარი იძულება, არამედ ისე-  
თი, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს  
პირზე. პირზე გავლენას ახდენს ისეთი იძულება, რომელიც  
აფიქრებინებს მას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური  
საფრთხე ემუქრება. ამდენად, იძულება მხოლოდ მაშინ შეიძ-  
ლება ჩაითვალოს ზემოქმედებაუნარიან იძულებად, თუკი იყი  
რეალური საფრთხის მაუწყებელია. თუ საფრთხე მოჩვენები-  
თია, მაშასადამე, იძულებაც ამ აზრით არარსებულია. იძულე-  
ბის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები პირთა ასაკი, სქე-  
სი და ცხოვრებისეული გამოცდილებები. მოტყუების დროს კი,  
არსებობს ნების გამოვლენის ნაკლი. მოტყუება გულისხმობს  
ცდომილებაში განზრახ შეყვანას. ამდენად, მოტყუებით დადე-  
ბულ გარიგებას იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, თუ მხარის მიერ  
არასწორად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დებს მე-  
ორე მხარე გარიგებას. შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით  
დადებული გარიგების ბათილობის შემთხვევაში მხარემ უნდა

დაამტკიცოს არასწორი ცნობების მიწოდების ფაქტი.

40. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

41. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვები რომც ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემონბათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მუხლუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრების დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

42. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას, რომ კასატორმა სადაც გარიგებების მოჩვენებითი ხსიათი ვერ დაადასტურა. მხარეს არ მოუხდენია მისი კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება არც გარიგებების დადებისას მოტყუების ან ძალადობის არსებობის კუთხით.

43. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი.

44. სსსკ-ის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, პირს დაუბრუნდება, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. ნ. ბ-ეს (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე თ. ა-ის (პ/ნ ...) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 6 000 ლარის (საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 2016 წლის 12 თებერვალი), 70% – 4 200 (ოთხი ათას ორასი) ლარი;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მოტყუებით დადებული გარიგების პათილად ცნობა** **განცინება**

№ას-726-694-2016

25 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა, მესაკუთრედ ცნობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. ნ. გ-ემ და ფ. მ-მა (შემდეგში: გამსესხებლები, მყიდველები, მოპასუხები, უძრავი ქონების მესაკუთრეები ან კრედიტორები), 2013 წლის 23 აპრილს ბ. ბ-შვილს (შემდეგში: მსესხებელი ან გამყიდველი) ასესხეს 10 000 აშშ დოლარი, ყოველთვიური სარგებელი განისაზღვრა ძირითადი თანხის 5%-ის ოდენობით, ხოლო სესხის ხელშეკრულების ვადა – სამი თვით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 623-ე-625-ე მუხლები; იხ. სესხის ხელშეკრულება)
2. პირველ პუნგში დასახელებულ მხარეებს შორის, 2013 წლის 2 მაისს დაიფრ უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გამსესხებლებმა მსესხებლისაგან შეიძინეს ქ. თელავში, მ-ის ქ. №12 მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 5..), რომე-

ლიც მყიდველების საკუთრებად აღირიცხა საჯარო რეესტრში (სსკ-ის 183-ე, 311-ე, 312-ე მუხლები; იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება).

3. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავი ქონების მესაკუთრებსა და ნ. ქ-ს (იპოთეკარი) შორის, 2013 წლის 18 სექტემბერს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება №130979700, რომლის საფუძველზე ამ უკანასკნელმა უძრავი ქონების მესაკუთრებს ასესხა 9000 აშშ დოლარი, ხოლო სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა მესაკუთრეთა უძრავი ქონება (იხ. მე-2 პუნქტი, ასევე, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება – 623-ე-625-ე და 289-ე მუხლები).

4. ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავი ქონების მესაკუთრებსა და მ. ქ-ს (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) შორის, 2013 წლის 18 სექტემბერს, დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა მესაკუთრებისაგან იყიდა უძრავი ნივთი (იხ. მე-2 პუნქტი).

5. კახეთის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 16 ივნისის №14007971-011/001 განკარგულებით დასტურდება, რომ მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (იხ. მე-2 და მე-4 პუნქტები), 2014 წლის 12 ივნისს გაიყიდა იძულებით საჯარო აუქციონზე, სადაც მისი შემძებნი გახდა ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული იპოთეკარი (სსკ-ის 302.4-ე მუხლი). 2014 წლის 23 ივნისს სადაც უძრავი ნივთზე საჯარო რეესტრში აღირიცხა მისი შემძებნის (იპოთეკარის) საკუთრების უფლება. აუქციონის შედეგები მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია.

6. მოსარჩელემ 2014 წლის 3 ივლისს სარჩელი აღძრა წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ გამსესხებლებისა და მე-3 პუნქტში დასახელებული იპოთეკარის წინააღმდეგ და მოითხოვა:

6.1. ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული 18.09.2013 წლის №130979700 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებულის, ბათილად ცნობა;

6.2. ამ განჩინების მე-4 პუნქტში მითითებული 18.09.2013 წლის №130979886 უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებულის, ბათილად ცნობა;

6.3. ბ-შვილის (იხ. პირველი პუნქტი) ცნობა სადაც უძრავი ნივთის (იხ. მე-2 პუნქტი) ერთადერთ კანონიერ მესაკუთრედ.

7. მოსარჩელის მტკიცებით, ჯერ დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება 18.09.2013 წ. №13097900, ხოლო შემდეგ, იმავე დღეს – ნასყიდობის ხელშეკრულება №1309799886. ნოტარიუსის მიერ შედგენილ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული ის გარემოე-

ბა, რომ უძრავი ნივთი დატვირთული იყო იპოთეკით და სწორედ ამ უკანონო გარიგებების საფუძველზე აღმოჩნდა იგი გაურკვეველ ვითარებაში, რამაც საბოლოო ჯამში მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული ერთადერთი უძრავი ქონება გასხვისების საფრთხის ქვეშ დააყენა. მოსარჩევებმ მოითხოვა:

8. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულმა მოპასუხებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინეს და განმარტეს:

8.1. მათგან სესხად მიღებული 10 000 აშშ დოლარი ვერ დააბრუნა მსესხებელმა დათქმულ ვადაში, რის გამოც მხარეებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და სადავოდ ქცეული ქონება მყიდველთა საკუთრებად აღირიცხა საჯარო რეესტრში (იხ. პირველი და მე-2 პუნქტები). ამას ადასტურებს ხელშეკრულებები, ამონანერი საჯარო რეესტრიდან;

8.2. ბ. ბ-შვილი სადავო ბინაში ცხოვრობდა, ვალს ვერ უხდიდა მოპასუხებს, რის გამოც ამ უკანასკნელებმა მიმართეს თელავის რაიონულ პოლიციას მისი გამოსახლების მოთხოვნით. ამის შემდეგ, მსესხებელმა მოპასუხებს გადაუხადა 7000 აშშ დოლარი და მისი ოჯახის წევრებმა მოითხოვეს, გარკვეული ვადა, რათა თვითონვე მოექებნათ სხვა პიროვნება, რომლის სასარგებლოდაც იპოთეკით დაიტვირთებოდა უძრავი ქონება და მოპასუხეთა ვალს გაისტუმრებდნენ;

8.3. ბ-შვილის ოჯახის წევრებმა მოექებნეს იპოთეკარი ნ. ქ-ი, რომელმაც გადაიხადა 9000 აშშ დოლარი, ხოლო ბ. ბ-შვილის რძალმა და იმავდროულად მისმა წარმომადგენელმა – მოსარჩელემ იპოთეკარისაგან მიიღო 4000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც ნ. ქ-ის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა სადავო უძრავი ქონება და მოპასუხებისაგან ბინა დაუბრუნდა ბ-შვილის წარმომადგენელს – მოსარჩელეს (იხ. 1-ლი-მე-4 პუნქტები);

8.4. მოპასუხებს მიაჩინათ, რომ სადავო ბინა მათ საკუთრებაში გადავიდა კანონიერი გზით, 2013 წლის 2 მაისს, ნასყიდობის ხელშეკრულებით, რაც გაფორმდა მათსა და ბინის შესაკუთრეს შორის (იხ. მე-2 პუნქტი).

9. თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 153-ე, 286-ე, 291-ე, 292-ე, 302-ე, 316-ე-317-ე, 361-ე, 623-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსკ) 102-ე-103-ე მუხლები.

10. რაიონულმა სასამართლომ იმსჯელა ზემოხსენებულ ნორმათა დანაწესებზე და მათ საფუძველზე, საქმეში არსებუ-

ლი მტკიცებულებების საფუძველზე, მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

10.1. ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, იპოთეკარის მიერ მოპასუხებზე გაცემული სესხი სწორედ უძრავი ნივთით იქნა უზრუნველყოფილი. მხარეებს შორის იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების დროს, სადაც უძრავი ნივთი (ბინა) რეგისტირირებული იყო მოპასუხებზე, ამ უკანასკნელებმა, სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი თანხმობა განაცხადეს სადაც უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვაზე. ის გარემოება, რომ სადაც უძრავი ნივთი შემდგომში საკუთრების უფლებით გადავიდა მოსარჩელის სახელზე, ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. რადგან, როგორც აღინიშნა, უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ არის მესაკუთრე, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება გარანტირებულია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იპოთეკა აქცესორული უფლებაა. იგი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ მოთხოვნასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც ის გამოიყენება. დადგენილია, რომ მოპასუხებმა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება (იხ. მე-3 პუნქტი) ვერ შეასრულეს. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამდენად, სესხის ხელშეკრულებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, სრულიად სამართლიანად წარმოეშვა მოთხოვნის უფლება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციით ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება კრედიტორს – იპოთეკარს;

10.2. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეინადან იპოთეკა არის სანივთო უზრუნველყოფის საშუალება, არაა აუცილებელი, იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრე იყოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე. სსკ-ის 292-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლება-მოსილია დააქმაყოფილის კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლება-მოსილია შესასრულოს შესაბამისი მოქმედება“. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დამდგარი იყო და მესაკუთრეს უფლება ჰქონდა, დაეკმაყოფილებინა იპოთეკარი (ნ. ქ-ი) და ამით დაეხსნა საკუთარი ქონება აუქციონზე რეალიზაციისაგან. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე, მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმა-

ყოფილებს“, ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დააკ-მაყოფილებდა კრედიტორს (იპოთეკარს), ამ უკანასკნელის მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ გადავიდოდა მასზე;

10.3. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო უძრავი ქონების მესაკუთრეები იყვნენ ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული მოპასუხეები, რომელთაც გააჩნდათ კუთვნილი ქონების, როგორც გასხვისების, ისე, სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დატვირთვის სრული უფლებამოსილება;

10.4. რაიონულმა სასამართლომ, ასევე, იმსჯელა ამ განჩინების მე-4 პუნქტში მითითებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მოპასუხეებსა და მოსარჩელეს შორის, რომლის საფუძველზეც სადაცოდ გამხდარი უძრავი ნივთი (იხ. მე-2 პუნქტი) ამ უკანასკნელის საკუთრებად აღირიცხა საჯარო რეესტრში და, ასევე, დარეგისტრირდა ხელშეკრულება სესხისა და მისი შესრულების უზრუნველყოფის (იპოთეკის) შესახებ, რეესტრის ნომერი №130979700, დამოწმების თარიღი 18/09/2013, ნოტარიუსი ლ. ბი. შესაბამისად, 18.09.2013ნ., ერთი მხრივ, იპოთეკარსა და, მეორე მხრივ, მოპასუხეებს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული (იხ. მე-3 პუნქტი) იპოთეკარის მოთხოვნის უფლება გადავიდა მოსარჩელეზე.

10.5. რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, იპოთეკარის (იხ. მე-3 პუნქტი) მიმართ, მასზე გადასული ზემოლნიშნული ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც მასზე რიცხული, სადაცოდ გამხდარი უძრავი ნივთი გატანილი იქნა იძულებით საჯარო აუქციონზე 2014 წლის 12 ივნისს და მისი შემძენი გახდა – იპოთეკარი. იძულებითი საჯარო აუქციონის შედეგები მოსარჩელეს არ გაუსაჩინოვებია და სადაცო ბინა, იმავე წლის 23 ივნისს, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა იპოთეკის (აუქციონზე შემძენის) სახელზე;

10.6. რაიონული სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ 2013 წლის 2 მაისს შხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი) იყო მოტყუუბით დადებული გარიგება (სსკ-ის 81-ე მუხლი). მოსარჩელე არ უარყოფდა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებას (იხ. მე-3 პუნქტი) უშუალოდ ესწრებოდა, ამასთან, მოსარჩელე ნებაყოფლობით დათანხმდა იმ ნივთის შეძენას, რომელზეც ვალდებულების უზრუნველყოფი უფლება იყო დადებული. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების დღის, იპოთეკარის კუთვნილი გასესხებული თანხიდან, 9000 აშშ დოლარიდან, 5000 აშშ დოლარი აიღო ერთმა მოპასუხემ – 6.

გ-ემ, ხოლო დარჩენილი თანხა გადასცეს მოსარჩევესა და მის მეუღლეს. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

11. ზემოხსენებული მოტივაციით, რაიონულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა და უარყო იგი.

12. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

12.1. რაიონულმა სასამართლომ უკანონოდ გაიზიარა მოპასუხეთა არგუმენტები. სასამართლომ ერთობლიობაში არ შეაფასა მხარეთა მიერ ნარდეგნილი მტკიცებულებები და ცალმხრივად, მიკერძოებულად დაეყრდნო მოპასუხეთა ტენდენციურ მოსაზრებებს;

12.2. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ აპელანტის მოსატყუებლად, ნოტარიუსის ხელშეწყობით, მოპასუხებმა უკანონო გარიგება გააფორმეს. სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას წინ უსწრებდა იპოთეკის ხელშეკრულების დადება, რამაც გამოიწვია ის, რომ აპელანტმა შეიძინა ვალდებულებით დატვირთული ქონება. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების შესახებ აპელანტისათვის არაფერი იყო ცნობილი და არც ნოტარიუსის მიერ შედგენილ ხელშეკრულებაში იყო მითითებული, რომ უძრავი ნივთი იპოთეკით იყო დატვირთული;

12.3. სასამართლომ არ შეაფასა ის უმთავრესი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც პირდაპირ ინვევდა ნასყიდობის შესახებ დადებული გარიგების ბათილობას.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

14. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (სსკ-ის 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

15. სააპელაციო სასამართლომ, მოსარჩელის მოთხოვნების გათვალისწინებით (იხ. მე-6-მე-7 პუნქტები), განმარტა მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის სსკ-ის 81-ე-82-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოხმობილი ნორმების თანახმად, „თუ პირი გარიგე-

ბის დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად (მუხ. 81-ე) და „მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მინშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ – მეორე მხარისათვის ზიანის მიეწებას“ (მუხ. 82), მოტყუების საფუძვლით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუებას ნების გამომვლენში ისეთი შეცდომის გამოწვევა უნდა შეექლოს, რომელიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუძლის ნების გამომვლენს ნამდგილი, ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანში არანამდგილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს, ანუ ადამიანს, ობიექტური განსჯის შედეგად, არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდგილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი (სუსგ №ას-182-171-2014 16.06.2014 წელი).

16. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გარიგების მოტყუებით დადების დასადასტურებლად მოსარჩევე უთითებდა იმაზე, რომ 2013 წლის 18 სექტემბერს მასაა და მოპასუხებებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას, ნინ უსწრებდა მოპასუხებებს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის თანახმად, ამ უკანასკნელთა სესხის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ნასყიდობის საგანი. აღნიშნული გარემოება კი მოსარჩელისათვის არ იყო ცნობილი, გარდა ამისა, ქონებაზე ასეთი ნაკლის შესახებ, არც ნოტარიუსს მიუთითებია ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

17. აპელანტის აღნიშნული მტკიცების სანინაალმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 07.04.2016 წლის სხდომაზე, აპელანტის განმარტებაზე, სადაც ამ უკანასკნელმა დაადასტურა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე, სანოტარო ბიუროში ესწრებოდა მოპასუხებებს შორის სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებას და მის-

თვის ცნობილი იყო ნასყიდობის საგნის უფლებრივი ნაკლის თაობაზე, თუმცა, შედეგები ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოგვიანებით გააცნობიერა. აღსანიშნავია, რომ აპელანტს არც 18.09.2013 წლს იპოთეკარსა და მოპასუხეებს შორის გაფორმებული სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ფარგლებში, ამ უკანასკნელთა მიერ იპოთეკარისაგან (უქციონზე უძრავი ქონების შემძენისაგან) ნასესხები თანხის მიღება გაუხდია სადაცოდ. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული გარემოება მოსარჩევე აღიარა რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც.

18. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 131-ე მუხლზე მიუთითა, რომლის თანახმად: „ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას“ და განმარტა, რომ მოსარჩელის/აპელანტის ასეთი აღიარება საფუძვლად უნდა დაედოს წინამდებარე განჩინებას, რაც, თავის მხრივ, საკმარისია დასკვნისთვის, რომ მოსარჩელე გარიგების დადებისას არ მოუტყუუბიათ, ვინაიდან მისივე განმარტების საფუძველზე, მან იცოდა, რომ ნასყიდობის საგანი დატვირთული იყო იპოთეკით. რაც შეეხება აპელანტის მითითებას, რომ არ იცოდა იპოთეკის სამართლებრივი შედეგები, აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა სსკ-ის მე-3 მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, „კანონის არცონა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი“.

19. სსსკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“. ამდენად, აღნიშნული ნორმის მიხედვით, სასამართლო იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი განიხილოს პირის განცხადება, რომელიც მიმართავს მას თავისი და არა სხვისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნაა ბათილად იქნეს ცნობილი ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებილი 18.09.2013 წლის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება № 130979700. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი არ ნარ-

მოადგენს სადავო ხელშეკრულების მხარეს, შესაბამისად სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით კიდეც რომ იყოს დარღვეული ხელშეკრულების რომელიმე მონაწილის უფლებები, იმის გათვალისწინებით, რომ ამით აპელანტის უფლებები არ შელახულა, მას ასეთი ხელშეკრულების გაბათილების მოთხოვნაზე არაულებამოსილ პირად აქცევეს. სასამართლომ, ასევე არაულებამოსილი პირის მოთხოვნად მიიჩნია სასამართლომ მოთხოვნა სადავო უძრავი ნივთის ერთადერთ კანონიერ მესაკუთრედ ბ. ბ-შვილის ცნობის ნაწილშიც, მთ უმეტეს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ამ უკანასკნელის მიერ მოსამართლის თვის მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილების მინიჭება.

20. ზემოხსენებული მოტივაციით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, ამდენად, არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებას გაუქმების საფუძველი.

21. სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება სააპელაციო საჩივრის იდენტურ პრეტენზიებზე დაყრდნობით (იხ. მე-12.1-მე-12.3 ქვეპუნქტები). კასატორი იმაზეც უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საკმარისად არ შეისწავლა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მსგავს დავებზე. ნოტარიუსი ვალდებულია, ნებისმიერი უფლებრივი შეზღუდვის შესახებ მიუთითოს დასამოწმებელ გარიგებაში და თუკი მხარეები ვერ თანხმდებან გარიგების პირობებზე, უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, რაც მხარეებს შესაძლებლობას მისცემს, იდავონ სასამართლოში (იხ. საკასაციო საჩივარი).

22. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განჩინებით საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის ნინაპირობების შესაძლებლობას მისცემს, იდავონ

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო განაცხადი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც იგი დაუშვებელია, შემდგი არგუმენტაციით:

23. სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: а) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

24. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

25. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკისაგან (იხ. სუსგ-ები №ას-182-171-2014, 16.06.2014.; №ას 1117-1051-2015, 20.01.2016.; ას-634-605-2016, 03.10.2016.).

26. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

27. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებიც რომ ყოფილიყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ნინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო, არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ბ) სსსკ-ის 407.2-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამარ-

თლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს ასეთი დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია.

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გამოკვლეული აქვს საქმის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება და დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინება იურიდიული კვალიფიკაციის თვალსაზრისითაც.

29. განსახილველ შემთხვევაში კასატორის ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ მოტყუებით არის დადებული სადაც ხელშეკრულებები, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით (იხ. ამ განჩინების მე-15-მე-19 პუნქტები), აღსანიშნავია, რომ კასატორმა არაკვლიფიციური და დაუსაბუთებელი პრეტენზია წარმოადგინა, რომელიც ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

30. ზემოხსენებული მოტივაციისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, საკასაციო განაცხადის დასაშვებად ცნობისათვის არ არსებობს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არცერთი წინაპირობა, რაც გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

31. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (იხ. ამონანერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ქ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. ნარმობადგენლობა გარიგებებში

#### გარიგების შედეგების აღრესაცი ნარმობადგენლობისას

##### განვითარება

№ას-798-763-2014

25 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

##### აღნერილობითი ნაწილი:

1. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-  
სპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ სარჩელი აღძრა სასამართლო-  
ში თ. ბ-ის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულებს თო-  
ბაზე შემდეგი დასაბუთებით:

2. თ. ბ-სა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამარ-  
თლო ექპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის, მოპასუხის №1003798113 განცხადების საფუძველზე, 2013 წლის 15 ივლისს  
დაიდო №2000653713 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც  
მოპასუხეს გაეწია სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიუ-  
ლი საექსპერტო მომსახურება ბრალდებულ გ. ბ-ის ფსიქიატრი-  
ული შემოწმების მიზნით. მოპასუხეს არ გადაუხდია შესაბამი-  
სი ტარიფით დადგენილი მომსახურების გადასახადი. ამასთან,  
მართალია ხელშეკრულება მოპასუხემ მოსარჩელესთან გაა-  
ფორმა, როგორც გ. ბ-ის ადვოკატმა, თუმცა გ. ბ-ის მიერ გაცე-  
მული რწმუნებულებით მოპასუხე უფლებამოსილი იყო დაცვა  
მარწმუნებლის ინტერესები მიმდინარე სისხლის სამართლის  
საქმეზე და რწმუნებულება მას არ ანიჭებდა სადაცო გარიგე-  
ბის დადების უფლებამოსილებას. ამდენად, მითითებული რწმუ-  
ნებულებით მოპასუხისათვის მინიჭებული უფლებამოსილების  
ფარგლები არ მოიცავს წარმოდგენილი პირის სახელით სამოქა-  
ლაქო-სამართლებრივი გარიგების (მოცემულ შემთხვევაში, წარ-  
დობის ხელშეკრულების) დადების შესაძლებლობას. შესაბამი-  
სად, მოსარჩელის აზრით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფ-

**ლება-მოვალეობები წარმოქმდა სწორედ მოპასუხეს.**

3. მოპასუხები სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მას, როგორც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებულის დამცველს, ევალებოდა გამოერიცხა, გაექარნცყლებინა ყველა ეჭვი ბრალდებულის ფიზიკური და ფინიციური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე ამ პირის ოჯახის წევრების მოთხოვნის საფუძველზე, მან, როგორც გ. ბ-ის წარმომადგენელმა, გააფორმა ხელშეკრულება მოსარჩელესთან.

4. ხელშეკრულების მიხედვით, მოპასუხეს არ გამოუვლენია ნება სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიული საექსპერტო მომსახურების განხორციელების თაობაზე. გ. ბ-ის ოჯახის წევრებმა ისე, რომ ექსპერტიზის დასკვნა მოპასუხეს არ გადასცემია, წინასწარ შეიტყვეს მისი შინაარსი და დაკარგეს ინტერესი, შესაბამისად, უარი განაცხადეს ხარჯების ანაზღაურებაზე. ამდენად, ვინაიდან თავად მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა ინფორმაციის გაცრცელებას, როს გამოც გალდებულმა პირებმა არ განახორციელეს შესრულება, მოპასუხეს არ შეიძლება მოეთხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ივნისის განჩინებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და თ. ბ-ს, როგორც გ. ბ-ის ადვოკატს შორის 2013 წლის 15 ივნისს დაიდო საექსპერტო მომსახურების შესახებ №2000653713 ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შემსრულებელს, ანუ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უნდა შეესრულებინა ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზის საექსპერტო ან სპეციალური სამუშაო, ხოლო დამკვეთი ვალდე-

ბული იყო საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებით დამტკიცებული ბიუროს მომსახურების ტარიფების შესაბამისად, გადაეხადა მომსახურების საფასური.

9. ხელშეკრულების დადებისას თ. ბ-ი მოქმედებდა, როგორც ბრალდებულ გ. ბ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი, რისი უფლებამოსილებაც მას მინიჭებული ჰქონდა კანონით დადგენილი წესით გაცემული ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის – ორდერის საფუძველზე.

10. საქმეში წარმოდგენილი ბრალდებულ გ. ბ-ის დამცველი ადვოკატის, თ. ბ-ის 2013 წლის 13 ივლისის განცხადების და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2013 წლის 21 აგვისტოს №003735913 ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატ თ. ბ-ის განცხადების საფუძველზე დაინიშნა და ჩატარდა ბრალდებულ გ. ბ-ის სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

11. პალატამ მიაჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და გ. ბ-ის ადვოკატ – თ. ბ-ს შორის გაფორმებული საექსპერტო მომსახურების შესახებ 2013 წლის 15 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებები და ვალდებულებები წარმოეშვა არა თ. ბ-ს, არამედ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს – გ. ბ-ს.

12. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილია ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადვოკატს ასევე არა აქვს უფლება, ბრალდებულის ხების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული არასრულნლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას.

13. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომლის თანახ-

მად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემული ნორმა განსაზღვრავს გარიგების შედეგების ადრესატს წარმომადგენლობისას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოებობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უმუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას.

15. სააპელაციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულებით და თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინებით დადგენილია, რომ საექსპერტო დაწესებულებასთან ხელშეკრულების გაფორმებისას ადვოკატი თ. ბ-ი მოქმედებდა ბრალდებულ გ. ბ-ის სახელით, მის ინტერესებში და სისხლის საპროცესო სამართლებრივ დაცვის ფარგლებში, რაც იმთავითვე ცნობილი იყო მოსამართლისათვის, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამკავეთის უფლებები და მოვალეობები წარმოეშვებოდა მხოლოდ წარმოდგენილ პირს – გ. ბ-ს.

16. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სსიპ „ლევან

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

18. კასატორის განცხადებით, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკასაციოსად დასაბუთებული. კერძოდ, განჩინების მე-4 პუნქტის ბოლო აპზაცში მითითებულია, რომ საექსპერტო დაწესებულებასთან ხელშეკრულების გაფორმებისას ადვოკატი თ. ბ-ი მოქმედებდა ბრალდებულ გ. ბ-ის სახელით, მის ინტერესებში და სისხლის საპროცესოსამართლებრივი დაცვის ფარგლებში, რაც იმთავითვე ცნობილი იყო კასატორისთვის. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამკვეთის უფლებები და მოვალეობები წარმოეშვება მხოლოდ წარმოდგენილ პირს – გ. ბ-ს. მითითებული დებულება არსებითად ენინააღმდეგება საქმეში არსებულ მასალას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმის მოთხოვნებს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის განჩინება №ას-127-124-2011).

19. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის, ასევე სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული 2013 წლის 15 ივლისის ხელშეკრულების დამკვეთ მხარედ არასწორად მიიჩნია თ. ბ-ის დაცვის ქვეშ მყოფი გ. ბ-ი.

20. საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 15 ივლისის №2000653713 ხელშეკრულებაში საექსპერტო მომსახურების შესახებ, არსად არის მითითებული, რომ ხელშეკრულების მხარე იყო გ. ბ-ი. ხელშეკრულება გაფორმდა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსა და გ. ბ-ის ადვოკატ თ. ბ-ს შორის, რომელსაც ორდერით ევალებოდა ბრალდებულ გ. ბ-ის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა გამოძიების ორგანოებში და ყველა ინსტანციის სასამართლოში. ხელშეკრულების გაფორმებისას თ. ბ-ს არ წარმოუდგენია რწმუნებულება, რომელიც მას მიანიჭებდა უფლებამოსილებას გაეფორმებინა სამოქალაქო გარიგება გ. ბ-ის სახელით. თვით ხელშეკრულებაში არსად არის მითითება იმის თაობაზე, რომ თ. ბ-ი მოქმედებდა სხვა პირის სახელით. აღნიშნულის თაობაზე არაორაზროვ-

ნად უნდა ყოფილიყო ასახული ხელშეკრულებაში.

21. კასატორის განცხადებით, ვალდებულებითი ურთიერთობები წარმოიშვა, ერთის მხრივ, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და, მეორეს მხრივ, თ. ბ-ს შორის. მოცემულ შემთხვევაში. თ. ბ-ს გააჩნია სამართალსუბიექტობა, ანუ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართ წარმოშობილ ურთიერთობებში უფლებაუნარიანობა, ქმედუნარიანობა და დელიქტუნარიანობა.

22. საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოებობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. ამდენად, მისი აზრით, იმისათვის, რომ სადავო ხელშეკრულებით უფლება-მოვალეობები წარმოებას გ. ბ-ს, თ. ბ-ს ხელშეკრულება დადებული უნდა ჰქონდეს თავისი, როგორც წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში. ხელშეკრულება, რომელიც იყო გაფორმებული საექსპერტო დაწესებულებასა და თ. ბ-ს შორის, თ. ბ-ს არ დაუდია, როგორც წარმომადგენელს სამოქალაქო გარიგებაში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რადგან მას ექსპერტიზის ბიუროსათვის არ წარუდგენია მინდობილობა, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ იგი უფლებამოსილი იყო გ. ბ-ის სახელით დაედო სამოქალაქო გარიგება (წარდობის ხელშეკრულება). ხოლო საქმეში არსებული ორდერი ადასტურებდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ თ. ბ-ი მოქმედებდა საგამოძიებო ორგანოებში და სასამართლო ორგანოებში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გ. ბ-ის, როგორც ბრალდებული მხარის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

23. მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს არ ჰქონდა საფუძველი ევარაუდა თ. ბ-ის წარმომადგენლობის შესახებ სამოქალაქო გარიგების დადებისას, რამაც წარმოშვა სანარდო ვალდებულებითი ურთიერთობები უშუალოდ თ. ბ-ის მიმართ, ვინაიდან როგორც წესი სისხლის სამართლის საქმეზე მონაწილე ადვოკატებს არ გააჩნიათ დასაცავი პირის სახელით სამოქალაქო გარიგებების დადების უფლებამოსილება და ასეთი უნდა მიეთითოს სპეციალურ მინდობილობაში, რაც თ. ბ-ის მიერ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, ბიუროსთვის არ ყოფილა სულ ერთი თუ გისთან გააფორმებდა ხელშეკრულებას.

24. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს

განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. შესაბამისად, საკასაციო საჩივარი დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ივლისს განჩინებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ივნისის განჩინებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

27. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

28. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეში უდავოდ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ 2013 წლის 15 ივლისის საექსპერტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება დაიდო, ერთის მხრივ, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა“ და, მეორეს მხრივ, გ. ბ-ის ადვოკატი, თ. ბ-ს შორის. უდავოდ დადგენილია ასევე, რომ ხელშეკრულების ხელმოწერისას თ. ბ-ი მოქმედებდა, როგორც ბრალდებული გ. ბ-ის ადვოკატი. ხელშეკრულების საგანი იყო ბრალდებული გ. ბ-ის ფსიქიატრიული შემოწმება, რომელიც ჩატარდა გ. ბ-ის მონაწილეობით – სტაციონარში გამოცხადებით.

29. აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორს არ წარმოუდენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, ეს გარემოებები დამტკიცებულად ითვლება საკასაციო სასამართლოსთვის.

30. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მი-

თითებას, რომ ადვოკატმა თ. ბ-მა ხელშეკრულება ბიუროსთან დადო საკუთარი სახელით. საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ხელშეკრულებას ხელს აწერს, როგორც გ. ბ-ის ადვოკატი. საკუთარი სახელით ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, სავსებით საქმარისი იქნებოდა თ. ბ-ის მიერ მხოლოდ საკუთარი სახელისა და გვარის მითითება და საჭიროებას არ წარმოადგენდა იმის აღნიშვნა, რომ იგი არის გ. ბ-ის ადვოკატი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულზე მითითებით თ. ბ-მა დაადასტურა თავისი განზრახვა, რომ ხელშეკრულება დადო, როგორც გ. ბ-ის ადვოკატმა, გ. ბ-ის, როგორც მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის, სახელით.

31. თუმცა იმისათვის, რომ დადგინდეს აღნიშნული გარიგებით უფლება-მოვალეობები წარმოეშვა თუ არა გ. ბ-ს, სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, აუცილებელია შეფასდეს მარწმუნებლის სახელით გარიგების დადებისას მოქმედებდა თუ არა წარმომადგენელი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

32. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის შინაარსიდან არ გამომდინარებს სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ადვოკატის უფლებამოსილება ბრალდებულის სახელით დადოს სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებები. სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების დადების უფლებამოსილება პირდაპირ უნდა იყოს მითითებული ადვოკატის რწმუნებულებაში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოში წარმომადგენლობა თავისთავად არ გულისხმობს სამოქალაქო გარიგებების დადების უფლებამოსილებას, თუნდაც ეს პირდაპირ დაკავშირებული იყოს სასამართლოში მარწმუნებლის უფლებების დაცვასთან.

33. აღნიშნულს არ გულისხმობს არც „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლი, რომლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განევას,

რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

34. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „იმისდა მიუხედავად, თუ რომელი დოკუმენტის (მინდობილობისა თუ ორდერის) საფუძველზე ახორციელებს ადვოკატი წარმომადგენლობას, ყველა შემთხვევაში, კონკრეტული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადების უფლებამოსილება მას გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მარნმუხებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში პირდაპირა აღნიშნული ასეთი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ (იხ. სუსგ №ას-127-124-2011, 5 სექტემბერი, 2012 წელი).

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ადვოკატი თ. ბ-ი 2013 წლის 15 ივლისის №2000653713 ხელშეკრულების დადებისას არ მოქმედებდა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში (მას ასეთი უფლებამოსილება არ წარმოუდგენია), მიუხედავად იმისა, რომ მან ბიუროს მიუთითა საკუთარ წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე და ხელშეკრულება დადო, რომრც ბრალდებული გ. ბ-ის ადვოკატმა.

36. თუმცა, იმ საკითხის განსაზღვრისათვის, წარმოეშვა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულებით უფლება-მოვალეობები გ. ბ-ს, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის შინაარსზე, რომლის მიხედვით, თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე, რაც, საკასაციო სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, რადგან სააპელაციო სასამართლის მიერ დადგენილია, რომ ბრალდებულ გ. ბ-ს ჩაუტარდა სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. აღნიშნული კი ვერ განხორციელდებოდა მისი თანხმობისა და მონაწილეობის გარეშე. ამრიგად, გ. ბ-მა საკუთარი მოქმედებით, კერძოდ, სტაციონარში გამოცხადებითა და სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობით, თანხმობა გამოხატა ბიუროსთან დადებულ 2013 წლის ხელშეკრულებაზე, რითაც დაადასტურა აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობა.

37. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ 2013 წლის 15 ივლისის №2000653713 ხელშეკრულებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ წინაშე უფლება-მოვალეობები წარმოეშვა ბრალდებულ გ. ბ-ს და

არა მის ადვოკატ თ. ბ-ს.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაზილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ივნისის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საქართველოს გარიგების დაფინანსირების სამსახურის

## განცილება

№ას-946-911-2016

20 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოთლეუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** გარიგებების პათილად ცნობა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ფ. ი-ი (შემდეგში: პირველი პარტნიორი ან პირველი დირექტორი) 2014 წლის 16 მაისს რეგისტრირებული შპს „ი. ჯ-ს“ (შემდეგში: მოსარჩევე, აპელაციი, მოწინააღმდეგე მხარე, საზოგადოება ან პირველი კომპანია) 100 % წილის მესაკუთრე იყო {„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და 44-ე მუხლები}.

2. 2014 წლის 7 ივლისს მან, კომპანიაში მისი 100% წილიდან, 50% უსასყიდლოდ დაუთმო მ. ქ-ს (შემდეგში: პირველი მოპასუხე, მეორე დირექტორი ან მეორე პარტნიორი), რომელიც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების დირექტორადაც დაინიშნა. შესაბამისად, ორივე დირექტორი საზოგადოების 50-50%-იანი წილის მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ (07.07.2014 წლის კრების ოქმი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.3-ე მუხლი).

3. მოსარჩელის (კომპანიის) სახელზე 2014 წლის 6 აგვისტოდან 2014 წლის 18 აგვისტომდე, საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ორი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება შემდეგი რეკვიზიტებით: მარკა, მოდელი STRALIS 500, საიდენტიფიკაციო ნომერი ..... , სანომრე ნიშნით – ..., სარეგისტრაციო – .... (შემდეგში: პირველი სატრანსპორტო საშუალება) და მარკა, მოდელი T 3-001, საიდენტიფიკაციო ნომერი....., სანომრე ნიშნით – ..., სარეგისტრაციო მოწმობით – AL ..... SS.... (შემდეგში: მეორე სატრანსპორტო საშუალება).

4. 2014 წლის 18 აგვისტოს, მეორე დირექტორმა, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელმა, კომპანიის საკუთრებაში არ-

სებული წინამდებარე განჩინების პ.3-ში მითითებული სატრანსპორტო საშუალებები საკუთარ თავზე გაასხვისა (იხ. №03124035 და №03124043 ერთობლივი განცხადებები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 477-ე მუხლი).

5. 2014 წლის 21 აგვისტოს მეორე პარტნიორი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა. მან კომპანიაში კუთვნილი წილი პირველ პარტნიორს უსასყიდლოდ უკან დაუბრუნა (2014 წლის 21 აგვისტოს კრების ოქმი).

6. 2014 წლის 27 აგვისტოს პირველმა მოპასუხემ წინამდებარე განჩინების პ. 3-ში მითითებული სატრანსპორტო საშუალებები საკუთრებაში გადასცა შპს „ვ. ლ-ს“ (შემდეგში: მეორე მოპასუხემ, მეორე კომპანია, მონინააღმდეგე მხარე ან კასატორი), რომლის 100%-იანი წილის მესაკუთრე და საზოგადოების დირექტორიც თვითონ იყო.

7. 2014 წლის 15 სექტემბერს, მოსარჩევემ (პირველი კომპანია) სარჩელი აღდრა მოპასუხების წინააღმდეგ 2014 წლის 18 აგვისტოსა და 27 აგვისტოს გარიგებების ბათილად ცნობისა და სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების უკანონო მფლობელობიდან გამოთხვის მოთხოვნით.

8. პირველმა მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მისი შესაგებელი დასაბუთებულია იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ზემოაღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა თავის დროზე მისი და არა მოსარჩელის, სახსრებით მოხდა. მან ამ უკანასკნელს 20 000 აშშ დოლარი და 12700 ევრო გადაურიცხა. შეძენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები მოსარჩელემ თავის სახელზე გაიფორმა, მაგრამ არ დაუბრუნა გადარიცხული თანხები. ამიტომ, ვალის სანაცვლოდ, მან საკუთრებაში გადაიფორმა სადაც ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსახლესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 316-ე, 50-ე, 103-ე მუხლები და მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები.

10. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით, იმ საფუძლით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტები სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რასაც შედეგად სარჩელის უარყოფა მოჰყვა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივ-

ლისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილ-და; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2015 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილ-და; ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 18 აგვისტოს ერთობლი-ვი განცხადება №03124035 და 2014 წლის 18 აგვისტოს ერთობლი-ვი განცხადება №03124043, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 27 აგვისტოს ერთობლივი განცხადება; მეორე მოპა-სუხის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალე-ბები მოსარჩელეს საკუთრებასა და მფლობელობაში დაუბრუნ-და.

11.1. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის საკუთრე-ბაში არსებული სადავო მექანიკური სატრანსპორტო საშუალე-ბების პირველი მოპასუხის სახელზე გასხვისების დროისათვის, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა პირველი კომპანიის დირექ-ტორს და 50%-იანი წილის მფლობელს. სადავო გარიგებებს ხელს აწერს პირველი მოპასუხე, როგორც გამსხვისებელი და იმავ-დროულად, როგორც შემძენი, ასევე, დადგინდა, რომ სადავო სატრანსპორტო საშუალებები 2014 წლის 27 აგვისტოდან სა-კუთრებაში გადაეცა ერთი პირის, პირველი მოპასუხის მიერ და-ფუძნებულ შპს-ს (მეორე კომპანია).

11.2. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემ-თხვევაში სახეზე იყო სსკ-ის 114-ე მუხლით გათვალისწინებუ-ლი სამართლებრივი წინაპირობები, ვინაიდან მეორე პარტნი-ორმა, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელმა (დირექტორ-მა) საკუთარ თავთან, როგორც ფიზიკურ პირთან დადო ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ნასყიდობის ხელშეკრულებე-ბი, შესაბამისად, აღნიშნული გარიგებები ბათილია. ამასთან, პა-ლატამ მიუთითა, რომ სახეზე არ იყო საგამონაკლისო შემთხვე-ვა – კერძოდ, რაიმე ვალდებულების არსებობა, რომლის შესას-რულებლადაც დაიდო ეს გარიგებები.

11.3. სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 54-ე, 115-ე, 114-ე და 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ კვეპუნქტი.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასა-ჩივრა მოპასუხე კომპანიამ, მისი გაუქმებისა და სარჩელის უარ-ყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

12.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ის გა-რემოებები, რომ პირველი პარტნიორის მიერ 50%-იანი წილის ე.ნ. უსასყიდლოდ დათმობა მეორე პარტნიორისათვის და შემ-დეგ პირიქით, ამ უკანასკნელის მიერ ასევე უსასყიდლოდ პირ-

ველი პარტნიორისათვის დაბრუნება, წარმოადგენდა მოჩვენებით გარიგებებს. რეალურად ადგილი ჰქონდა წილის სასყიდლი-ან გადაცემას, რაც გამოიხატა იმაში, რომ მეორე პარტნიორმა წინასწარ ზეპირი შეთანხმებით გადასცა პირველ პარტნიორს სადაც სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად საჭირო თანხები, რომელებიც შეძენილ იქნა საზღვარგარეთ საწარმოს სახელით და შემდეგ, ვინაიდან პირველმა პარტნიორმა ვერ შეძლო თავის მხრივ, საჭირო სახსრების დაბანდება საწარმოში, მეორე პარტნიორმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადაიფორმა მისივე სახსრებით შეძენილი სატრანსპორტო საშუალებები, რის შემდეგაც, მან 2014 წლის 21 აგვისტოს ასევე უსასყიდლოდ დაუბრუნა პირველ პარტნიორს საწარმოს 50%-იანი წილი;

12.2. მხარეთა შორის ადგილი ჰქონდა სხვა გარიგების დასაფარად დადებულ გარიგებებს, შესაბამისად სააპელაციო პალატას დაფარული გარიგების წესებით (სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილი) უნდა ეხელმძღვანელა;

12.3. სსკ-ის 114-ე მუხლის სააპელაციო სასამართლოსული განმარტება, რომელსაც პალატამ სრულად დააფუძნა გადაწყვეტილება, არასწორია, როცა დაასკვნა, რომ მეორე პარტნიორს, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელ დირექტორს არ შეეძლო დაედო გარიგება საკუთარ თავთან, როგორც ფიზიკურ პირთან. აღნიშნული ნორმის გამოყენებისას სასამართლომ საჭირო სამართლებრივი შეფასება არ მისცა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ საწარმოს პარტნიორთა შორის წილის გასხვისება უშუალო კავშირში იყო სადაც სატრანსპორტო საშუალებების გასხვისებასთან.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

14. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ იგი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს და დაუშვებელია შემდეგი გარემოებების გამო:

15. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერ-

თგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;  
ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავ-  
დება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასა-  
მართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშ-  
ვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსე-  
ბითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

(დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე და-  
უსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გა-  
დაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. აღნიშნუ-  
ლი ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკა-  
საციონ საჩივრი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

16. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი  
საკასაციო საჩივრი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით  
გათვალისწინებული არცერთი საფუძვლით.

17. ამასთან, საკასაციო საჩივრი დასაშვები რომც ყოფილი-  
ყო, მას არა აქვს წარმატების პერსპექტივა, სახელდობრ:

17.1. სსსკ-ის 407.2-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასა-  
მართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარე-  
მოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ  
წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენ-  
ზია. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ  
პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სა-  
აპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რა-  
მაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფა-  
სება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწო-  
რად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩ-  
ნებს, რომ კასატორს, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგე-  
ნილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, არ წარმოუდ-  
გნია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. საკასაციო საჩივრი არ არის დასაშვები არც იმ საფუძ-  
ვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდე-  
ბა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამარ-  
თლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან (შდრ. სუსგ-ები: №ას-  
1179-1440-09, 27.04.2010; №ას-1655-1552-2012, 08.11.2013).

19. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამარ-  
თლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, საკასაციო პალა-  
ტას საჭიროდ მიაჩინა გადაწყვეტილებაში გაკეთებულ დას-  
კვნებთან მიმართებით დამატებით განმარტოს შემდეგი:

19.1. სსსკ-ის 114-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შე-  
ხედვით, ის იმპერატიულ დათქმას შეიცავს („წარმომადგენელს

არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება“), არა გარიგების უცილოდ ბათილობას, როგორც ეს პალატამ სსკ-ის 54-ე მუხლზე დაყრდნობით დასკვნა, არამედ მერყევად ბათილობას იწვევს, მსგავსად სსკ-ის 111-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა (გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე). კანონით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებების განკარგვას ნამდვილად აქცევდა, კასატორმა ვერ დაამტკიცა.

19.2. შესაბამისად, უდავოა, რომ პირველ კომპანიას (მოსარჩელე) კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების განკარვაზე კასატორისათვის თანხმობა არც წინასწარ და არც შემდგომ არ მიუკია {სსკ-ის 100-ე-101-ე მუხლები}. სადაც გარიგება არც სხვა გარიგებით არსებული ვალდებულების შესრულებას ემსახურებოდა.

19.3. ამრიგად, კასატორმა სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის (მოსარჩელის) თანხმობის გარეშე განკარგვით ხელყო ამ უკანასკნელის საკუთრება (სამართლებრივი სიკეთე). შესაბამისად, ის ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი (სსკ-ის 982.1-ე მუხლი) და სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე განკარგული საგნები საკუთრების უფლებასთან ერთად მოსარჩელეს უკან დაუბრუნოს („იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა ალადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“);

19.4. საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზია, რომ სადაც გარიგებებით დაიფარა სხვა გარიგება და ამიტომ, სააპელაციო პალატას სსკ-ის 56-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესებით უნდა ეხელდლვანელა. კასატორმა ვერ წარუდგინა სასამართლოს ამ გარემოების დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულებები. ამ დავის ფარგლებში მოსარჩელის მიერ კასატორის კუთვნილი სახსრებით სატრანსპორტო საშუალებების შეძენის დადგენილად მიჩნევის შემთხვევაშიც, სარჩელის უარყოფის საფუძველი მაინც არ იარსებებდა. აღნიშნული გარემოება, სხვა ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელებისას, შესაძლოა კასატორს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოსარჩელისათვის მოთხოვნის წაყენების უფლებას ანიჭებდეს;

20. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი საკასაციო

საჩივრის დასაშვებობის წინაპირობაც, რომლის მიხედვითაც, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

21. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არსებითად სწორია. რადგანაც კასატორმა ვერ დაძლია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება დამაჯერებელი და სარწმუნო მტკიცებულებებით, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის კანონისმიერი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 284-ე, 285-ე, 391-ე, 401-ე, 408.3-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ვ. ლ-ს“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. შპს „ვ. ლ-ს“ (ს/კ ....) დაუბრუნდეს ქ. მ-ის (პ/ნ ....) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (საგადახდო დავალება №1), გადახდის თარიღი: 22.10.2016 სს „საქართველოს ბანკი“, 2875 ლარის 70% – 2012,5 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. სანდაზმულობა

### სანდაზმულობის შეცვალა სარჩელის შეტაცით სანდაზმულობის ვალის დაცის დაწყების ათვზა თავიდან

#### განხილვა

№ას-196-187-2016

12 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთუ-  
ლი ქონების რეალიზაცია

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2008 წლის 5 დეკემბერს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრუ-  
ლების (შემდეგში: ხელშეკრულება) საფუძველზე პ. გ-მ (შემ-  
დეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, გამსესხებელი ან იპო-  
თეკარი) გ. უ-ს (შემდეგში: პირველი მოპასუხე, მოვალე ან მსეს-  
ხებელი) 3 თვით ასესხა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი {საქარ-  
თველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 623-ე მუხ-  
ლი}.

2. მსესხებელი ვალდებული იყო სესხისათვის გადაეხადა  
პროცენტი (სარგებელი) თვეში 6%. ძირითადი თანხის ან საპ-  
როცენტო სარგებლის დროულად გადაუხდელობის შემთხვევა-  
ში, მისი ვალდებულება იყო გადაეხადა პირგასამტებლო გადა-  
უხდელი თანხის 0.3%, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათ-  
ვის {სსკ-ის 625-ე, 417-ე 418-ე მუხლები}.

3. სესხის, პროცენტებისა და პირგასამტებლოს უზრუნველ-  
ყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა ე. ვ-ის (შემდეგში: მეორე  
მოპასუხე ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე) საკუთრებაში არსე-  
ბული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ..... (ამჟამად .... ქუჩა,  
№15 კორპუსი, საკადასტრო კოდი ..... (შემდეგში: უძრავი ქონე-  
ბა) {სსკ-ის 289-ე მუხლის პირველი ნაწილი და 311<sup>1</sup>-ე მუხლი}.

4. მსესხებელმა ვალდებულება დაარღვია, მან არ დააბრუნა  
სესხი და არ გადაიხადა ორი თვის პროცენტი.

5. შპს „ი. პ-ს“ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (შემდეგში: არბიტრაჟი) 2010 წლის 15 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით (შემდეგში: საარბიტრაჟო გადაწყვეტილება) მოვალეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 აშშ დოლარის, 2009 წლის 6 მარტიდან გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე პირგასამტებლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 30 აშშ დოლარის და მოსარჩელის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 490 ლარის გადახდა.

6. იმავე გადაწყვეტილებით დადგინდა იპოთეკის საგნის, უძრავი ნივთის, იძულებითი აუქციონის გზით რეალიზაცია {სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები}.

7. 2013 წლის 20 ივნისს მეორე მოპასუხემ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

8. 2013 წლის 18 ივლისის განჩინებით, მეორე მოპასუხის საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა არბიტრაჟის გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად დაედო ის გარემობა, რომ არბიტრაჟი არ იყო უფლებამოსილი განეხილა ხსენებული დავა, რადგანაც არ არსებობდა კანონმდებლობით დადგენილი წესით დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ ნამდვილი შეთანხმება {გარიგების დადების დროისათვის მოქმედი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი}.

9. 2014 წლის 20 იანვარს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხების წინააღმდეგ და მოითხოვა პირველი მოპასუხისათვის 10 000 აშშ დოლარის, საპროცენტო სარგებლის 1200 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს 3800 აშშ დოლარის დაკისრება, ასევე იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებითი რეალიზაცია.

10. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს ხანდაზმულობის (მოთხოვნის განხორციელების ხელშემშლელი) შესაგებელი და მიუთითეს, რომ მოთხოვნა არ არის განხორციელებადი, რადგანაც მოსარჩელემ გაუშვა უფლების სასამართლოს მეშვეობით რეალიზაციის კანონით დადგენილი ვადა. მას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2009 წლის 5 მარტს, ხოლო სასამართლოს სარჩელით 2014 წლის 20 იანვარს, სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა {სსკ-ის 128-ე, 129-ე და 144.1-ე მუხლები}.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 128-ე, 129-ე, 130-ე, 138-ე, 139-ე, 140-ე, 144-ე მუხლები.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით, შემდეგი საფუძვლებით:

12.1. სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რადგანაც სამნლიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე, აღნიშნული დავა განხილულ იქნა არბიტრაჟის მიერ, რომლის გადაწყვეტილებითაც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა;

12.2. არბიტრაჟის გადაწყვეტილების ცნობისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემისათვის სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვის ვადა შეუზღუდავია;

12.3. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევამ, თუნდაც სარჩელის წარმოებაში მიღება-არმილების საკითხთან დაკავშირებით, არ შეიძლება უფლებამოსილ პირს მოუსპოს კანონიერი გზით მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა;

12.4. გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელის აღძვრა პირველი ინსტანციის სასამართლოში განხორციელდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებიდან 6 თვის ვადაში, სსკ-ის 140-ე მუხლის შე-2 ნაწილის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან და შესაბამისად, მოთხოვნა ხანდაზმული არ არის.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინებით აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება. სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასებები.

14. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით. საჩივარს კასატორი აფუძნებს წინამდებარე განჩინების პ.13-ში აღნიშნულ გარემოებებზე და დამატებით მიუთითებს იმაზე, რომ გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება დადგენილ სასამართლო პრაქტიკას (საქმე №ას 1586-1489-2012, 22.04.2013).

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძ-

ველზე ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილ-ველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, ასევე მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

17. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონტებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება);

18. კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ ისე გაიზიარა მოპასუხის შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, რომ არ მიიღო მხედველობაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით წყდება ხანდაზმულობის ვადა: „სამოქალაქო სარჩელის განხილვისათვის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს როგორც სასამართლო, ისე ერთმ არბიტრაჟი მხარეთა მიერ ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში. მართალია, სამართალწარმოება საქართველოში ხორციელდება საერთო სასამართლოების მეშვეობით, მაგრამ სახელმწიფო „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის შემოღებით უზრუნველყოფს სამართალწარმოების ალტერნატიულ საშუალებას. ამავე დროს, სასამართლო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი ერთ-ერთი შტო, უფლებამოსილია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გადასინჯოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და შეამონტოს პირის უფლების ხელყოფის ფარგლები. საკითხის სადაცობა, ვარგისია თუ არა ერთ-ერთი მხარის მიერ გამოხატული ნება საარბიტრაჟო განხილვისათვის, არ შეიძლება შეფას-

დეს იმგვარად, რომ არბიტრაჟი არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლების დაცვისათვის კომპეტენტურ ორგანოს, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელი განხილულია არბიტრაჟის მიერ და არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სადაცობა წარმოადგენს სასამართლოში დამოუკიდებელი განხილვის საგანს. მასთან დამოკიდებული გარემოებების შეფასება მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას. ასეთი სახის პრეტენზიის არსებობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ვერ გახდება არბიტრაჟის არაკომპეტენტურობის ფალსახად დადგენის საფუძველი. ასეთი დასკვნის საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე გამოტანის შეუძლებლობა კი გამორიცხავს სარჩელის განხილვისათვის არბიტრაჟის არაკომპეტეტურ თრგანოდ მიჩნევას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შენყვეტას უკავშირებს სარჩელის შეტანას. სარჩელის განხილვისათვის კი, როგორც ალინიშნა, კომპეტენტური შეიძლება იყოს როგორც სასამართლო, ასევე კერძო არბიტრაჟი“. სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე, 138-ე მუხლებზე დაყრდნობით უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით შეწყდა შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, სასამართლოს გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო განხილვის შედეგის ბათილობა კი წარმოადგენდა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა ათვლის საფუძველს (№ას-1728-1710-2011, 23 იანვარი, 2012 წელი).

19. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორმა არბიტრაჟს მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში მიმართა. მის სასარგებლოდ მიღებული 2010 წლის 15 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2013 წლის 18 ივლისს, 2014 წლის 20 იანვარს კი კასატორმა მოპასუხების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი წარადგინა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგანაც ის არ შეესაბამება სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი წინადადებას: „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად“, და 139-ე მუხლის პირველი წარილი: „ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი

გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება". შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა მიეღო მხედველობაში შეწყვეტამდე განვლილი დრო და სამნლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაეწყო თავიდან, ანუ 2013 წლის 18 ივლისიდან {სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ხანილი და 141-ე მუხლი}.

20. ამასთან, საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს შემდეგ ზე: მოთხოვნის განხორციელებადობა (ხანდაზმულობა), მოთხოვნის წარმოშობისა და მისი გამომრიცხავი გარემოების შემოწმების შემდეგ უნდა იქნას განხილული. შესაბამისად, თუ მოთხოვნა არ წარმოშობილა, ან შემდგომში შეწყდა, სწორედ ამ საფუძვლით, და არა ხანდაზმულობით, უნდა იქნას უარყოფილი სარჩელი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ისე იმსჯელა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რომ სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა მოთხოვნის წარმოშობის კანონით დადგენილი სამართლებრივი წანამდლორები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 623-ე, 625-ე, 417-418-ე, 289.1-ე და 301.1-ე მუხლებით.

21. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, არ დააბრუნოს საქმე ხელახლა განსახილველად და თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებას. სსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საპატარიაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (394-ე „ე“ პუნქტი).

22. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 399-ე,

53.4-ე, 408-ე და 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ბ. გ-ს საკასაციონ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სახელშეკრულებო მოთხოვენათა ხადაზმულობის ვადა**

### **ვალდებული პირის უფლება ხადაზმულობის ვადის გასვლისას**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელი**

№ას-431-414-2016

8 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:

1.1. გ. ბ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხა-  
რე ან მარწმუნებელი) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ჩ-ას  
(შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან რწმუნებუ-  
ლი) მიმართ მოპასუხისათვის 53 746 ევროს დაკისრების მოთ-  
ხოვნით (იხ. დაზუსტებული მოთხოვნა, თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს 07.05.2015წ. სხდომის ოქმი, 14:41:37 სთ).

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ გარემოებებს: 2010 წლის 16 ივნისს წინასწარი შეთანხმებისა და ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელემ მოპასუხეს გადაურიცხა 30 000 ევ-რო ავტომანქანების გამოსაგზავნად. ეს გალღებულება მოპასუხეს პერიოდულად უნდა შეესრულებინა, ხოლო შესრულების ბოლო ვადა არ იყო განსაზღვრული. მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, 2010 წლის 12 დეკემბრამდე დაებრუნებინა 40 000 ევ-რო ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახით. 2010 წლის 18 ნოემბერს, 5 თვის ვადით – 2011 წლის 30 მაისის ჩათვლით, მოპასუხემ მოსარჩელისაგან ისესხა 6 250 ევრო ყოველთვიურად 8%-იანი სარგებლის დარიცხვით (დასაბრუნებელი თანხის ოდენობა შეადგენდა 8 746 ევროს) და მსესხებელს არც ეს ვალდებულება შეუსრულებია. მოპასუხეს მართლაც ჩამოჰყავდა მანქანები, მაგრამ მათ რეალიზაციას ახდენდა მოსარჩელისაგან დაფარულად, რის გამოც მათ შორის ჩამოყალიბდა უნდობლობა. მოპასუხე თავს იმართლებდა იმით, რომ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მესამე პირის – ტ. ...ის სახელით ცნობილი ვ. ხ-ის ბრალით, რომელთანაც მოსარჩელეს კავშირი არ ჰქონდა და მათ შორის რამე ურთიერთობა არ წარმოშობილა. ამის გამო, მოსარჩელე იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო გერმანიაში, თუმცა არც ამსა მოჰყოლია შედეგი. მგზავრობის დანახარჯებმა შეადგინა 5 000 ევრო. მოპასუხემ გააფორმა ვალის აღიარების ხელწერილები 2011 წლის 16 აპრილს, რითაც დაადასტურა მოსარჩელის მიმართ ვალის არსებობა. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მან მოსარჩელეს მიაყენა ქონებრივი ზიანი.

## 2. მოპასუხის პოზიცია:

რის შესრულება, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 18 ნოემბერს მოსარჩევემ მას 6 250 ევრო გადასცა თვეეში 8%-ის დარიცხვით. შესაგებლით სადავოდაა გამხდარი გერმანიაში ვიზიტის ხარჯების სახით 5 000 ევროს დაკისრება იმ დასაბუთებით, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა, გარდა აღნიშნულისა, მოპასუხებ მიუთითა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის 23 746 ევროს დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე, 2015 წლის 26 თებერვლის, 2015 წლის 7 მაისისა და 2015 წლის 9 ივნისის საოქმო განჩინებები სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხებ, მოითხოვა მათი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძ-

ნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის შემდგომი ნაწილები გვთავაზობენ იმ გარემოებათა ჩამონათვალს, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, რომელთა შორისაა სამართლის ნორმის არასწორი გამოყენება და/ან არასწორი განმარტება, ასევე, მტკიცების საგანში შემვალი გარემოებების საპროცესო ნორმათა დარღვევით დადგენა (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები). საკასაციო საჩივრის შესწავლით დასტურდება, რომ კასატორი სადაცოდ ხდის ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას, როგორც მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი (სახელშეკრულებო) ურთიერთობის წარმოშობის, ისე – ხანდაზმულობის საკითხის არასწორად დადგენის მოტივით. იმის შესამომებლად, თუ რამდენად დასაშვები შედავება იქნა წარმოდგენილი კასატორის მხრიდან, პალატა უურადლებას გაამახვილებს წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

1.1.1. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მოსარჩევემ მოპასუხეს გერმანიაში ავტომობილის შესაძენად გადასცა 30 000 ევრო;

1.1.2. მოპასუხეს ვალდებულება არ შეუსრულებია და არც თანხა დაუბრუნებია მოსარჩელისათვის.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად მიჩნეულ ზემოაღნიშნულ გარემოებებს საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია, რამდენადაც კასატორს ამ გარემოებათა თაობაზე დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია.

1.3. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ თანხის გადაცემის ფაქტი დასტურდება მტკიცებულებათა ერთობლიობით. ქვემდგომა სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი სს „ს-ის“ გამავალი სავალუტო საგადახდო დავალება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელემ 2010 წლის 16 ივლისს მაინის ფრანკფურტში გადარიცხა 30 000 ევრო. მართალია, ამ დოკუმენტში მითითებული რეკვიზიტები (მიმღებად მითითებულია შპს „...“, გამყიდველის ანგარიში: „მომხმარებელი .../ტ. ... 14/07/2010წ. ობერაცია 555/მერსედეს ბენც ს500 4 მატიკლ საიდენტ. ნომერი ... ა. ჩ-ა“; დამატებითი ინფორმაცია: „გადახდა ა. ჩ-ასათვის/მერსედეს ბენც ს500 4 მატიკლ/საიდენტ. ნომერი ...“)

უტყუარად არ ადგენენ კასატორის მიერ თანხის მიღების ფაქტს, თუმცა, მას ლირებულებითი მნიშვნელობა გააჩნია მოსარჩელის მიერ წარმოდგენლ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასებისას, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია კასატორის მიერ ხელმოწერილი 2011 წლის 16 აპრილის ხელწერილი, რომლის შინაარსიდანაც ირკვევა ხელწერილის შემდგენი პირის მიერ იმ ფაქტის დადასტურება, რომ გერმანიაში ყოფინის პერიოდში, 2010 წლის 16 ივლისს, მან მოსარჩელისაგან მიიღო 30 000 ევრო. საქალაქო სასამართლოს სხდომაზე (იხ. 26.02.2015წ. სხდომის ოქმი, 11:54:53 სთ.) მოპასუხებ აღიარა ამ ხელწერილზე მისი ხელმოწერის ნამდვილობა, რაც სწორად შეფასდა საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებულ იმგვარ აღიარებად, რომელსაც სასამართლო შეიძლება დაემყაროს გადაწყვეტილების გამოტანისას, ხოლო ამ აღიარების უარყოფა, კანონით დადგენილი წესით (სსსკ-ის 133.1-ე მუხლი), არ განუხორციელებია თანხის მიმღებს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსათვის სარწმუნოა ქვემდგომი სასამართლოს შეფასებები და დასკვნები, როგორც ზემოხსენებული მტკიცებულებების, ისე – მოპასუხის მიერ ხელწერილით თანხის მიღების ფაქტის აღიარების იურიდიული ძალის შესახებ.

1.4. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სს „ს-ის“ მიერ გაცემული დოკუმენტიდან, ისე – მოპასუხის განმარტებებიდან გამომდინარე (თანხის გადარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტში ინდვიდუალურად განსაზღვრული ავტომობილი ჩამოიყვანა, რომელიც გადაფორმდა მოსარჩელის ნათესავზე) პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ 2010 წლის 16 ივლისის ხელწერილი ადასტურებს არა მის მიერ თანხის მიღებასა და ამ თანხიდან გამომდინარე ვალდებულების წარმოშობას, არამედ, ამ თანხის დაპრუნების თაობაზე ტ. მ-ის პასუხისმგებლობას, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ მხარის განმარტებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენების თაობაზე დაუსაბუთებელია. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას მხარეთა შორის სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით განსაზღვრული დავალების ხელშეკრულების ზეპირი ფორმით დადების შესახებ, რომლის ფარგლებშიც რწმუნებულს (კასატორს) მარწმუნებლისათვის (მოსარჩელისათვის) გადაცემული თანხის ფარგლებში უნდა შეეძინა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი (ჟვერმობილი). უდავოა ის გარემოებაც, რომ დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთი მოსარჩელის საკუთრებად არ ირიცხება, შესაბამისად,

მარწმუნებელი რწმუნებულისაგან მოითხოვს დავალების ფარგლებში გადაცემული თანხის უკან დაბრუნებას. ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, რწმუნებული მოვალეა, დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად და არ გამოიყენა ამისათვის, აგრეთვე, ისიც, რაც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით.

1.5. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია და საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ საკუთარი მტკიცების ტვირთის დაძლევით (სსსკ-ის 102-ე მუხლი) უზრუნველყო ზემოხსენებული ნორმის აპსტრაქტული შემადგენლობის დადასტურება, რაც შეეხება თანხის დაბრუნებისა თუ ზოგადად ვალდებულების შესრულების ფაქტს, ამ გარემოების დამტკიცება, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ევალებოდა რწმუნებულს. ამ შემთხვევაში, საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთად, გამოიყენებული უნდა იქნას ვალდებულების შესრულების დადასტურებისათვის მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმით დადგენილი სტანდარტი – სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი, რომელიც მოვალის უფლებადამცავი დანაწესია და ადგენს მის შესაძლებლობას, კრედიტორისაგან მოითხოვოს შესრულების მიღების დამადასტურებელი საბუთი, რაც უდავოდ მოწმობს ვალდებულების შეწყვეტას. ამ თვალსაზრისით კასატორს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, მან საქმის განხილვისას განმარტა ის, რომ ვალდებულება შეწყდა სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად (კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით), თუმცა, დავალების საგანი, უფლებამოსილი პირის მითითების საფუძველზე აღირიცხა კ. ბ-ის საკუთრებად. მოპასუხის მიერ საქმეში წარმოდგენილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის მესამე პირის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი გარიგება, თუმცა, ამ შესრულების მიმართ მოსარჩელის თანხმობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა მოპასუხის მიერ უერიქნა უზრუნველყოფილი, შესაბამისად, პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით 30 000 ევროს ანგარიშში რწმუნებულის მიერ ავტომობილის ჩამოყვანისა და მარწმუნებლის თანხმობით მისი მესამე პირისათვის გადაცემის ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება, სააპელაციო პალატის ამ მსჯელობას, თავის მხრივ, სწორად დაედო საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხ-

ლი. ამდენად, სარჩელის გამომრიცხავი ამ შესაგებლითაც ვერ შეძლო ვალდებულმა პირმა მოთხოვნის გაქარწყლება.

1.6. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ასევე მოპასუხის იმ შედავებას, რომელიც ხანდაზმულობას შეეხება და იმდენად არსებითია, რომ დამტკიცების შემთხვევაში სარჩელის წარმატებას აფერხებს. საყურადღებოა, რომ არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სარჩელის ხანდაზმულობა იმ დასაბუთებით, რომ დავალების ხელშეკრულების მოქმედების ვადა მხარეთა შორის არ იყო შეთანხმებული. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან სარჩელის აღდერამდე რწმუნებულს არ ჰქონდა ვალდებულება შესრულებული, მარწმუნებელს სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლებით შეეძლო მოეთხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა და თანხის დაბრუნება. ხანდაზმულობის საკითხის შემოწმებისას, საკასაციო პალატა ნაწილობრივ (სკ-ის 365-ე მუხლის არასწორი განმარტების ნაწილში) იზიარებს კასატორის პრეტენზიას და ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ 2011 წლის 16 აპრილის ხელწერილზე (სწორედ ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით დადგინდა ვალდებულების არსებობა), რომლის თანახმადაც, მოსარჩელემ თანხა გადარიცხა ხუთი თვის გადით 2010 წლის 12 დეკემბრამდე, ეს თანხა მოპასუხემ გადასცა ტ. მ-ს, რომელმაც გადააცილა მის დაბრუნების ვადას და არც ავტომობილს აგზავნის და არც თანხას, მიუხედავად იმისა, რომ გასულია 2011 წლის თებერვალიც. პალატა მიუთითებს მოსარჩელის განმარტებაზეც, რომლის თანახმადაც, მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მარწმუნებელი იძულებული გახდა, გამგზავრებულიყო გერმანიაში, რაც მას 5 000 ეკრო დაუჯდა. ამ გამგზავრებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია გარდა დაპირებისა და კერძო ხელწერილებისა ვალის აღიარების შესახებ. შესაგებლის წინააღმდეგ წარდგენილ შეპასუხებაში მოსარჩელემ დაადასტურა ის გარემოება, რომ 2011-2012 წლებში იგი აქტიურად ცდილობდა მოპასუხისაგან თანხის დაბრუნებას და მიმართავდა მის ხელთ არსებულ სამუალებებს (იხ. სარჩელი, მოსარჩელის შეპასუხება შესაგებელზე და მისივე საპაუქრო სიტყვა). ამ განმარტებების სამართლებრივი ანალიზის მიზნით სასამართლო მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლს და აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა არ არის განსაზღვრული (როგორც ეს დაადგინეს ქვემდგომმა სასამართლებმა), უფლების დარღვევის შესახებ კრედიტორი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოითხოვს ვალდებულების

შესრულებას, ხოლო მოვალე უარს იტყვის შესრულებაზე ან ფაქტობრივად არ შეასრულებს მას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უფლების დარღვევის თაობაზე მოსარჩელი-სათვის ცნობილი გახდა 2010 წლის 12 დეკემბრიდან, ანუ მისი მოთხოვნა, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, სწორედ ამ დროიდან წარმოიშვა, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც, მოსარჩელის განმარტებით, მან ვიზიტი განახორციელა გერმანიაში. პალატა განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 3-ნლიანი ხანდაზმულობის ვადა (ი. სუსგ ქან-1264-1204-2014, 2 ოქტომბერი, 2015 წლი), რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, ამოინურა 2013 წლის 12 დეკემბერს, სარჩელი კი, სასამართლოში წარდგენილია 2014 წლის 14 აპრილს (სარჩელის აღდვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ განცხადება – 2014 წლის 1 აპრილს). ამ გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვალდებული პირი უფლებამოსილია, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უარი განაცხადოს შესრულებაზე, რადგანაც ხანდაზმულობის ვადის გასვლით მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნა იძულებით განხორციელებას აღარ ექვემდებარება.

1.7. რაც შეეხება კასატორის დანარჩენ პრეტენზიებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.02.2015წ; 07.05.2015წ; 09.06.2015წ. საოქმო განჩინებების გაუქმების თაობაზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარის შედავების შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილა შემოწმოს მათი კანონიერება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კასატორს არ მიუთითებია ამ საოქმო განჩინებათა გაუქმების საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები, ამასთანავე, უმთავრესი ამ საკითხზე მსჯელობისას ის გარემოებაა, რომ საკასაციო საჩივრის დაგმაყოფილებით ამონურულია მოპასუხის იურიდიული ინტერესი წინამდებარე დავის მიმართ, რაც საკასაციო პალატას აღლევს შესაძლებლობას, უარყოს კასატორის პოზიცია საოქმო განჩინებების გაუქმებასთან მიმართებით.

1.8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და

საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც მტკიცებულებათა შეფასება, ასევე, მტკიცების საგანში შემავალი გარემონტების დამატებით დადგენა თუ საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების სხვა წინაპირობები არ იკვეთება, პალატა მიიჩნევს, რომ უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.6. პუნქტში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

## 2. სასამართლო ხარჯები:

2.1. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორმა საქმის განსხილვასთან დაკავშირებით სააპელაციო და საკასაციო სამართალნარმოებისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხდა და 6 602,79 ლარი.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში ნარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

2.3. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ა. ჩ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. გ. ბ-ის სარჩელი ა. ჩ-ას მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
4. გ. ბ-ს (პ/№... ) ა. ჩ-ას (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი ბაჟის 6 602,79 ლარის ანაზღაურება.
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### სახელშეკრულებო მოთხოვენათა ხადაზმულობის ვადა

### ვალდებული პირის უფლება ხადაზმულობის ვადის გასვლისას

#### განხილვა

№ას-4-4-2017

10 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. 6. თ-იას (შემდეგში: მოსარჩელე ან დირექტორი) და სსიპილია ჭავჭავაძის სახელობის ფოთის №5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს (შემდეგში: მოპასუხე ან სამეურვეო საბჭო ან

სკოლა) შორის, 2007 წლის 27 ივნისს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 6 წლის ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელე დაინიშნა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

2. 2011 წლის 18 თებერვალს, სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 18 თებერვლის №4 რიგგარეშე სხდომის ოქმის საფუძველზე, მოსარჩელე გათავისუფლდა სკოლის დირექტორის თანამდებობიდან. სამეურვეო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი ფოთის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში.

3. დირექტორის გათავისუფლების შემდეგ, სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის №2 კრების ოქმის და 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, სკოლის დირექტორად დაინიშნა კ. ს-ი.

4. სკოლის დირექტორის ხელფასი 2013 წლის 1 სექტემბრამდე შეადგენდა, თვეში 1200 ლარს, ხოლო 2013 წლის 1 სექტემბრიდან – 1400 ლარს.

5. 2013 წლის იანვრიდან-2013 წლის ივნისის ჩათვლით, ფოთის მე-5 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ მისაღები ხელფასის ოდენობა შეადგენს- 8400 ლარს.

6. მოსარჩელემ 2016 წლის 15 იანვარს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა: 2011 წლის 27 სექტემბრის კრების №2 ოქმისა და 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილების ბათილად ცნობა; დირექტორის აღდგენა პირვანდელ თანამდებობაზე; 2011 წლის 18 თებერვლიდან-2013 წლის 1 სექტემბრამდე იძულებითი განაცდურის სახით, ყოველთვიურად 1200 ლარის ანაზღაურება; აგერთვე, 2013 წლის 1 სექტემბრიდან-გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის სახით, ყოველთვიურად 1400 ლარის ანაზღაურება.

7. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 18 თებერვლის რიგგარეშე სხდომის ოქმი იყო უკანონო, რაც მისი ბათილობის საფუძველი გახდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით. მიუხედავად აღნიშნულისა, სამეურვეო საბჭომ ბათილად არ ცნო გადაწყვეტილება სკოლის დირექტორის თანამდებობაზე ამჟამინდელი დირექტორის დანიშვნის შესახებ და მოსარჩელე არ აღადგინა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე.

8. მოპასუხემ წარადგინა როგორც მოთხოვნის შემწყვეტი ისე, განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი. სახელ-

დობრ, მიუთითა, რომ მოსარჩელესა და სამეურვეო საპჭოს შორის დადებული 2007 წლის 27 ივნისის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგენდა 6 წელს, რაც ამონურულია, ხოლო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

9. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა იძულებითი განაცდურის ნაწილში 8400 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა.

10. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფლების მოთხოვნით მოსარჩელემ წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლსაც უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

11. სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა აგრეთვე მოპასუხის მიერაც, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

12. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების პ: 1-5.

13. დავის მოსაწესრიგებლად სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს შრომის კოდექსის (მემდეგში: სშკ-ი) 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის მე-8 პუნქტი, 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლი.

14. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა „ზოგადი განათლების შესახებ“ სპეციალური კანონის საფუძველზე, რომლის 38.1-ე „ა“, 41.2-ე და 42.1-ე მუხლების შესაბამისად, სკოლის დირექტორს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელსაც რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის კანდიდატურას შეარჩევს სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. დირექტორი ირჩევა/ინიშნება 6 წლის ვადით. ერთ სკოლაში პირის დირექტორად არჩევა/დანიშვნა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. მითითებული კანონის 44.1-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სკოლის დირექტორს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით...

15. უდავოა, რომ 2007 წლის 27 ივნისს, „ზოგადი განათლე-

ბის შესახებ“ სპეციალური კანონის საფუძველზე, ნ. თ-იასთან დადებული იყო 6 წლით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულება – 2013 წლის 27 ივლისამდე. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა. ვინაიდან, 2013 წლის 27 ივლისს ამონტურა დირექტორთან ხელშეკრულების ვადა, ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეწყვეტილად მიიჩნევა (სპ-ის 37.1-ე „ბ“).

16. რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, ამ ნაწილში, სარჩელი ნაწილობრივ ხანდაზულად იქნა მიჩნეული შემდეგი არგუმენტით:

17. განსახილველ შემთხვევაზე ვრცელდებოდა სკ-ის 129.2-ე ნაწილით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვა-და და რომ სარჩელის წარდგენამდე, მხოლოდ ბოლო სამი წლის ფარგლებში (2013 წლის 15 იანვრიდან-2015 წლის 15 იანვრამდე), შრომითი ხელშეკრულების ვადის ამონტურვამდე, 2013 წლის 15 იანვრიდან-2013 წლის 27 ივლისამდე პერიოდის 7 თვის იძულებითი მოცდენის – 8400 ლარის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული და დაკმაყოფილდა. რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნას პერიოდზე: 2011 წლის 18 სექტემბრიდან – 2013 წლის 15 იანვრამდე, ამ ნაწილში სარჩელი ხანდაზმულად იქნა მიჩნეული, რადგან, 2013 წლის ივლისიდან, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, აღარ არსებობდა იძულებითი მოცდენის ფაქტი, რაც გამორიცხავდა ამ დროის შემდეგ, გადაწყვეტილების ალსრულებამდე მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

18. გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით საკასაციო საჩივრარი წარადგინა მოსარჩელემ.

19. კასატორი სადაცოდ აღარ მიიჩნევს სამუშაოზე აღდგენის ნაწილში ფოთის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

20. წარმოდგენილი საკასაციო პრეტეზია შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხის არასწორ გადაწყვეტას. სახელდობრ, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ მსჯელობას, რომლის მიხედვით, განსახილველ შემთხვევაზე ვრცელდებოდა სკ-ის 129.2-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომ სარჩელის წარდგენამდე, მხოლოდ ბოლო სამი წლის ფარგლებში (2013 წლის 15 იანვრიდან – 2015 წლის 15 იანვრამდე), შრომითი ხელშეკრულების ვადის ამონტურვამდე, 2013 წლის 15 იანვრიდან – 2013 წლის 27 ივლისამდე პერიოდის 7 თვის იძულებითი მოცდენის –

8400 ლარის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული.

21. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 2011 წლის 18 სექტემბრიდან 2013 წლის 15 იანვრამდე პერიოდისათვის განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია. სასამართლო მოთხოვნა სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ვერ გახდება იძულებითი მოცდენის ანაზღაურებაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების თუ შენერვეტის საფუძველი, ვინაიდან ასეთი შემთხვევა არ გამომდინარეობს კანონის დანაწესიდან.

22. სასამართლოს მსჯელობა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ ხანდაზმულად მიჩნევის ნაწილში და, შესაბამისად, მცდარი დასკვნების გაკეთება განაპირობა იმან, რომ სწორად არ იქნა შეფასებული ქმედებები, რომლებიც განახორციელა მოსარჩელებისათვის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის შემდეგ. ასევე, უმართებულოდ შეფასდა შედეგები, რაც მოჰყვა დირექტორის მიერ ინიცირებულ სასამართლო დავას, ვიდრე იგი ფოთის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 15 იანვარს აღმრავდა სამოქალაქო სარჩელს მოპასუხის მიმართ. ამავე სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის №2 კრების ოქმის და დადგენილების (სკოლის ახალი დირექტორის არჩევის თაობაზე) ბათილად ცნობის, სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მისი აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

23. დადგენილია და სადაცო არ არის, რომ სამეურვეო საბჭოსთან დაედებული შრომითი ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში მოსარჩელებმიმართა სარჩელით ფოთის საქალაქო სასამართლოს.

24. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის №4 ოქმი ცნობილი იქნა ბათილად.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით სსიპ ქ. ფოთის №5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს საკასაციო საზივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 იანვრის განჩინება. მასზე 2015 წლის 16 ნოემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

26. მიუხედავად ამისა, ვინაიდან სამეურვეო საბჭომ მოსარ-

ჩელე ნებაყოფლობით არ აღადგინა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე და, შესაბამისად, ბათილად არ ცნო სამეურვეო საბჭოს დადგენილება სკოლის მოქმედი დირექტორის კ. ს-ის არჩევის შესახებ, მოსარჩელე იძულებული გახდა, ფოთის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 15 იანვარს წარედგინა ახალი სარჩელი სამეურვეო საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის №2 კრების ოქმისა და დადგენილების ბათილად ცნობის, სკოლის დირექტორის თანამდებობაზე მისი აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

27. მოსარჩელე სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა გაშვებული არა აქვს, ვინაიდან მან 2011 წლიდან, შეიტყო რა მისი უფლების დარღვევის შესახებ ჯერ მიაღწია სასამართლო წესით დამსაქმებლის უკანონო გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, ანუ დაიდგინა შემდგომი მოთხოვნის – პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ-საფუძველი და ვინაიდან სამეურვეო საბჭომ იგი მაინც არ აღადგინა ადრინდელ სამუშაოზე, მხოლოდ ამის შემდეგ კვლავ წარადგინა სასამართლოში ახალი სარჩელი. ანუ ხანდაზმულობის ვადის დენა პირველი სარჩელის წარდგენისას შეწყდა და იგი გასულად არ უნდა ჩაითვალოს.

28. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სწორად არ გამოიყენა და არ განმარტეს სსკ-ის 138-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება, დააკმაყილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვისა ან სასამართლომი განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად, გამოიყენება 136-ე და 140-ე მუხლები.

29. ფოთის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინათ სასარჩელო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ნაცვლად 7 თვის სახელფასო განაცდურის (ერთ თვეში 1200 ლარი, 7 თვეში – 8400 ლარი), მოპასუხისათვის დამატებით ასევე უნდა დაეკისრებინათ დანარჩენი 1 წლის, 11 თვისა და 8 დღის იძულებითი განაცდურის – 26700 ლარის ანაზღაურებაც.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2017 წლის 12 იანვარის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

31. საკასაციო სასამართლომ, სსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

32. საკასაციო საჩივარი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხანდაზმულობის არასწორად გადაწყვეტას შეეხება. აღსანიშნავია, რომ საკასაციო პრეტენზიის დასაბუთების ნაწილში, კასატორის მიერ ნარმოდგენილია საპელაციო საჩივარის იდენტური პრეტენზია, რასთან დაკავშირებითაც ნამსჯელი აქვს სააპელაციო პალატას.

33. ვინაიდან მოპასუხის შესაგებელი ეფუძნებოდა სარჩელის ხანდაზმულობას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, უპირველესად, სწორედ ეს საკითხი უნდა გარკვეულიყო, რადგან სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევა გამორიცხავდა მის დაკმაყოფილებას.

34. დადგენილია, რომ მოსარჩელემ 2016 წლის 15 იანვარს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და ერთ-ერთ მოთხოვნას ნარმოადგენდა 2011 წლის 18 ოქტომბერიდან-2013 წლის 1 სექტემბრამდე იძულებითი განაცდურის სახით, ყოველთვიურად 1200 ლარის ანაზღაურება; აგრეთვე, 2013 წლის 1 სექტემბრიდან – გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის სახით, ყოველთვიურად 1400 ლარის ანაზღაურება.

35. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან სადაც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, მის მიმართაც ვრცელდება სკ-ის 129.2-ე ნაწილით გათვალისწინებული სამნილი ნანდაზმულობის ვადა.

36. მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ბოლო სამი წლის ფარგლებში (2013 წლის 15 იანვრიდან-2015 წლის 15 იანვრამდე) მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული, ხოლო რაც შეეხება მის წინარეპერიოდს, სსკ-ის 144-ე ემუხლის 1-ლი ნაწილის ნორმატიული დანაწესით მის დაკმაყოფილებას აფერხებს ხანდაზმულობა, რაც სწორად შეფასდა სააპელაციო პალატის მიერ.

37. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხისა და აპელანტის პრეტენზიის (განჩინების პპ:21-29) გათვალისწინებით ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: 2011 წლის 18 სექტემბრიდან-2013 წლის 15 იანვრამ-

დე მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმული იყო და რომ 2013 წლის ივლისიდან, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, აღარ არსებობდა იძულებითი მოცდენის ფაქტი, რაც გამორიცხავდა ამ დროის შემდეგ, გადაწყვეტილების აღსრულებამდე ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

38. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მოცულყულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

39. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან პერიოდულად შესასარულებელი ვალდებულებების ხანდაზმულობის საკითხზე არსებობს სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკა.

40. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხ-  
ლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლება-  
მოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გა-  
მოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

41. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გა-  
დახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
სამიერაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. ო-იას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად და-  
უშვებლობის გამო.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-  
საჩივრდება.

## საპირალი

### 1. ზოგადი ნორმები

სელშეკრულების განმარტება .....	3
ნების გამოვლენის განმარტება .....	16
მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებები .....	23; 36
მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგება .....	36
ნებაზე დამოკიდებული პირობა .....	36
მოჩვენებითი გარიგება .....	52; 69; 78
შემძენის ინტერესების დაცვა .....	52
თვალთმაქცური გარიგება .....	88; 99
ფორმის დაუცველად დადებული გარიგება .....	119

### 2. საცილო გარიგებები

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობა ....	131; 144; 156
იძულებით დადებული გარიგების ბათილად ცნობა .....	144

### 3. წარმომადგენლობა გარიგებებში

გარიგების შედეგების აღრესატი წარმომადგენლობისას .....	167
საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა .....	177

### 4. ხანდაზმულობა

ხანდაზმულობის შენიჭება სარჩელის შეტანით .....	184
ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან .....	184
სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა .....	190; 199
ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას .....	190; 199